

მსუ



ლიტერატურული ჟურნალი №4 (35)
მსაქმე მსაქმე მსაქმე მსაქმე მსაქმე მსაქმე
2017



ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

ჟურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საბა

ოლე – ახლში საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევი

მთავარი რედაქტორი
აკაკი დაუშვილი

რედაქტორები:
ფარნა რაინა
ნუნუ ძამუკაშვილი

მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6
III სართული
მობ: 555 46 44 29
მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთი“
მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით
E-mail: akakidau@mail.ru

ჟურნალის წინა ნომრების შეძენა
შეგიძლიათ რედაქციაში

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თვითმ-
მართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტე-
ტის (მერი ბატონი **პლატონ კალმახელიძე**)
და თვითმმართველი თემი თელავის მუნიცი-
პალიტეტის (გამგებელი ბატონი **ალექსანდ-
რე შათირიშვილი**) მხარდაჭერით.



მარტი, ივნისი, სექტემბერი, დეკემბერი №4 (35), 2017



გამოდის სამ თვეში ერთხელ



„ოლე“ ლიტერატურული ჟურნალი



შინაარსი

პოეტის ერთი ლექსი

3. მამა ილია (ჩიკვაძე). ცრემლიანი
ექსპრომტი

ნიკოლოზ ბარათაშვილი — 200

4. ნუნუ ძამუკაშვილი. ნიკოლოზ
ბარათაშვილის — დაბადების 200 წლისთავის
საიუბილეოდ. ლექსი

5. ნანა რჩულიშვილი. ნიკოლოზ
ბარათაშვილის ერთი პოეტური ხერხის შესახებ

ნაწილი რედაქციას

8. ცირა აფციაშვილი. „სტრიქონები ხომ
ფანჯრებია პოეტის სამყაროს დასანახად“...

**მწერლის სიტყვა მკითხველის
სამსჯავროზე**

9. ნინო ლაჩაშვილი. ჟურნალი „ოლე“ —
სიკეთისა და სიყვარულის მეგზური...

ანსა

13. რაზო აღამია. მე ვხატავ სინაგოგებს

ქრისტიანული პოეზიის VII ფესტივალი
„წმინდა ნინოს ჯვარი“

15. საფესტივალო ლექსები

მსატრულები ლიტერატურა

37. აკაკი დაუშვილი. ციკლიდან „დიდების
ზღაპრები“

40. ელზა თუშაბრამიშვილი. დედა. მინიატურა

41. თინათინ მრალაშვილი. ლექსები

46. ნათია მჭადლიშვილი. ლექსები

48. გენარეონ სოლოაშვილი.

ორი ამონარიდი ტრილოგიიდან „ესე ტაძარი“

52. იზა მჭადლიშვილი.

დედის გული. მოთხრობა

53. გიული ჩიხიაშვილი. ლექსები

56. თამარ კოლალიშვილი. ლექსები

თარგმანი

58. ჯულია დონალდსონი. პრინცესა მირორ-
ბელი და მფრინავი ცხენი

ნიგნის ნარდინეაზა

62. ნუნუ ძამუკაშვილი. კახური სიმღერების
დიდოსტატი

გარეკანის პირველ გვერდზე
მთავარანგელოზი მიქაელი
ხატმწერი **რაზო აღამია.**

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილში“



ლიტერატურული პტიემის ლაქრეფი

გამოვლინდენ მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“
2017 წლის ლიტერატურული პრემიების ლაურეატები



გიორგი ლეონიძის სახელოზის პრემია პოეზიასი მიენიჭა

ზინა სოლომნიშვილს ქართული პოეზიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.



გურამ რჩულიშვილის სახელოზის პრემია პროზასა და პუბლიცისტიკასი მიენიჭათ:

მაყვალა მიქელაქის სხვადასხვა წლებში ჟურნალ „ოლე“-ში გამოქვეყნებული მოთხრობებისათვის,

ფიქრია ყუშიტაშვილს ჟურნალ „ოლე“-ში გამოქვეყნებული მოთხრობებისათვის (მთელი შემოქმედების გათვალისწინებით),

რეზო აღამიას ჟურნალ „ოლე“-ში გამოქვეყნებული რომანის „წმიდა ნინო“ და მოთხრობებისათვის,

ზაალ გოტკოველს ნიგნისათვის „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“ (გამომცემლობა „მერანი“ 2016 წელი),

ოთარ სუციშვილს ნიგნისათვის „ცხოვრება ღიმილია“ (გამომცემლობა „ივერიონი“ 2016 წელი).




რაზივლ არისთავის სახელოზის პრემია მიენიჭათ:

ნუნუ ქაგუკაშვილს დაბადებიდან 65 წლისთავისათვის (მთელი შემოქმედების გათვალისწინებით).

ლაილა თარალაშვილს სხვადასხვა წლებში ჟურნალ „ოლე“-ში გამოქვეყნებული ლექსებისათვის (მთელი შემოქმედების გათვალისწინებით).

გიორგი გარქნიშვილს სხვადასხვა წლებში ჟურნალ „ოლე“-ში გამოქვეყნებული ლექსებისა და მოთხრობებისათვის (მთელი შემოქმედების გათვალისწინებით).





მამა ილია (ჩიკვაიძე)

წრემლიანი ექსპრომტი

მამულს ამკობს ჟამი მტკიცე,
თვალზე ცრემლის თრთვილია,
და სიცოცხლეს განამტკიცებს
უნმიდესი ილია...

ჩამოდგება დიდი ლამე,
ზეცა ცეცხლ-მადლს იბარებს,
და ჭალარა ტკბილი მამის,
ღმერთო, შენ დაიფარე...

ვაი, როგორ გიღალატეთ,
ვაი, როგორ გაგწირეთ,
შენი კვართი და ხალათი,
ულმერთოდ გავინანილეთ.

ღმერთო-ერთო, ეს რა ხდება,
ზეცა რატომ ბნელდება,
ან სიზმარი აგვიხდება,
და ან გაგვითენდება.

წინამურში, შენს მზეს ვფიცავ,
ისევ სისხლის თრთვილია...
მამულს ცრემლით განამტკიცებს
უნმიდესი ილია...


ვაი, როგორ გიღალატეთ!..

2 მარტი, 2017 წელი



მამა ილია ჩიკვაიძე,
მეუფე თადეოზი





**ნიკოლოზ მარათაშვილის –
დაბადების 200 წლისთავის საიუბილეოდ**

ჯერ, დაცლილი არ იყო
სიჭაბუკის ფიალა...
ჯერ, მერანი გზაშია,
ქარში, ზღვაში იარა.

აგაქროლა ცაში და
შესწვდი — ლექსის მწვერვალებს,
და ყოველი ნაფიქრი
მზის სხივებში ელვარებს.

ქართლის ბედი, სათუთად,
ბინას გულში იკეთებს;
მისთვის ანდე სტრიქონებს
სიყვარულის სიკეთე.

გემომ მტკვარი ანკარა, —
ფიქრი გაუზიარე;
გრძნობდი, — მოგიშუშებდა
წუთისოფლის იარებს.

ის მერანი სად არის?
ქარს რომ ჰკვეთდა და ზღვასა,
თავს არ დაგანებებდა
ბედისწერის სამზღვარსა.

და, ახლა, შენს ნაკვალევს
სიბრძნის თვალთ დავყურებთ,
ლექსში, ისევ, ციმციმებს, —
სანატრელი, — საყურე.

გაადვილდა სავალი, —
შენი სიბრძნის ბილიკით,
თუმც, დრო მონაცვლეობდა
ხან — ლხენით, ხან — ქილიკით...

წლები გადის, — შედეგებს,
შენს ლექსებში ვხედავთ და...
დარჩა კვალი, — ნათელი
თავგანწირულ მხედარსა.





ნანა რჩეულიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

ნიკოლოზ მარათაშვილის ერთი პოეტური ხერხის შესახებ

ლიტერატურული აზროვნების განვითარების, ნებისმიერ, საფეხურზე ჩნდება წარსულის მემკვიდრეობის განხილვისა და შეფასების სურვილი, დრო პირუთენელი მსაჯულია უკვე გარდასულისა და დამკვიდრებულის, რაკი შედეგები, რაც არ უნდა მიუღებელი ჩანდეს თანამედროვეობისათვის, უკვე, მიღებული და გარკვეულწილად ათვისებულიც შეიძლება იყოს იმ პერიოდის სინამდვილის მიერ. ამ შედეგებს კი განუზომელი მნიშვნელობა აქვთ სამომავლო, იდეოლოგიური, მრწამსის ჩამოყალიბებისათვის. მხედველობაში გვაქვს ფენომენი მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული მიმდინარეობის, რომანტიზმისა, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ევროპულსა და ქართულ სალიტერატურო აზროვნებაში და, ასევე, არანაკლები როლი ითამაშა გარკვეული ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ქართველ რომანტიკოსთა პოეტურსა და ფილოსოფიურ ნააზრევს არ მოკლებია განმხილავი და შემფასებელი, გამომდინარე იქიდან, რომ აზროვნებაში ყოველი სიახლე გარკვეულ ეჭვსაც ბადებდა მის რაციონალობასა და გარემოებასთან რელევანტურობაში. შესაბამისად, იხილებოდა რომანტიკოსთა ეროვნული და საკაცობრიო იდეალები, იძებნებოდა დასავლეთ ევროპული რომანტიზმის გავლენების აშკარა, თუ, შეფარული კონკრეტული შემთხვევები და ამ გავლენათა შედეგები, არა მარტო, მე-19 საუკუნის პირველი, არამედ მეორე ნახევრის ქართულ სალიტერატურო აზროვნებაში. ამგვარად, დაგროვილია ლიტერატურული კრიტიკის დიდი და მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა, რომელიც განუწყვეტლივ მდიდრდება ახალი მეცნიერული შეხედულებებითა და ზუსტი შეფასებებით.

ნიკოლოზ მარათაშვილის, ხანმოკლე, პოეტური ბიოგრაფია უამრავ კითხვას ბადებს პოეტის პიროვნული და შემოქმედებითი პორტრეტის აღწერისას. იგი, იმთავითვე, გამოირჩა წინაპარ რომანტიკოსთა შთამბეჭდავი სახეებისაგან, როგორც ცხოვრების წესით, ასევე, შემოქმედებითი ნატურითაც. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მარათაშვილმა ქართული პოეზიიდან განდევნა უცხო, აღმოსავლური კილო, ეროვნულ სათავეებს დაუახლოვა ის და, ამავე დროს, საბოლოოდ და მყარად დაუკავშირა ევროპული აზროვნების მოწინავე იდეებს. სიტყვით, ქართულ პოეზიაში „დაამკვიდრა მსოფლიო პოეზიის ახალი სული“ (პ. ინგოროყვა). ეს სიახლე გამოიხატებოდა, როგორც სალექსო ფორმებისა და გამომსახველობითი ხერხების ნოვაციამში, ასევე — შემოქმედებითი თემატიკის იდეურ-შინაარსობრივი სივრცის გლობა-

ლიზაციაში. ამიტომაც, „საუცხოო შენადნობი პოეტური მღელვარებისა და ფილოსოფიური ხილვისა“ (პ. ინგოროყვა), ერთნაირად ამაღლევბელი და შთამბეჭდავი გახდა ყველა დროის მოწინავე ქართული საზოგადოების ცნობიერებისათვის. აქვე, შევნიშნავთ, რომ ცხოვრების მკაცრმა გამოცდილებამ მის რომანტიულ სულისკვეთებას იმდენად დიდი, რეალისტური, განცდა მიანიჭა, რომ ხშირად გაურკვეველია ზღვარი პოეტის რომანტიკულსა და რეალისტურ პოზიციათა შორის. ნიკოლოზ მარათაშვილის ცხოვრებაში, ერთგვარად, მნიშვნელოვანია კავკასიის უზენაესი სასამართლოს კანცელარიაში სამსახურის პერიოდი. ერთ დროს დაწინაურებული ოჯახის ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, კანცელარიის მოხელედ მუშაობის იძულებითმა გარემოებამ, ბევრი რამ შეცვალა მის პირად ცხოვრებასა და სულიერ განწყობილებაში. 1835 წლის ნოემბრიდან შეუდგა იგი სახელმწიფო მოხელის მძიმე მოვალეობის შესრულებას, როგორც მიუთითებენ, გასაოცარი მოთმინებითა და იშვიათი ნებისყოფით. თუმცა, „მკაცრ ბედს დამორჩილებული“, გარეგნულად მოთმინებით აღჭურვილი პოეტის სულში ახალი ამბოხი იწყება, რაც მის პოეზიაში ახალი, ან ძველი, უფრო დახვეწილი თემებით გამოიხატა. ესენია: სიცოცხლის ამქვეყნიური საზრისი, ადამიანი და მისი მიმართება გარესამყაროსთან, ბუნების იდუმალი ხატი და მისი ფილოსოფიური აღქმა, ბედისწერა და პიროვნება და სხვა. 1836-1838 წლებში თანამიმდევრულად იწერება ზემოაღნიშნული თემებით გამსჭვალული ლექსები: „შემოღამება მთაწმინდაზედ“, „ხმა იდუმალი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“ და „ნაპოლონი“. პოეტის ეპისტოლური მემკვიდრეობა უტყუარ გასაღებს გვაძლევს აღნიშნული ლექსების იდეური განხილვისათვის ქრონოლოგიური ნიშნით. „ჩინზე“ წარდგენილი, კანცელარიის ერთგული მოხელე, გრძნობდა, რომ დაკავებული სამსახური ვერ მისცემდა მას სულიერ საზრდოს და კანცელარიაც ვერ გახდებოდა მისი ბედისაგან აღთქმული, საოცნებო, გარემო. აქედან იწყება პოეტის ცხოვრებაში დაუცხრომელი სწრაფვა განმარტოებისაკენ, განსაკუთრებულად, ეგზოტიკურ ადგილებში, „ფიქრთ გასაღრველად“. ასეთ ადგილებად მოიაზრება: მთაწმინდა (აქ ნაფიქრ-ნააზრევი საოცარი მხატვრული საშუალებებითაა გადმოცემული ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზედ“), ყაბახი („...მისმან შუენებაში... აღმიტაცეს ფიქრნი...“ (წერილიდან გრ. ორბელიანისადმი, 1837 წ.) და ქალაქის სასაფლაო, რომელმაც ერთგვარი „შავბნელი ფიქრები გამოიწვია“ მასში (წერილიდან მიხ. თუმანიშვილისადმი, 1838 წ.), თუმცა, იმავდროულად, სა-





შუალეხა მისცა „მოკვდავს, მასში ამოეკითხა თავისი ცხოვრება“. ფიქრისა და განსჯისათვის შესაფერად- გილებში პოეტი აგრძელებს, ჯერ კიდევ, 1836 წელს დაწერილ ლექსში („ხმა იდუმალი“) დაწყებულ ძიე- ბას საკუთარი ხვედრისას, საკუთარი „ნილობისას“. ამსოფლიურ ვნებებზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მსჯელობისას ის იძულებული ხდება თავისი აზრი, მკაცრად შენიღბული, ზოგჯერ, სხვისი პირით წარმოთქვას. აღნიშნული ხერხი პოეტმა, პირველად, გამოიყენა 1838 წელს დაწერილ ლექსში „ნაპოლეონი“.

„ნაპოლეონი“ ერთგვარი გაგრძელებააა ლექსისა: „ფიქრნი მტკვრის პირას“, რამდენადაც, ამ უკანასკნელში დასმული პრობლემა ადამიანის ამქვეყნიური ყოფისა და მისი დანიშნულების შესახებ, „ნაპოლეონში“ კონკრეტული პიროვნების მაგალითზე განიხილება. საერთოდ, ბარათაშვილი ამ პრობლემას უფრო ძლიერი პიროვნებების, კერძოდ კი, მეფეთა ამსოფლიური ღვანლით განსჯის („მეფენი უძლეველნი“, „კეთილი მეფე“). ისტორიული საკითხებით დაინტერესებული პოეტი გულგრილი ვერ დარჩებოდა ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობით. თბილისში, იმ დროისათვის, დაარსებულ ბიბლიოთეკაში, სავარაუდოდ, მოიძებნებოდა შესაბამისი ლიტერატურაც რუსულ, ან ფრანგულ ენაზე, რომელთაც, შესაბამისად ფლობდა პოეტი. ლექსი მოწმობს, რომ ის, საკმაოდ, გატაცებულიც უნდა ყოფილიყო საფრანგეთის იმპერატორის მშოფთვარე ბიოგრაფიით, მისი ძლიერი ნებისყოფითა და ხელმწიფური ტალანტით. პოეტისათვის უცხო არ იყო მისწრაფება დიდი საქმეების კეთებისაკენ, მას ხომ ყრმობიდანვე „ინვევდა შინაგანი ხმა საუკეთესო ხვედრისაკენ“, „სულს ვერ იტევდა სხეულში“ და ნატრობდა „გაშლილს ადგილს“, რომ „ხელმწიფურად გადაეხედა თავისი ასპარეზისათვის“. ასეთივე განწყობა ჩანს ლექსში, რომლის ლირიკული გმირი, ამქვეყნიური სიძლიერის ეტალონი, აცხადებს:

„მაგრამ მე გვაში სული ველარ მომთავსებია!

მითხზავს გვირგვინსა დიდებისას მე თვითონ ბედი,

ხოლო მე უნდა მას მოვასხა შარავანდედი;

ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი!“

ნაპოლეონის ეს სიტყვები ბარათაშვილის შინაგანი მე-ს აზროვნების გამოძახილია. ის მე-19 საუკუნის პირმშო იყო და ბუნებრივია, მისწრაფებანიც თავისი თანამედროვე საზოგადოებრივი ყოფის შესაბამისი ჰქონდა: ოცნებობდა ჯარისკაცობაზე („...იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხოლმე გულში...“ — წერილიდან გრ. ორბელიანისადმი; 1837 წ.), სურდა სახელმწიფო სამსახურში დაწინაურება („ჩემი ფიქრი მანდეთ მოჰქრის. ეცადე, რომ რენენკამფთან დამანიშვნინო. ხომ ამ პირობით ნახველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის?“ — წერილიდან გრ. ორბელიანისადმი; 1843 წ.), სწამდა საკუთარი შინაგანი ხმის, რომელიც მხოლოდ წინსვლისკენ მოუწოდებდა („მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ“ — იმავე წერილიდან), თავყვანს სცემდა „მომავლის დიდების ფიქრს“ და საყვედურობდა ბიძას „ლაპარაკის გაცრუებას“ (იმავე წერილში გრ. ორბელიანისადმი). რაც შეეხება ამსოფლიურ ამოცებას, რომელიც ასე ამფოთებდა პოეტს ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“, ყველაზე მეტად, ისეთი ძლიერი პიროვნება ჩასწვდებოდა, როგორც ნაპოლეონი იყო და, ამიტომაც, მისი პირით გააჟღერა თავისი სათქმელი.

მოგვიანებით, 1842 წელს, ბარათაშვილი ისევ მიმართავს ზემოაღნიშნულ ხერხს, როდესაც ქმნის პოეტურ შედეგს, ლექსს, რომელმაც კიდევ ერთხელ გაიყვანა მისი ავტორი საკაცობრიო აზროვნების სივრცეში. „მერანი“ გამოძახილი გახდა იმ დიდი განცდისა, რომელიც მის შინაგან არსებაში გამოიწვია ბიძის, ილიკოს ლეკთაგან დატყვევებამ და მისმა უმაგალითო ვაჟკაცობის ამბავმა. პოეტისათვის შთაგონების წყაროდ იქცა ეს დიდი ოჯახური ტრაგედია და საშუალება მისცა გადმოეღვარა სულში წლობით ნატარი დიდი სურვილი. თუმცა, ბიძას მოკრძალებით შეახსენებს: „ამას ამბობს ილია ტყვეობაში და არა მე“ (წერილიდან გრ. ორბელიანისადმი; 1842 წ.). ლექსის ტექსტს კი წინ მიუთითებს (რუსულ ენაზე): „აი, რას ფიქრობს პოეტი ილიკოს მაგივრად“-ო. ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ აღიარა, რომ ლექსის ლირიკული გმირის სწრაფვა იდეალისაკენ, საკუთრივ, პოეტის შინაგანი მისწრაფების გამოვლენის საუკეთესო ფაქტია და, რომ ილიკოს ტყვეობა მხოლოდ საბაზი გახდა „მერანის“ შექმნისათვის.

ამ თვალთახედვით, საინტერესოა 1842 წელს დაწერილი ლექსიც „საფლავი მეფის ირაკლისა“ (მისი პირვანდელი სათაურია „საფლავი ივერიისა“). ლიტერატურულ კრიტიკაში, საკმაოდ განმტკიცებული ცნობით, ის ბარათაშვილმა მიუძღვნა და აღბომშიც ჩაუნერა სიმბირსკში დაბადებულ და აღზრდილ ისტორიკოსსა და ნუმიზმატს, თავისი დროისათვის ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და განმანათლებელს, მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილს (ბარათოვი). მიხეილი შთამომავალი ყოფილა, მეფე ვახტანგ VI-თან ერთად, რუსეთს გადახვენილი ქართველი თავადის მელქისედეკ ბარათაშვილისა. მამამისს, პეტრეს, გენერალ-პორუჩიკის ნოდებით, ციმბირის გუბერნატორად უმსახურია. თავად მიხეილს, სამხედრო სამსახურის შემდეგ, სიმბირსკის თავადაზნაურთა წინამძღოლობაც უტვირთავს. მის სახელს უკავშირდება სიმბირსკში მასონთა ლოჟის („სათნოების გასაღები“) დაარსება. იმავედროულად, რუს დეკაბრისტებთან იდეური სიახლოვის გამო, ის დაუპატიმრებიათ. გათავისუფლების შემდეგ, 1838 წლიდან, „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკია“, ხოლო, 1839 წლიდან 1844 წლამდე, მსახურობდა კავკასიაში, საქართველოს საბაჟო ოლქის უფროსად. აღესრულა 72 წლის ასაკში. დაკრძალულია სიმბირსკის მონასტრის სასაფლაოზე. მიხეილ ბარათაშვილმა მთელი ეპოქა შექმნა ქართული ნუმიზმატიკის ისტორიაში. მას ეკუთვნის ფუნდამენტური გამოკვლევა „ნუმიზმატიკის ფაქტები, ანუ, ძველნი ფულნი საქართველოს სამეფოსანი“, რომლის მიხედვითაც, ამავე დარგში, ფასეული ნაშრომები შექმნეს მარი ბროსემ და ფრანგმა მეცნიერმა ლანგლუამ. იგი იყო პარიზის, ბერლინის, კოპენჰაგენის სამეცნიერო აკადემიათა ნამდვილი წევრი. სამწუხაროდ, მისი კოლექცია დაცულია ბერლინის სახელმწიფო მუზეუმში. ხოლო, რაც ჩვენთვის ყველაზე მეტადაა ანგარიშგასაწევი, მთელ მის მოღვაწეობას გასდევდა ღრმად პატრიოტული და პროგრესული კონცეფცია ქართველთა და საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის შესახებ.

არსებობს განსხვავებული აზრიც, იმის თაობაზე, რომ ლექსი „საფლავი ივერიისა“ ბარათაშვილმა მიუძღვნა არა მიხეილ პეტრეს ძეს, არამედ — ისტორიკოს სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილს (ბარათოვი), რომელმაც 1841 წელს, პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ, გაზეთ „კავკაზ-



ში“ გამოაქვეყნა ისტორიული ხასიათის წერილების სერია საქართველოს შესახებ. ხოლო, მოგვიანებით, პეტერბურგში ხუთ წიგნად გამოსცა „საქართველოს ისტორია“ (მ. ნინიძე, წიგნში „მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა“, ტ.1, 2011 წ. გვ. 260).

ამჟამად, ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს ლექსის ნამდვილი ადრესატის ვინაობის გარკვევა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პიროვნება, რომელსაც საგანგებოდ მიეძღვნა მნიშვნელოვანი პოეტური ნიმუში, ეროვნებით ქართველი, რუსეთთან მჭიდროდ დაკავშირებული თავისი განათლებითა და სამსახურით, დიდ ინტერესს იჩენდა საქართველოს ისტორიის მიმართ და, ამ მხრივ, მნიშვნელოვან მოღვაწეობასაც ეწეოდა ქართველი ხალხის სასიკეთოდ. როგორც ჩანს, ის, ხშირად, ჩამოდიოდა საქართველოში, რაც ხელს უწყობდა მოწინავე ქართული აზროვნების გაცნობასა და დაახლოებაში. რომ, ნამდვილად, თავად ბარათოვს ეძღვნება ლექსი „საფლავი ივერიისა“, ამას მოწმობს ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილის ფრაგმენტი, გრიგოლ ორბელიანისადმი, სადაც ვკითხულობთ: „...აი, ჩემი უკანასკნელი ლექსი, რომელიც კნიაზ ბარათოვს ალბომში ჩაუწერე მისის თხოვნით. ისიც ამ ორ დღეს უკან მდის პეტერბურგში сь болшимъ запасомъ сведении об исторической Грузии. „საფლავი ივერიისა“ (ტექსტი დაცულია). [1842]. აღნიშნული წერილის ავტორად დაკარგულია. ასლი წერილის ფრაგმენტისა პეტრე უმიკაშვილის ხელითაა გადაწერილი და ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (გრ. ორბელიანის არქივი 646). შემთხვევითი არ უნდა იყოს ფაქტი, რომ ავტორმა ლექსი თავად ბარათოვს ჩაუწერა ალბომში და, ისიც, პეტერბურგში გამგზავრების წინ. ადვილი წარმოსადგენია, თუ, რა დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა პოეტზე რუსეთიდან ჩამოსულ, საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ ქართველ მეცნიერთან შეხვედრები. ბუნებრივია, მათი სასუბრო თემა შეეხებოდა ქართველი ერისათვის მეტად მტკივნეულ თემას, — რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, კერძოდ კი, ერეკლე მეფის პოლიტიკურ ნაბიჯს, რომლის ობიექტური შეფასება ასე ადვილდება, თვით, ნიკოლოზ ბარათაშვილს (ამ შეფასების გარკვეულ ცდას წარმოადგენდა 1839 წელს დაწერილი პოემა „ბედი ქართლისა“). ლექსში განსაკუთრებული ხაზგასმითაა აქცენტირებული ის სასიკეთო შედეგები, რომელიც რუსეთ-საქართვე-

ლოს შეერთების ისტორიულმა აქტმა მოიტანა, კერძოდ კი, ქართველთა მშვიდობიანი ცხოვრება და განათლების ხელმისაწვდომობა.

„ჟამ-ვითარებით გარდახვენილთ შენთ შვილთ მიდამო,


მოაქეთ მამულში განათლება და ხმა საამო...

და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,

მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად!“

გარდახვენილ შვილში პოეტი რომ თავად ბარათოვს იგულისხმებდა პირველ რიგში, ეს უდავოა. იმხანად, სწორედ, მას „მოჰქონდა მამულში განათლება“, რომელიც „ერთი ათასად“ უნდა ქცეულიყო მომავალში, ქვეყნის საკეთილდღეოდ. პეტერბურგს მიმავალი მეცნიერი, მცხეთაზე გავლისას, აუცილებლად მოინახულებდა ერეკლე მეფის საფლავს და მუხლს მოიყრიდა „მცხოვანი გმირის“ ხსოვნის წინაშე. ვფიქრობთ, ამ ფაქტსაც ითვალისწინებდა ტატო გამოთხოვებისას, ალბომში ლექსის ჩაწერის დროს. თვით სწავლა-განათლების საშუალებას მოკლებული პოეტი იმედოვნებდა, რომ უკვალოდ არ ჩაივლიდა თავადის საქართველოში ვიზიტი, რაც მას ალაფრთოვანებდა და სამომავლო იმედს უღვიძებდა და რამაც ბიძგი მისცა დაენერა ასეთი კეთილი განწყობით აღსავსე ლექსი. მის წარმოსახვაში, თავადი ბარათოვი, მუხლმოყრილი მეფის საფლავთან, წარმოსთქვამს პოეტის ნააზრევს, რომელიც, სავარაუდოდ, ემთხვეოდა ქართველი მეცნიერის შეხედულებებს.

ლექსში დასმული პრობლემების ირგვლივ კი სააზროვნო და საკამათო რომ ბევრია, ამას მოწმობს მ. ლაღანიძის წერილიც — „რას გვაუწყებს დღეს ნიკოლოზ ბარათაშვილის „საფლავი მეფის ირაკლისა?“ ავტორი საინტერესო წიადსვლებით განიხილავს ერთ, მთავარ, პრობლემას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. აღნიშნული პრობლემა, სადღეისოდ, რომ ისევ, გადაუჭრელი და გაურკვეველია, სტატიის დასასრულიც ამაზე მიუთითებს. ჩვენი მიზანი იყო ყურადღება გაგვემახვილებინა ბარათაშვილის პოეტური ოსტატობის ერთი ასპექტის შესახებ. კვლევისათვის დაგვჭირდა ცნობები, თუ რა ვითარებაში დაინერა აღნიშნული ლექსი, ვის უძღვნა იგი პოეტმა და რატომ? ვფიქრობთ, ეს ფაქტები, ზოგადად, საინტერესო იქნებოდა ლექსის ნებისმიერი კუთხით განხილვისათვის.



„სტრიქონები ხომ ფანჯრებია პოეტის სამყაროს დასანახად“...

ეს სიტყვები ნიკო სამადაშვილს ეკუთვნის და ვინც ბატონ ფარნა რაინას შემოქმედებას იცნობს, იცნობს მის სამყაროსაც, რომლის მთავარი პოსტულატიცაა: ადამიანი შექმნილია „ხატად და მსგავსად“ ღმრთისა და ამ გზიდან გადახვევა კატასტროფაა.

არ ვიცი როდის, ბატონმა ფარნამ კატრენები გაითავისა და ამ ოთხსტრიქონიან ლექსებში დიდი ოსტატობით ახერხებს ფიზიკურად საგრძნობი განცდების გადმოცემას. პოეტს აქვს პოეტური ალლო და არსენალი, რაც საფუძველს აძლევს მთელი გალაქტიკა ხელში მოიქციოს: „ნუთუ საშველი აღარ ჩანს არ-სით და... ვშლით პლანეტას მშიერ ქანებად?! ნუთუ, — სამყარო სულით და არსით დასაბამისკენ მიექანება?!“

ეს კითხვები, სხვასთან ერთად, მე მაშინაც მიჩნდება, როცა უხამსი ეპატაჟურობითა და უსაფუძვლო ამბიციურობით შეპყრობილთა „ნაღვანს“ ვკითხულობ და ვისმენ, რაც საზოგადოების გემოვნების დაცემის მეტს არაფერს ემსახურება.

სულ სხვა განცდას გვიქმნის ბატონი ფარნას თითოეული სტროფი, რომლებშიც ფასეულზე, ამაღლებულ-სა და ზოგადსაკაცობრიოზეა ლაპარაკი: „ცხოვრება გახლავთ: ცოდნის, შრომის, გამოცდილების, — ლაგდება მიჯრით: ავიც, კარგიც, — ნელთა რიტმებად... ყველაფერს შეცვლი სამყაროში, — ძალმოსილებით, ვერვინ, ვერასდროს, ვერ-რით შეცვლის — ჭეშმარიტებას“...

კატრენი თავისი ფორმით კონკრეტულობას, საგნობრიობას ითხოვს, რასაც მხოლოდ პოეტურად წიგნიერი, ენის სიღრმისეულად მცოდნე ადამიანი ახერხებს. ფარნა რაინას დროში გაფანტული კატრენები ადამიანურ შესაძლებლობათა სიმრავლეს აჩენს, რომელთა სამომავლო ბედზეც არის დამოკიდებული დღევანდელი. თითოეულ კატრენში ავტორის სულიერი მოთხოვნილებები ჩანს, რომელთაც საფუძვლად უდევს ღრმა ცოდნა ფილოსოფიასა და მითოლოგიაში.

ოთხმოცს გადააბიჯა ბატონმა ფარნამ?! ნლები რა სათქმელია, როცა კაცს ასეთი წარმოსახვა შეუძლია: „უშენოდ ყოფნა: ნამითაც, არ ღირს, შენ ზღვაზე ხარ და მე ვგავარ ეულს... მე მშურს: იმ-ზღვის და... იმ-ღურჯი ტალღის, რომელიც, — ვნებით, გიკოცნის სხეულს“...

პოეტად ყოფნა არც არჩევითია და არც დანიშნითი, ეს სადღაც მაღლა წყდება ჩვენ ჩაურევლად.

ჰოდა, ვუმადლოთ განგებას, რომ გვყავს პოეტური საზოგადოების გრძნობით უხვად დაჯილდოებული, არაერთი პრემიისა და ჯილდოს მფლობელი, საზოგადოებრივად აქტიური პიროვნება ფარნა რაინა.

ცირა აფციაური

ჟურნალ „ოლეს“

შენი სახე მოგვაგონებს
გოგლაურას უკვდავ „ოლეს“.
საქართველოს ფერ-სისხლი ხარ,
შენს მშვენიებას რა გამოლევს.

ჟურნალთა შორის ჟურნალის,
სულის და გულის მკურნალის,
შენი ფურცლები შრიალებს,
წყარო უშრეტი მწყურვალის.

ღმერთმა დალოცოს ისიცა,
შენ, ვინც მოგნათლა დღეს „ოლედ“,
ქართულ მწერლობას უმრავლოს
შენი სახელის მზე მყოლე.

სოსო ჩხუპიანაშვილი
იყალბოს აკადემია





ნინო ლაჩაშვილი

ქალაქ თელავის ცენტრალური ბიბლიოთეკა, არაერთი, მნიშვნელოვანი და საინტერესო ღონისძიების ინიციატორი და თაოსანია. ასე იყო ამჯერადაც.

მიმდინარე წლის 21 ნოემბერს აქ მოენყო მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ჟურნალ „ოლეს“ მესამე ნომრის წარდგენა-განხილვა ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველისათვის და ქალაქის ფართო საზოგადოებისათვის, რომელმაც დამსწრეთა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. ჟურნალის მიმოხილვით გამოვიდა პედაგოგი ნინო ლაჩაშვილი. გთავაზობთ მის გამოსვლას.

ჟურნალი „ოლე“ — სიკეთისა და სიყვარულის მეზუზრი...

ბედნიერი ვარ, რომ კიდევ, ერთხელ, ხელში მიჭირავს ჟურნალ „ოლეს“ მესამე ნომერი და შემოძლია ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანო მის განხილვაში.

ნომერი იხსნება სასიხარულო ცნობით, რომელიც გულწრფელად გაახარებს ჟურნალ „ოლეს“ ყველა მკითხველსა და გულშემატკივარს. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი „შოი მღვიმელის პრემიით“, აჯილდოვებს მწერალ ნუნუ ძამუკაშვილს ქართული საბავშვო მწერლობის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

მეც ვუერთდები ამ დიდ სიხარულს და, ნომრის შემდეგ, გვერდებს ვფურცლავ. თვალში მხვდება ინფორმაცია, რომ 2017 წლის 20 ივნისს რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში საქართველოს მწერალთა კავშირის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. მას ახლავს პატრიარქის მიმართვა ქართველი მწერლებისადმი, რომელშიც, იგი, მწერლებს „ქართული სიტყვის მსახურებს“ უწოდებს. სთხოვს, ააღორძინონ ეროვნული ფასეულობანი და პასუხი გასცენ დროის მოთხოვნებს. პატრიარქი ლოცავს ქართველ მწერლებს და ამბობს: „ღმერთმა ერთგულად გამსახუროთ უფალს და სამშობლოს“.

ჟურნალის მეშვეობით შევიტყვე და დიდი სიხარულით აღვივსე, რომ ამ მნიშვნელოვან საღამოზე, ქართული მწერლობისა და კულტურის ცნობილ წარმომადგენლებთან ერთად, სიტყვით გამოვიდა მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარე ფარნა რაინა.

თავის გამოსვლაში ბატონმა ფარნამ ისტორიული ექსკურსის სახით შესანიშნავად აჩვენა, რომ წარსულიდანვე თელავს მდიდარი ლიტერატურული და საგანმანათლებლო-მნიგნობრული ტრადიციები აქვს, ჯერ კიდევ ერეკლე II-ისა და დავით აღლეჩი-მესხიშვილის დროიდან. მოიხსენია ისიც, რომ თელავის ლიტერატურულ ცხოვრებასთან ახლოს იყვნენ: ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა; აქვე ეწეოდნენ შემოქმედებით მოღვაწეობას: ბარბარე ერისთავ ჯორჯაძისა, გიორგი ანდრონიკაშვილი და სხვები.

ბატონმა ფარნამ, ამ გამოსვლაში, მოკლედ მიმოიხილა აღმანახ „ალანის“, ჟურნალ „ღვინჯუას“ და სალიტერატურო გაზეთ „ათინათის“ შექმნის ის-

ტორია. აუდიტორიას გააცნო 2004 წლიდან ჟურნალ „ოლეს“ დაარსების ისტორია, ზოგჯერ ფინანსური გაჭირვების გამო, განვლილი მისი ტკივილიანი გზა და მისი წარმატებები (2005 და 2008 წლებში საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსებში ჟურნალმა „ოლემ“ გაიმარჯვა.).

გაფრთხილებად ისმის ბატონ ფარნას სიტყვები: „ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ პერიფერიებში არიან უნიჭიერესი ადამიანები; გენიოსებიც, მაგრამ ყველას არ აქვს საშუალება იცხოვროს დედაქალაქში და, უფრო, ახლოს იყოს სათაო მწერალთა ორგანიზაციასთან და საგამომცემლო დაწესებულებებთან“. ამიტომაც, რომ ასეთ შემთხვევაში, სამხარეო მწერალთა ორგანიზაციებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ.

ამავე აზრს ეთანხმება საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის, გუბერნატორის ადმინისტრაციის მთავარი სპეციალისტი — ლეილა ლეგაშვილი: „კახეთში უამრავი პოეტი და შემოქმედი ცხოვრობს, რომელთაც არა აქვთ საშუალება თავისი პოეტური თუ პროზაული ნაშრომების გამოცემის. ჟურნალი „ოლე“ საზოგადოებას აცნობს ასეთი ადამიანების შემოქმედებას და ახლის შექმნის სურვილს უღვივებს მათ, ეს უდიდესი სიკეთე და მადლია“.

ჟურნალში დაბეჭდილია, აგრეთვე, უკვე, ზეციური საუფლოს ბინადრის, ნიჭიერი ქართველი პოეტის გენო კალანდიას, ბოლო, უბრწყინვალესი პოეტური ციკლი „საგალობლები უფლისათვის“.

იმდენად ძლიერია ლექსებით აღძრული შთაბეჭდილება, რომ... ასე გგონია, შენ და პოეტი „ერთ სულ და ერთ ხორც“ ხართ, შენც, პოეტთან ერთად, დგახარ ტაძარში და, უფლისადმი აღვლენილ ლოცვას ისმენ:

„ტაძრის კარებთან დგანან დილიდან,
შენი ძის ძენი, დაო მარიამ,
აი, ეს არის ღვთის იდილია,
ღვთის სასწაული და ლიტანია.“

უფალს შესთხოვს პოეტი შენდობასა და მიტევებას:

„უფალო, ცხადი, ცხადია ჩემთვის,
როგორც — ოდესღაც, სხვებისთვის იყო,
მე შენი ტაძრის მოწესედ ვრჩები,
სადაც და, როგორც არ უნდა ვიყო.“





გენო კალანდიას პოეზია გამთბარია უფლისადმი რწმენით, იმედით, სასოებით. სულში ჟრჟოლვით ხმიანებს სიტყვები:

„უფალო, დედას პურივით თბილი,
ლოცვანით მოდის მოძღვარი ჩვენი“

თითქოსდა, შენც გინდა, რომ პოეტთან ერთად, ცხოვრებისაგან დაღლილი და განანამები შეეფარო, ყველაზე სათნო და მშვიდ ნავსაყუდარს, — უფლის უბეს.

გენო კალანდიას ლექსები სავსეა შესანიშნავი პოეტური სახეებით:

„ტაძარი იგი — ვით მწუხრის კვარი,
ბრწყინავდა შენი ციური ალით.“

ან,

„ანათებს როგორც მაცხოვრის სურა,
ნათელმოსილი მოძღვარი შენი.“

ან,

„ცა შეთრთვილულა ალოეს ცრემლით
თითქოს, წმინდანებს უჭირავთ მხრებით.“

ან,

„ზის მაფშალია ალუბლის ტოტზე
და კენკავს სხივებს, ვით პურის თავთავს.“

ან,

„ზეცა — ვით მიწა, მიწა — ვით ზეცა,
იქნება ჩემი აკლდამის კარი.“

ჟურნალ „ოლეს“ ხსენებულ ნომერში დაბეჭდილია აგრეთვე თუშეთში ცნობილი მოლექსეს (ამავე ავტორისაა, ცნობილი, ხალხურად გახმაურებული ლექსი „შირაქის გზაზე“) იროდიონ რაინაულის პოემა „გოდება შოთა რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ მირთმევა თამარ მეფისადმი“.

დიდი მადლობა ბატონ ფარნას, რომ წარსულის მეხსიერების სკივრიდან ასეთი შესანიშნავი ნაწარმოები ამოიღო და მის მარგალიტებს დაგვანაფა. პოემა ორმაგად ღირებულია იმიტომ, რომ, ჯერ, ერთი, იგი თავისთავად შესანიშნავ პოეტურ ნააზრევს წარმოადგენს, მეორეც, მას ახლავს წარსულის სურნელი და, ის, მშვენიერი უბრალოება, რაც ხალხურ მელექსეთა ნაწარმოებებისთვისაა დამახასიათებელი.

მაგ:

„რაზომ განრისხდა სანუთრო,
მეკვეთა ლხინთა მძოველად,
გლახ, მომეახლა ზამთარი,
უზომო ფიფქთა მთოველად.“

ან, შესანიშნავი სტრიქონები, რომლებშიც ქართველ ვაჟკაცთა ცხოვრების კრედო ვლინდება:

„ჭირსა აროდეს შეუდრკეს,
ვაჟკაცი, სახელდებული,
ბედის მონა და მორჩილი
ნუმც არის დაბადებული.“

ან, ორიგინალური პოეტური სახე, რომელშიც პოეტის მუზასთან ჭიდილია გადმოცემული:

„მარგალიტებს ყორედ აგებს,
არად უღირს ოფლში წურვა.“

ან,

„დაჯდა და ბევრი იტირა,
ცრემლით დასეტყვა ბალები,
ვით — მეფემ, — დამარცხებულმა,
დახარა ბაირალები.“

პოემა სავსეა ამგვარი ბრწყინვალე პოეტური სახეებით.

მოხარული ვარ, რომ კიდევ, ერთხელ, მიწევს საუბარი ფარნა რაინას „კატრენებზე“.

მაინც, რაში მდგომარეობს ამ, პატარა, პოეტური მარგალიტების მომხიზვლელობის საიდუმლო?

თვითეული კატრენი უდიდეს აზრობრივ დატვირთვას შეიცავს სწორედ, ამიტომ, ამბობს პოეტი, „XXI ს-ის მკითხველს, რაც შეიძლება ცოტა დრო უნდა წაართვა და... ბევრი უთხრა“.

რა ღუპავს კაცობრიობას? პოეტის აზრით, კაცობრიობას ღუპავს ძალმომრეობა, პირადი ამბიციები და, მხოლოდ, პიროვნული ინტერესები. მეც სავსებით ვეთანხმები პოეტს, რადგან ეგოიზმი და, პირველ რიგში, ამპარტავნება, ის მომაკვდინებელი ცოდვაა, რაც კაცობრიობას გადაგვარებით ემუქრება. როგორც ბიბლია გვასწავლის, განა ამპარტავნებამ არ აქცია ანგელოზი სატანად?

მაინც, რა არის გამოსავალი, რაც ჩვენს სულს, ჩვენს პლანეტას და სიცოცხლეს გადაარჩენს? რა უნდა დავუპირისპიროთ ამ მომაკვდინებელ ცოდვას?

ჩემი აზრით, მას უნდა დავუპირისპიროთ სათნოება, თავმდაბლობა, მოკრძალება და, პირველ რიგში კი — სიყვარული. ეს ლაკონურად გადმოცემულია შემდეგ კატრენში:

„სიძულვილით —

მაისიც კი მარტობს,

ჭკნება — ვარდი,

ხარობს ნარი,

ლოლო...

სიყვარული გადაგვარჩენს, —

მარტო...

სიყვარული გადაგვარჩენს, —

მხოლოდ...“

ადამიანის უმთავრესი ფუნქცია და დანიშნულება ადამიანად ყოფნაა. ურთიერთგაგება, ურთიერთპატივისცემა, მეგობრობა, თანადგომა და თანაღმობა, ანუ, სხვისი ტკივილის გათავისების უნარი. თუ ეს თვისებები გახასიათებს, მაშინ, ჭეშმარიტი ქრისტიანი ხარ.

„თუ გნებავს,

იყო — ნადავლიანი

მზისებრ — ბრძენი

და... მზისებრ — მართალი,

ჯერ, უნდა იყო —

ადამიანი,

მერე — მეფე და...

მერე — სარდალი...“

ამ სტრიქონების წაკითხვისას, თითქოს, დიდი წარსულიდან, დიდი წინაპრის, სულკურთხეული, ბრძენი, „გალობანი სინანულისანის“ ავტორის, დიდი დავით აღმაშენებლის სახე ამოცურდება.

დიდი გულისტკივილი, ჭეშმარიტი მამულიშვილის დიდი გულისტკივილია გაცხადებული შემდეგ სტრიქონებში:

„ვინ — ძერა არის,

ვინ — ქორია,

ვინ კი — ნიბლია,

ვინ — დადის აზრით, —

სატანურით,

და... ვინ განგების?!

შენ ილაღადე —

თუნდაც,

ერთად,

ასი ბიბლია,

ვინლაა მისი —

ან — მომსმენი,

და...

ან — გამგები?!“

ან, — გულიდან ამონაკვნესი: „ავაჰმე“, რომელიც, კიდევ, ერთ მაღლიან ქართულ სიტყვებს აცოცხლებს:





„როდემდე —
დარდის ბორანო?!
როდემდე —
ჭირო მალულო?!
ავაჰმე,
ნადიდგორალო,
ნაშამქორალო,
მამულო?!“
ადამიანს ერთი, ყველაზე დიდი, მტერი ჰყავს —
საკუთარი თავი. სწორედ, ეს აზრია გაჟღერებული
კატრენში: „რად გვიკვირს?“
„რად გვიკვირს?!
რატომ გვატყდება რისხვა? —
სიცოცხლის ვარდი
რად ხდება ძეძვი?!
სხვებს რომ ვაბრალებთ, —
ვინ სხვა და... რის სხვა?!
სუყველა, — თვითონ,
თავის თავს ებრძვის.“
დიდი, ფილოსოფიური, სიბრძნე დევს კატრენში:
„თუ“

„უნდა იცოდე —
სიბრძნე, —
ლერნამო,
რომ არ გეგონოს
ჭიკჭიკი მერცხლის,
თუ, ხარ — იესო,
უნდა ენამო,
თუ, ხარ — იუდა,
აილო ვერცხლი...“
კვითხულობ კატრენს: „უფრორე“ და, რატომ-
ღაც, ასე მგონია, რომ — ამ კატრენის ადრესატი
ჩვენი სათნო, ბრძენი და კეთილშობილი პატრიარქია:
„სიდარბაისლე
რარიგად გშენის, —
ყოველთვის სწონი:
ფიქრს, აზრს და სიტყვას...
თუ, რამე მიყვარს,
უფრორე — შენი —
ოლიმპიური
სიმშვიდე მიყვარს...“
პოეტი თავისი კატრენებით გვარწმუნებს, რომ
„ჭეშმარიტი ბედნიერება არის უფლის რწმენა და სი-
ყვარული, სიკეთე, მაღალი მორალი, მაღალი ზნეობა
და, ამ ყველაფრით, გამორჩეული ღირსება, რომელიც
ადამიანს აახლოებს ღმერთთან, რამეთუ „უფალმა
ადამიანი შექმნა სახედ და ხატად თვისად“ და, ჩვენ,
ყველანაირად, უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი რწმენით,
საქციელით, ცხოვრებით უფალს, უფრო, მეტად და-
ვუახლოვდეთ.“

„კატრენები“ გამოირჩევა ცოცხალი პოეტური
სახეებით; ზოგჯერ, პოეტი სრულიად ახალ პოეტურ
სახეს ქმნის, მაგალითად:
„გულის მზე, თუნდაც, ზეცამდე ასნი,
ვერ გაიხადე კაეშნის მანტო...“
„კაეშნის მანტო“ სრულიად, ახალი, მოხდენილი
სახეა.

გემოვნებიანი მკითხველისათვის, კატრენებში,
უდავოდ, შესამჩნევია ფრაზის სისხარტე და მო-
ქნილობა, აგრეთვე — კონკრეტიკა და ლაკონიზმი,
დიდი, ფილოსოფიური, სიბრძნე და... ყოფიერების
არსში წვდომა, რაც, ასე, ღირებულს ხდის მათ.

ხსენებულ ნომერში დაბეჭდილია რეზო ადამიას
— „მომაკვდავი ცხენი.“
მწერალი, ამ მოთხრობაში, თავისი ბავშვობის ერთ

ეპიზოდს აცოცხლებს; თუ, როგორ იპოვეს მდინარე
მერსიოლეს ნაპირზე მომაკვდავი ცხენი. „საცოდავს
უპეები ჩაყვითლებია და ტანჯვის ცრემლი შემო-
ბია. საიდან და რისგანო და უამრავი აბეზარი, ცერა
თითისოდენა მუქი ლურჯი მონადირე ბუზები სახეზე
და თვალბზე დასევია.“ აქვე მჟღავნდება ბავშვის
კეთილშობილი ბუნების ერთ-ერთი ნიუანსი: „შეძ-
რწუნებულმა უმალ პერანგი გავიხადე, ნერვიულად
გავფერთხე და საზიზლარი პარაზიტები მოვაშორე.“

ბევრს ეცადნენ ბავშვები, მაგრამ ცხენს ვე-
რაფერი მოუხერხეს. ამასობაში, დაღამდა კიდეც და
სახლებში წავიდნენ.

უსაზღვროა ბავშვის ფანტაზია, — რაღას აღარ
ფიქრობს იგი,

მაგრამ... თენდება მეორე დღე და, იგი — სამ-
ნუხარო რეალობის წინაშე დგება: „უკვე უბოროტესი
სიკვდილის უსაშველო გარემოცვაში ჩავარდნილს,
ბნელეთის ტურებიც გაცოფებულნი აჩქარებდნენ
მსწრაფლ მოკვდინებას და სიცოცხლის ამომძიკვა-
ვის თანაშემწეებს მის დაძაბუნებულ სხეულზე, აგრე,
თავისუფლად უთარეშნიათ.“

ეს ეპიზოდი მკითხველს სევდიან ხასიათზე
აყენებს, მაგრამ ჩნდება, მოულოდნელად, იმედი-
ანი ფინალი, რომ... სიცოცხლე, ისევ, გრძელდება
და გულს სიხარულით ავსებს: „მწვანემინდვრიან
ნაპირზე, სადავითაიოს უბნის ნაცნობი ბავშვები,
ჩვენი ზოგიერთი კლასელიც რომ ერია, რამდენიმე
უბელო ცხენზე მარდად შემჯდარნი, ვაჟკაცურად
მიაჭენებდნენ სოფელ კვარჩალაუს მთის მიმარ-
თულებით. ჩვენს გაოცებასა და სიხარულს საზღ-
ვარი არ ჰქონდა, როცა ვიხილეთ, მათგან ერთ-ერთი
— გუშინდელ — უკვე არარსებულ ცხენს მიმსგავსე-
ბული ტანის ფერებიანი რომ ერია.“

მოთხრობა გამთბარია დიდი საკაცობრიო ჰუ-
მანიზმით. სადა და დახვეწილია მწერლის ენა. იგი,
ზოგჯერ, სრულიად ახალ სიტყვებს ქმნის: „ჩა-
ჯირკული“, „წყალსუფთა“, „წყალსირბილე“, „წყნარ-
მავალი“, და სხვა.

ნომერში დაბეჭდილია, აგრეთვე, ციური ბადუ-
რაშვილის ნერილი „უაღრესად საჭირო ქართული
საქმე“, სადაც ავტორი ჟურნალის ჭეშმარიტი გულ-
შემატკივრის პოზიციიდან გვესაუბრება: „მოვუნო-
დებ ყველა ქართველს, ყურადღება მიაქციონ ჟურ-
ნალ „ოლე“ შემოქმედებით კოლექტივს, ნაიკითხონ
ჟურნალი „ოლე“ და... სულიერად ამალდნენ.“

მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო აკაკი ბი-
ძინაშვილის ლექსებზე. პოეტის ანთებული სულის
ნაჟურია ლექსი „ოდა საქართველოს.“

„სუყველაფერი იწყება შენით
და ყველაფერი შენით მთავრდება.“
ნაზი და რომანტიკულია საყვარელი ქალისადმი
მიძღვნილი ლექსები, სევდა და ტკივილი ახლავს ნარ-
სულის გახსენებას:

„შენ იყავ ისე ლამაზი გოგო,
შენ მეოცნებე თვალები გქონდა,
ჟამთა ტრიალში დაბერდი როგორ...
იმ მხარეს განა რა ქარი ქროდა?!“
და... პოეტის მოკრძალებული თხოვნა, ადამიანში
მუდამ კარგი ვეძებოთ:

„აღმოაჩინე საუნჯე ჩემში,
ნაკლოვანებებს რატომ დაეძებ?!“
ჩემთვის, — მოულოდნელი და სასიამოვნო სი-
ურპრიზი იყო ჟურნალ „ოლე“ ხსენებულ ნომერში
ჩემი საყვარელი მასწავლებლის, ივანე ქეშიკაშვილის
ლექსების აღმოჩენა. ამ ლექსებმა ჩემი საყვარელი



ადამიანის შინაგანი სამყარო სხვანაირად გამიხსნა და დამანახვა.

„მახსოვრობიდან არ ქრება მაინც, პირველი გუნდა, თოვლის ფანტელი — განდობა, ტრფობა და სიყვარული და მოციმციმე წმინდა სანთელი.“

საინტერესოა პოეტის მოსაზრება ნუთისოფელზე:

„აქ რასა ვტოვებთ სამზეოს, რა გვრჩება მოსაგონარი? — ზოგისთვის, საკარგემო ითქმის, ზოგიც დარჩება მცონარი... არაფერია ახალი, უთქმელი, გაუგონარი“.

განსახილველი ჟურნალი მოიცავს, აგრეთვე, მარიამ ძამუკაშვილის ორ მოთხრობას: „ბუნების საუფლონი“ და „სიზმარი“.

მოთხრობა საინტერესოდ იწყება: „სენტიმენტალური ადამიანი ხედავს და უდიდესი ძალით შეიგრძნობს ყველაზე უმნიშვნელო დეტალს, მოვლენას, სამყაროს მოკვდავთათვის რომ უბოძებია.“

და... აი, ავტორთან ერთად, მეც ვმოგზაურობ ტყის იღუმალ ბილიკებზე და ასე მგონია, რევანზ ინანიშვილის ჯადოსნურ სამყაროში მოვხვდი, სადაც „ფოთლოვანი ტყის მორევში აქა-იქ ნაძვის ხეთა კორომები მოჩანს. ქარის ქროლვაზე მსუბუქად ირწევა რცხილისა და წიფლის ვარჯები. შუადღის ხვატმიც კი ტენიანი და გრილი ბინდბუნდი სუფევს.“

ღრმა ხეობაში მშვიდად მონანკარებს ნაკადული. ძლივს ასველებს ხავსიან ფსკერს ფოთლებისა და წვრილად დაფშვნილი, გაჭეჭილი ტოტების სასაფლაოდ რომ ქცეულა.“

აქვე, — მოსდევს ეთერ არჯევანიძე-ზუბაშვილის ორი მოთხრობა.

მოთხრობაში — „სიკვდილამდე ერთგული“, დახატულია ოთხმოც წელს გადაცილებული გოგის სახე, რომელიც კომუნისტი იყო და სიცოცხლის ბოლომდე ამ იდეოლოგიის ერთგული დარჩა: „ქეთო, კომუნისტებზე მეტი არაფერი თქვა, თორემ, ნამეტანი მანყენინებ, — გაბრაზებული კედლისკენ გადაბრუნდა და მეტი აღარაფერი უთქვამს.“ ეს სახე მაგონებს მამაჩემს, რომელიც ასევე ასაკოვანი გარდაიცვალა, ზუსტად, ასეთივე განწყობით.

მოთხრობაში „მოლოდინი“, გვებრალება დედა, რომელმაც აფხაზეთში დაკარგული შვილის სახელზე ყვავილნარი გააშენა. ჩვენც კარგად გვესმის ავტორის გულისტკივილი:

„ომი უბედურებისა და სიკვდილის მთესველია. რამდენი ახალგაზრდა დაიღუპა, დასახიჩრდა, ბევრი პატარა დაობლდა.“

ჟურნალში დაბეჭდილია, აგრეთვე ოთარ რურუას ლექსები. საოცარია, როგორ მოახერხა ახალგაზრდა პოეტმა არსაკიდის უფაქიზესი სულის კუნჭულებში წვდომა:

„თუმც გული დამრჩა კვლავ ღია,
მკლავი მიკურთხა გამჩენმა!
შორენა — ჩემი დარდია,
ტაძარი — ჩემი მარჯვენა!“

პოეტში დედის ასოციაციას იწვევს ოთარაანთ ქვრივი:

„მამ, ვიჯეროთ გული —
ტირილით და სევდით,
შენ — საფლავზე შვილის,

მე — საფლავზე დედის...“

წარსულის სუნთქვა და სინაზე, მამულის სიყვარული და ბავშვობის ზღაპრების მოგონება იგრძნობა ქეთევან ათუაშვილის ლექსებში:

„იქ, ჩემი ბავშვობა ჟღერტულვებს,
ვითარცა — ბელურა თოვლში...“

რუბრიკაში: „თარგმანი“, დაბეჭდილია ალექსეი რიასკინის მოთხრობა „ალუბლები“, რომელიც დახვეწილი ქართული ენით თარგმნა აკაკი დაუშვილმა.

რუბრიკას: „ლიტერატურული წერილები“ — ამშვენებს ზაალ ბოტკოველის „ლეგენდებისთვის“, რომელიც, მართლაც, ლეგენდარულ ქართველ მომღერალს, ჰამლეტ გონაშვილს ეხება. ამავე ავტორის წერილი „მზიური სულის ანარეკლი“, ჩვენს თვალწინ, სწორუპოვარ ქართველ კრიტიკოსს, გურამ ასათიანს აცოცხლებს, ხოლო წერილში „განწირული... დიდი სიყვარულისთვის“ ქართული საბავშვო პოეზიის კლასიკოსზე — გივი ჭიჭინაძეზეა საუბარი.

ამავე რუბრიკაშია დაბეჭდილი ანზორ ჯაფარიძის „იყალთოს ცაო, ლურჯთვალავ“, რომელიც ეველინა ხუციშვილის შემოქმედებას ეხება.

ნომერში დაბეჭდილია, აგრეთვე, მარინა მალაშვილის მეტად საინტერესო წერილი: „ბრძოლა „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ“, რომელშიც ორიგინალური მოსაზრებებია გამოთქმული „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ დებულებასა და „ახალ აღთქმასთან“ დაკავშირებით.

რუბრიკა: „სკოლის ცხოვრებიდან“ მოიცავს ნუნუ ძამუკაშვილის წერილს „სამაგალითო სასკოლო მუზეუმი“, სადაც იმდენად ამომწურავად და მალაშხატვრულადაა გაშუქებული VII სკოლის სასკოლო მუზეუმის ისტორია, — მისი დაარსებიდან დღემდე, რომ მკითხველს სურვილი უჩნდება პირადად მოინახულოს ეს მუზეუმი.

აქვეა, — ნანა ჭიჭინაძის საინტერესო წერილი პოეტ თემურ ჩალაბაშვილის 65 წლის იუბილესთან დაკავშირებული შემოქმედებითი საღამოს შესახებ.

ჟურნალს ერთვის რუბრიკა: „ახალი წიგნები“, რომელშიც საუბარია პოეტ მარიამ კოზმანიშვილის მიერ შედგენილ წიგნზე „ფაცებოოკ-ის სკივრიდან“, რომელიც ნუნუ ძამუკაშვილს ეკუთვნის. იგი უჩვეულო სიფაქიზითა და პროფესიონალიზმით ახდენს ამ წიგნის მიმოხილვას და მართებულად აღნიშნავს, რომ „მართლაც ძვირფასი საჩუქარია ეს წიგნი, როგორც ავტორებისათვის, ისე — ფართო მკითხველისათვის.“


ნომერი ილუსტრირებულია უდავოდ ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრის, ნათელა (ნათია) შალამბერიძის ორიგინალური ნახატებით, რომლებმაც, კიდევ ერთხელ, მამოგზაურა ჩემი ბავშვობის სამყაროში და სასიამოვნო, ტკბილი წუთები განმაცდევინა.

თვალს ახარებს ხასხასა, მსუყე ფერთა პალიტრა. „ზამთრის პეიზაჟი“, „ჭორიკნები“, „ხვავი და ბარაქა“ — ეს ჩემეული დასათაურებებია. ამ ნახატების თვალთვლებისას სულში პოეტის სიტყვები ხმინებს:

„არ მინდა დარდი, — თავისთავადი,
სულში ნისლივით შემოეხეტოს,
ღმერთო, მომეცი იმის ტალანტი,
ქვეყანას ბავშვის თვალთ შევხედო!“

ვფიქრობ, რომ ჟურნალ „ოლეს“ მკითხველებს, ამ ნომრის გაცნობით, მრავალი სასიამოვნო სიურპრიზი და დიდი ესთეტიკური სიამოვნება ელით.





რეზო ალაშია

მე ვხატავ სინაგოგებს



სინაგოგების უცნაური და იდუმალი მხატვრული ფერსახე, ღრმა სიყვარულით გადამაქვს ფერწერულ ტილოებზე. ასევე, პერიოდულად ვმუშაობ მეჩეთების სურათებზე, თუ ბუდისტურ სალოცავებზე. ხოლო დედა ეკლესიათა ხატვისას შინაგანად იმდენჯერვე ვიბადები, რამდენჯერაც მათ სურათად გარდავსახავ.

სინაგოგას რომ ვაფერმწერებ მათში კოსმიურ უცხო ქარგას ვგრძნობ თავისთავადს. შერჩეული მოტივის მხოლოდ ეგზოტიკა და სილამაზე როდი მიზიდავს, არამედ რაღაც გამოუცნობი გარემოცვაში ვეხვევი და უხილავი სიყვარულითვე ფერწერულად ვასურათებ მათ...

მიუნდომელი უფლის კანონებიდან გამომდინარე, ადამიანებმა ერთმანეთს, ღირსეული კეთილმინზური პატივი უნდა მივაგოთ; თანმიმდევრულად ურთიერთის სალოცავებიც უანგაროდ უნდა გვიყვარდეს, როგორც ხელოვნების ნიმუშები, ასევე მათი რელიგიური, იდეური მნიშვნელობაც... ამგვარად ხომ, ჩვენში მარადიულ ღვთიურ მცნებათა კეთილშობილებას უფრო გავალრმავებთ.

სინაგოგებს მე, სულის მიზანსწრაფვის მეოხებით, მხატვრულ ტილოზე ფუნჯით და ფერებით ვეფერები...

1980-იანი წლებია, შემოქმედებითი და ისტორიული გათვითცნობიერების თვალსაზრისით გამიზნულ დღეს, საგანგებოდ მოვინახულე სოფელ ბანძის დიდი სინაგოგა; მარტვილის რაიონი, მაშინდელი გეგეჭკორი. მანქანა სინაგოგასთან ახლოს, გზის პირას გავაჩერე და საშინელების ხილვით გაოგნებული ვადმოვედი. რას ხედავს ჩემი თვალები, სინაგოგის ეზოს ღობე მთლიანად დარღვეულია და მიწასაა გასწორებული. სალოცავის კარი ღიაა, შიგ პირუტყვი თავისუფლად შედის და დასეირნობს. ამდგვარი სამარცხვინო სურათი როგორ დავხატომეთქი და უკიდურესად გავნერვიულდი. მაშინათვე დავქოქე მანქანა და რაიონის ცენტრში, აღმასკომის თავმჯდომარის — ფაილოძის კაბინეტში გეახელით. ურთიერთმოკითხვის შემდგომ, მასპინძელს მივმართე, უპატივებელი სირცხვილია და საქვეყნოდ თავი მოგვეჭრა ქართველებს, ეს რა დღეშია ბანძის სინაგოგა, ამ ბოლო პერიოდში საერთოდ თუ მოინახულეთ ისტორიული ძეგლი-მეთქი; ამ დროს, ისრაელში ებრაელები ჩვენს სალოცავებს უფრთხილდებიან, ჩვენ კი? ამით დამთავრდა ჩვენი შეხვედრა (იმ წლებში ეროვნული მოძრაობის წევრი ვახლდით და...) შემდგომ, როგორც ვადმომცეს, მეორე დღესვე აკაციის მესერიით და მავთულბადით შემოუკავებიათ სინაგოგის ეზო და მავთულბადითვე პატარა კარიც დაუკიდ-

იათ. სალოცავის ძველებური კარი ბოქლომით ჩაუკეტიათ. იმ პერიოდში, რვა წლის განმავლობაში, ძველი სენაკის, მაცხოვრის დაბადების სახელობის მძიმედ დაზიანებული გუმბათოვანი ეკლესიის აღდგენაკონსერვაციას ვხელმძღვანელობდი.

რამოდენიმე დღის შემდგომ, ძველი სენაკიდან ისევ ჩავედი მრავალი საუკუნის მეგრელი ებრაელების მშობლიურ ბანძაში, იგივე მიზნით და სასიამოვნო შედეგით კმაყოფილმა, ჩვეულებრივზე უფრო ამალელებული შემოქმედებითი განწყობილებით იმ დღესვე დავხატე უძველესი აგურის სინაგოგა და ხის მასალისგან გვიან მიშენებული, აჯიამვილების საგვარეულო მცირე სალოცავი. მერე აირია ქვეყანა და თითქმის განადგურდა სამშობლო ჩვენი. საქართველოში სასიკვდილოდ დაერივნენ პატრიოტებს, უსათუოდ კომუნისტური შურისძიება იყო საშინელი. ძმამ ძმას ესროლა და სამოქალაქო ომის გაჩაღებით გაახარეს მეზობელი, უკიდევანო სივრცის მქონე ქვეყანა. იმ უმძიმეს პერიოდში აჯიამვილების საგვარეულო მცირე სინაგოგა-სალოცავი, სამწუხაროდ, მოიშალა — დაიკარგა, გაქრა და უკვე არ არსებობს... ღვთის ნებით, ის მხოლოდ მუდმივად, ჩემს ფერწერულ ტილოსდა შემორჩა. სურათი ამჟამად ორმხრივი მნიშვნელობისა გახლავთ, უპირველესად ხომ მხატვრული ღირებულებისაა, მეორე კი, ისტორიული ფაქტია ებრაელი ხალხისა... (ნახატი ებრაელთა მუზეუმში ინახება).

მაშინ, როდესაც ეს მოვლენები ხდებოდა, სენაკში მეგობრული შეხვედრები მქონდა მშვენიერ ებრაელ გოგონასთან, გვარად წინუაშვილთან. ძალიან განათლებული ადამიანი ვახლდათ. ერთ მზიან დღეს, სენაკის ცენტრში, ბალის წინ ვდგავართ, სადაც ფოტოგრაფები იკრიბებოდნენ. ვსაუბრობთ სხვადასხვა თემაზე ეპიზოდურად. მერმე თავისი ლამაზი, მშვიდი, სევდიანი, მოცისფრო თვალებით დამაკვირდა და მეკითხება — რეზო, გულწრფელად გამეცი პასუხი, ებრაელების მიერ სენაკის, ბანძის და საერთოდ საქართველოს დატოვებით როგორი გრძნობები გეუფლებათ. მე ჩემს მშვენიერ მეგობარ გოგონას დაუფიქრებლად ვუპასუხე, თითქოს და ჩემო კარგო, საქართველომ ერთ-ერთი ღვიძლი კუთხე დაკარგა სამუდამოდ-მეთქი, ზეციური ცრემლით აევსო მას ულამაზესი თვალები. მადლობელი ვარო მითხრა და თითქოსდა მთამსვლელის ერთ-ერთ მწვერვალზე ამავალი, ძალიან დაღლილი ტანით დამშორდა... იმ დღიდან ის ასული მე არ შემხვედრია. ალბათ ოჯახთან ერთად წავიდნენ ისრაელში. აი, ესეც კოსმიური ტრაგედია ჩვენს თავზე...

სინაგოგათა ჩემეული ყურადღებითა და მათი





ხატვით, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოსდა, ჩემი დედა ეკლესიის შემწყნარებლობას და კოსმიურ ჯანსაღ მთლიანობას თანდაყოლილად გამოვხატავდე. ჩვენს სულელებს, მომავალში სამყაროს უძლეველი წესრიგი უთუოდ ღვთიურად გააერთიანებს და ადამიანურ თანდაყოლილ სისუსტეებს კაცთა სასიკეთოდ ჩამოგვაცილებს. დროთა ჟამში ქვეყნის უკეთურმა ძალებმა ერთმანეთს დაგვაშორა და დაგვაპირისპირა. დედამინა, ბიბლიურ გაკვეთილად, ყველა ჩვენთაგანს თავის ალაღმართალ მკერდში ერთნაირად იხუტებს; რადგანაც პლანეტა ჩვენი წმიდათანმიდა მთლიანობის პატრონი სხეულია უმტკიცესი სამყაროსი. მზე კი, ყოველ ნებისმიერ პლანეტელს თანაბრად სანუკვარ სიცოცხლეს ზეძალებით შთაბერავს. ისმება კითხვა, საიდან მოდის ან როგორ შემოგვრჩა თანამედროვეებს ეს კოსმიური სახის შემწყნარებლობა? უძველესი ადამიანები, დედამინაზე მცხოვრებნი, მზის თაყვანისმცემლები, ეჭვს გარეშეა ჩვენზე ახლოს იყვნენ კოსმოსთან და მისტიკურად შორეული ინსტინქტებით ურთიერთობდნენ. თუმცა ეპიზოდური ომები მაშინაც იყო სამწუხაროდ. ნებისმიერი ადამიანი

გარკვეული პროცენტებით დაბადებიდან სატანის გენს ატარებს.

ვაი ჩვენი ცოდვა ის თუ ამოუძირკვავად ზის ჩვენში. ისევ და ისევ ამ თანდაყოლილი სენის მიმართ აღმსარებლობითმა უკომპრომისო აზროვნებამ უნდა გვიშველოს, რელიგია უებარი სულიერ-ზნეობრივი წამალი და მკურნალია

ადამიანებისა, მასთან განშორება სიცოცხლის დაღუპვაა. უსიცოცხლოდ კი სიბნელეც საცოდავია. თუ რამე ომები და ურთიერთდევნები იყო ოდითგანვე დედამინაზე, ეშმაკი და ნანილობრივ ადამიანთა ინდივიდუალური უსასტიკესი უზნეობები მოქმედებდა. მესამე ათასწლეული — წინ შორეული დროა. გავიხედოთ კოსმიურ უსასრულობაში მორაული ზეზ-



რეზო ადამია ხატვისას

ნეობისაკენ. ვიაზროვნოთ უფრო სულიერად, ვიკვებოთ და ვიცხოვროთ ზეციდან მომდინარე უფლისმყერი ზნე-წესკანონებით. შედარებისთვის ერთ-ერთი უზარმაზარი მაგალითი მინდა მოვიყვანო, როგორც უდიდესმა კომპოზიტორმა ამაღეო მოცარტმა კოსმიური სივრციდან ჩამოგვიტანა შემდგომ მოცარტისეულად გარდასახული გენიალური ბგერები და ჰანგები. კომპოზიტორის დონის სხვადასხვა მიმართულების ადამიანები (მაგალითისათვის გამოუღვეველი ოქროს საბადოა აინშტაინი) გამოჩნდებიან ჩვენი პლანეტის და მზის ჭემმარიტი კანონ-წესრიგ ნყოფის კაცთა ზნეობაში ჩამკირველნი, ათი მცნების დონეზე. მჯერა, ყოველივე მომავალში მოხდება აუცილებლად.

სულით უახლოესნო! უკიდურესად გვიყვარდეს ჩვენ-ჩვენი რელიგიები და პატივი ვცეთ ურთიერთისას. აი, მაშინ ეშმაკი განიდევნება ჩვენგანვე შევინროებული და განამებული მარად მღუმარე პლანეტადან...

მე ვხატავ სინაგოგებს სიყვარულით და არა მხოლოდ მათი სილამაზის ხათრით.

სინაგოგას მე აღვიქვამ ისე, როგორც უწყვეტ ცოცხალ კოსმიურ კაპილარს.

მეჩეთი, ეკლესია, ბუდისტური სალოცავი, სინაგოგა თუ მრავალი სხვა რელიგიური კერები, სამყაროს ზნეობრივ სულიერი უძირო ფონდიდან მომდინარე სრულყოფილი ზეციური ჭემმარიტების სახეა. ისინი ხომ ადამიანებზე ბევრად ამაღლებულია და მათგან, სულით,

გონებით და გულით დღენიადაგ ბავშვით უნდა ვიკვებებოდეთ...

სატანა სამყაროს შავი ხვრელებიდან გამომავალი, ქვეყნიერების სუფთა — კოსმიური სივრცის დაჭუჭყიანებაა და ყოველმა ჩვენთაგანმა უშიშრად, უშრეტი ძალებით უნდა ვებრძოლოთ როგორც ამ ქვეყნად, ასევე იმ ქვეყნიურობის მარადიულობაში...



ქრისტიანული პოეზიის VII ოქსფორდი „წმინდა ნინოს ჯვარი“

ქრისტიანული პოეზიის ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“ ტარდება 2011 წლიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.

ფესტივალის დამფუძნებლები არიან: სამშვიდობო ორგანიზაცია „სადაკო“, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ლიტერატურული ჟურნალი „ოლე“, წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის სალიტერატურო ჟურნალი „საქართველოს მოამბე“.

15



ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე
ლია დაუშვილი

ჟიური:

მამა ილია ჩიკვაძე

ზაალ ზოტკოველი (თავმჯდომარე)

მანია მიქაია

თემურ ჩალაბაშვილი

მანანა ჩიტიშვილი

იესო

წლებმა ფუტკრის გუნდით
დარდი დამასიესო,
ვით ყვავილებს ნუშის...
არსად არ მიძებნიხარ,
ჩემო ტკბილო იესო,
აქა მყავდი, გულში.

განა შენ არ მიხსენი
ყოველგვარი იჭვიდან,
თვალთ ამხსენი ბანდი...
მომყვებოდი გვერდით და
როცა ძლიერ მიჭირდა,
ხელში ამიყვანდი.

როგორ მომიგურგურე
ქარიშხლებით ნაოხარს,
ვით ობოლს ნერგს ფიჭვის...
ხომ შენ მიერ მებოძა
სულის ჩემის საოხად
ლექსის წერის ნიჭი.

ჩემს დაბინდულ ცარგვალზე
გააბრწყინე ცისკარი,
დამიამე წყლული...
შენ არ შემომაბრუნე
ლეთის ნაპირს მიმდგარი,
ჩვეულ სასწაულით.

ანგელოზნი გალობენ —
„მამა ღმერთთან ჰგებოსო,
ცა ვარსკვლავეთს უშლის...“
მე არსად არ დაგეძებ,
ჩემო ტკბილო იესო,
აქა მყავხარ, გულში.

ვანო ჩხიკვაძე

ქაშუთი — გუფიაშვილის ფრესკა

მარიამო, გაბმით რეკავს
ქრისტეშობის ზარებს გული —
ყრმა იესო მერცხალია
ხელში შეფრთხილებული.

მარიამო, უნანავებ
მოჟღურტულე ცეროდენას,
ჯერ არ იცი, რომ ჯვარცმა და
ცრუ ამბორი ელოდება.

ჯერ არ იცი,
კაცთა მოდგმა
სულს მოითქვამს მისი ლოცვით,
გაივლის და ფეხისგულებს
დედამინა დაუკოცნის.

შეჟრჟოლდება ნატერფალიც
იორდანეს ნაპირებთან,
როცა შესძრავს ქვესკნელსა და
ზესკნელს შენი დატირება...

ჯერ კი მამა უფალი დგას
ვარსკვლავების რიკულებთან
და ფრესკიდან, ბედნიერი,
დედა ღვთისა იყურება.



ზონა ვაჟაკიძე

შიშველ ფეხებთან გინყოზ სუსამბრებს

სონეტი ქრისტეს

შენი ტერფების მოფერება სურდათ გვირილებს...
ნაკადულები გამორბოდნენ... რომ შეგხებოდნენ,
კრძალვით, ამბორად იხრებოდნენ მათაა ჩრდილები
და შენს ფეხებთან ნაგაზივით უხმოდ წვებოდნენ.
გზებზე ტკივილებს ერვეოდი თანდათანობით...
და იწყებოდა სისხლიანი დიდი წერტილი,
სინაის მთაზე ქანაობდა მზეში ქანობი
და მენამული ფერით იყო დღე გაჟღენთილი.

ხვიდოდი ხალხში... სიყვარული გქონდა უღვევი...
მშობლიურ მიწის ცვარ-ნამს სვამდი ფეხის გულებით.
იტანდი თმენით, ტკივილებით წამებულ სვე-ბედს,

ეს ფიქრი ახლა მტკივან სულს ამღვრევს...
მოვდივარ ხატთან, ვეფერები შენს შიშველ ფეხებს
და სასაოებით გინყოზ სუსამბრებს....

ნიწო მოღრეკილაძე

აღდგომა ბერთა ქალაქში

დავით გარეჯში მოწყვეტილთათვის

ექვსი ათასი ბერი, დაყუდებული გარეჯს,
ალამ მოინადირა შურთხი,
როცა აღდგომის ღამე
განათდა სანთლისიკვდილით — სიკვდილს თრგუნავს,
შემსწრე მაჰმადის თარეშს.

ბერთა ქალაქში შუქით...
ალამ იკითხა. ჰკადრეს: ქრისტე აღდგაო! — მეფევე,
დავით გარეჯის მიწა
გვწვავს და გვიცხელებს ტერფებს.
ადიდებენო უფალს! წმინდა აღდგომის ცეცხლი
შემოატარეს ტაძარს,
ლუზას მიუგავთ კვერთხი!
სიზმარია თუ ცხადი, გვრგვინავს სპარსეთის ლომი,
ლოცვა მართალთა, ცამდის
ადის და წვიმად მოდის.
არსენს, ბერებში რჩეულს, ეუნყა უფლის ნება:
ზეცად გიხმობთო, გმართებთ
დღეს მამის მორჩილება.
ჯარი დაიდრა... ლავრას ეზიარება საძმო,
ქრისტეს სისხლი და ხორცი
მიიღეს სულის საზრდო.
ლხინობს შაჰი და გარეჯს, უფლის კრავები, ნებით
წმინდანთა კარავს დგამენ,
თავს აწვიმთ გვირგვინები.

ექვსი ათასმა ბერმა, დაყუდებულმა გარეჯს,
სიკვდილს — სიკვდილით სძლია,
სძლია ურჯულს თარეშს.



თამარ ფარჩუკიძე

„იქმენინ ნათელი!“

(გენათის მონასტრის 910-ე წლისთავისადმი)

სამეცნიერო სივრცეში გაზიარებული თვალსაზრისების მიხედვით, სახელწოდება გელათი უკავშირდება ბერძნულ (გენეთიტო — შობა) და ივრითის (შარ-ლი-განედენ — სამოთხის კარიბჭე) ტერმინებს. უახლესმა კვლევამ დაადასტურა, რომ რეალურად, სახელწოდება „გელათის“ თავდაპირველი ფორმაა წინარექართული „გენათ“ („განათება“), რომელიც შემორჩენილია დღევანდელ მეგრულში. აგრეთვე, დადასტურდა, რომ გენათის აკადემიას ამშვენებს პეტრინონის ქართველთა მონასტრიდან გადმოღებული შუა საუკუნეების ევროპის ერთ-ერთი პირველი საგანმანათლებლო ემბლემა წიგნისა და მზის გამოსახულებებით.

აია-ქუთათისს, მთის ფერდობს, სად სიო საუბრობს იებთან, საძვალე მეფე-ტაძრეულთა, უძველეს დროიდან ჰვიბდა.

მზეებრი წყალობა მიერთვა საბრძანისს დიდპატიოსანთა, სიონში აჟღერდა „გალობა სინანულისა“ და „ოსანა“.

სთქვა მეფეთ მეფემან: „განახლდეს, იქმნასო უმეტეს ყოველის, — მომფენად სიბრძნეთა მრავალთა, მაქებრად — სიტყვისა ცხოველის.

დე, სწავლის წყურვილმა დაანთოს ქართველთა გულებში ხანძარი, შვენიერს, ყოვლითურთ უნაკლოს, ენოდოს „ცოდნისა ტაძარი!..“

იქმნა სიტყვისაებრ მისისა: სივრცით და ნივთითა ქებული, ყოველთა წინანდელ ქმნულთაგან შუენებით ზეალმატებული.

ვით მოსემ — კეთილადმსახურმან, ცაჲ გარდაართხა მეორე, თვით შთააგონებდა სწავლულებს და ლაშქრად მიმავალ მეომრებს...

ემტკიცა გენათურ ბალავარს მცხეთიდან კვართი და ხალენი, და იქმნა „ახალი ათინა, მეორე იერუსალემი!“

ესავდნენ სოფიანშიდასა ცისკროვან-ნათელი გონებით, ყოველთა კაცთაგან რჩეულნი: მდიდარნიც და არას მქონებნიც.

კელინში — გონებით მოხუცნი, ხანაგში — მწირნი და ობოლნი... აქედან მოეცა იბერთა სწავლანი — საფილოსოფონი.

აქ, ცათა მომბაძავ ალაგზე საღმრთოეს მადლისა მუშაკნი, ენასა — შემკულს და დიდებულს იცავდნენ, როგორაც გუშაგნი.

უფროსად ლამეულ ნუსხვითა, ხელრთვითა, კაზმვითა, მუხლდრეკით, გარჯილ-დამაშვრალი მოძღვარნი, თავად, მერჯულენი უდრეკნი.

მათთანა ხითხურო, ქვითხურო, ხურონი რვალითა, კირითა, სიმღერის მოქმედნი, მკურნალნი, ოსტატნი — საბოძარძვირითა.

ბერისა და ერისაგანნი, — ქუეყანის კიდეთგან პოვნილნი, იქავე ქსენონში — სნეულნი, — მეფისაგან ნაფერებ-მოვლილნი.

კეთილადმეტყველთა რიტორთა, მოძღვართა და მოძღვართ-მოძღვართა, უვერცხლოდ იზრახეს გავრცობა საქმისა: წიგნთა, ლოცვათა.

აქ ქმნიდნენ ოქროვან ეპოქას — გონიერს, ღონიერს, უმდიდრესს, სადავე ხელთ ეპყრათ ჭიმჭიმელს, იყალთოელსა და ჭყონდიდელს.



შავთელი, თმოგველი, ხონელი გენათის ფუძეზე დაუნჯდნენ,
გვებოძა უბადლო შაირი — ვეფხისტყავემოსილი საუნჯე.

და ქვა ამეტყველდა — ჩუქურთმა — დავითის ოფლითაც სოველი,
სიმბოლო: იესო — ლოგოსი, ნიგნში მზე-დედაღვთისმშობელი.

დღესაც იმ სინათლით ვანთივართ, ხან ლხენით, ხანაც კი გოდებით,
მეთაე ასწლელს მოარღვევს ლოცვებით გამთბარი ლოდები.

არის და კვალადვე იბრწყინებს ცოდნის და რწმენისგან ნათენი,
„გაენათ“ — აენთე, განათლდი! „გეენათ — „იქმენინ ნათელი!“



თამარ შაიშველაშვილი

შენ, მამაჩემო...

შენ, მამაჩემო, ფერუსიზმრო ღრუბლის ღიღილო,
შენ, მამაჩემო... ვაზებს ბინდი შემოეპარათ
სად ჩამალულხარ, გაუშლელი ნისლო — მზის ღიმო
ხელისგულივით მეჩემება მთელი ქვეყანა...

შენ, მამაჩემო, სამყაროა ქარებშეშლილი,
შრება თავწყარო შელამებულ თვალეში ბავშვის...
ზენა ზამბაკის* ოცნებიდან დაღმა ვეშვები,
შავყვავილებით შემომხვდება სიცოცხლე გზაში...

შენ, მამაჩემო, ქარნატირი ესმით აქ გულებს,
სისხლი მოწყვეტილ გვირილებს ზეცას ატყვია.
ეს ტკივილების გაზაფხული ისევ მარგუნეს,
ბალახის ცრემლით გადავიხვევ მაჯებს ნატყვიარს...

ბალახის ძალით შემოვივლი მინდვრებს ისევე,
რომ მზიდან ფერი უხილველი ამოვიყვანო...
სად ნოემბერი ჯერგაუშლელ სევდას მისველებს,
ამ ოქროვანში მინდა მუხლი შენ მოგიყარო...

ყლორტი უბინო ამ ნოემბრის სულში მძინარე
ამ თვალეშიდან იტირებს და ზღვად ივან-გოგებს...
ხელისგულეზად გადავაქცევ სიზმრის თბილ ნავებს...
შენ, მამაჩემო, ჯვარ-ალსავლით გაიგალობე...

ზამბაკი* - სადაფი

ლუბა ელიაშვილი

გზა შენამდე

ჩემი ცხოვრების ბოლო ხანისკენ,
ქუხილისფერი უღელტეხილის
გადაღმა მხარეს —
შენ მეგულები და მოვიჩქარი.
გზა ციცაბოა,
ხეობებიდან მოძვრება ნისლი.
რიყის სიპ ქვებზე
მისრიალებს
სველი ტერფები.
ვიქცევი კიდეც,
მტკივნეულად ვენარცხები
ჭუჭყიან მინას.
დღეს უკვე ვიცო:

ვილოცებ და
ღმერთი დამიცავს,
არც ერთი მეხი არ დამეცემა,
გამოვალწევ
უღელტეხილის გადაღმა მხარეს,
მძაფრი ვნებების ბორგვიდან და
ცივი ცინიზმის კოკისპირული წვიმის არედან,
რომელსაც, თურმე, შენს შეცნობამდეც
სიცოცხლე ჰქვია.
იქით — ფერდობზე, შენ უნდა შეგხვდე.
ეს ფიქრი მათბობს.
სწორედ ამიტომ, წვიმას ვუძლებ და
მოვდივარ მარტო.
ქუხილისფერი უღელტეხილის
გადაღმა მხარეს,
ჩემი ცხოვრების იმ ნაწილისკენ
მოვინევ ჯიქურ, სადაც წმენაა, სადაც მადლია.
ვუძლებ ტკივილებს.



ვიცი, შეგხვდები
და ამის მერე სულ ერთად ვივლით.
რომ არ ნავიქცე, ხელს შემაშველებ.
შენკენ მოვდივარ, უფალო, ვწვალობ.
ამატანინე ეს სიმძიმელი,
გთხოვ,
დამახვედრე შენი ღიმილი.
ქუხილისფერი უღელტეხილის
გადაღმა მხარეს
სულ მზე ანათებს,
ანგელოზებიც მრავლად არიან.
მალე ვიხილავ, მწამს, უფლის ნათელს,
მოვდივარ მტკიცედ და მიხარია.

ელდარ ჭიჭიაშვილი

უფალო!...

ისევ შენ გიხმობ, უფალო,
ცრემლმა წაღეკა იმედი!
თუმცა, მე ჩემი გოდებით,
ნეტა, ვის ავატირებდი?
ვერ ამოვშანთე გულიდან
ტკივილი განუკურნავი,
როგორც უბეში ნაზარდი,
ყელს მოხვეული მცურავი!
ვერც ქართა ქროლას მივანდე,
ვერც პეშვით ამოვათავე,
გულშივე დარჩა ტკივილად,
მღულარ ცრემლების სათავედ!
ვუცქერ ნაწამებ მაცხოვარს,
შუბლზე მიყვავის ეკალი,
სჯობდა, რომ ავაზაკით
ბრბოს ჯვარზე მეც გავეკარი!
თუ შავად შემენისლები,
ბნელი როგორღა ვათენო,
გოლგოთის ცათა ზეკარით
გადმომჩქეფარე ნათელო?!
ტკივილში ვარ და, გათანგულს,
წყლულებს მიძიძგნის მიმინო,
თასი ამივსეთ ზედაშით,
ტკივილი ამოვიგმინო!
წყალი ვითხოვე, ბაგეს მცხეთ
ღრუბლით ძმარი და ნალველი,
გულშივე დარჩა ტკივილი,
გულიდან ამონალერი!
გინდ ტაძარს კარად შეაბი
სისხლმჩქეფი გულისფიცარი
და გინდა შეუზვარაკე
სიცოცხლე, დასაფიცარი,
რაც უნდა ეკლის გვირგვინად
შუბლს ქაცვი შემოინანი,
ტკივილს ვერ გაგიგრილებენ
ეს დალოცვილი მიწანი?
სისხლდანრეტილი საგულე
კვლავ ღვთიურ ცეცხლით ივსება,
ნეტავი, ასე დავრდომილს
აღდგომა თუ მელირსება?

ბადრი სულაქე

ნათლისღება

როცა ფიქრითაც ვნაყავ სადარდელს
და ზღვა სინანულს ვატევ თვალებში,
თავს მიტოვებულ საყდარს ვადარებ,
სანთლად მიმწვარი ნატერფალებით...
მინავლებული ფერთა საცდური,
მანც თუ, ბუუტავს ისლის ქოხივით,
ლამე, მთვარისგან მხრებგასანთლული,
ბევრჯერ წელშიდაც ვიცი მოხრილი, —
მიტოვებული მკვეთრი მანძილით,
შეშლილ ფშანებთან როცა კანკალებს,
დარდით დაღლილი ბერიკაცით,
მინას კოცნის და ლოცავს ნაკვალევს;
გზასაც აგრძელებს სხივთა სიმალლით,
ხანაც მზედ, ხანაც მთვარის სახეზად...
რადგან, ღვთისმშობლის წმინდა წიაღში,
კვლავ, მაცხოვარი ჩაისახება, —
ვერ დააოკებს სულის ცდუნებას,
ცა, ნაზამთრალი კუმშვით დაღლილი...
და მონათლული ფურისულეზად,
გზაც აფეთქდება გულში ნაღვივით...
ჩამოღვენთილი სანთლის წვეთები,
შუბლზეც თუ ისევ დაბუდებებიან,
მეც მომლოცველის მაღლით შევხვდები
დილას, უმნიფეს ალუბლებიანს...
სივრცეს, დაფატრულს სეტყვა-ქარისგან,
თუ ჩაანაცვლებს ღელვა მდინარის,
როგორ ჩავთვალო შესაბრაღისად,
გული – უფლისთვის შესანიწავი...
ტანზე სულაც რომ, საცდურად მეცვას,
შეუცნობლობა სველი ფშანების,
თავსხმა წვიმებით ნაგუბარ ზეცას,
მანც ცრემლივით შევიმშრალეზდი...
და ცა, უკურნელ წვიმის სანაცვლოდ,
შეივსებოდა ერთი, — მზის სხივით...
მინდვრად ხომ, ისევ ღვივის ყაყაჩო,
ჯვარზე ნანვეთი ღმერთის სისხლივით...

ელგუჯა მარღია

გმირი

სამშობლოსთვის თავდადებულებს...

ქვეყანაზე, უფლის ნებით,
როცა გმირად იბადები,
თავდადების წამიც დგება...
სიმამაცით, თავგანწირვით,
რაც მარტივად ყველამ ვიცით,
იბადება უკვდავებაც...
როცა ბერი თევდორე გვყავს,
მტერს აოცებს როცა ცოტნე...
ალარ უნდა დაჩიავდე
ერო! — ალარ უნდა მოკვდე!..
ეჰ, რამდენი უსახელოც,
ეჯიბრება სახელიანს...
(ლაჩრებთან და გამცემებთან
უკვდავებას რა ხელი აქვს?..)
უსახელო უფლისციხელს,





მხარს უმაგრებს მარაბდელი...
მებრძოლი და ნამებული,
ერიც გმირებს მარად ელის...
გმირს ნატრობდა არაერთი
დიდებული წინაპარი...
გმირს ეძებდა... რადგან გმირი,
გზას გვინათებს, ვით ლამპარი...
გმირი ქვეყნის ჯავშანია,
გინა ხმალი, გინა ფარი...
გამოაჩენს გმირს დრო-ჟამი,
მეორდება ისტორიაც...
და იმათთან ჩემი სიტყვაც
ზედმეტი და ლიტონია...
ალარ მინდა... (გვევდრები
მხედრობაო, ცაში მყოფო...)
არც სამშობლო უგმირო და
ალარც გმირი უსამშობლო...

მაკა ლომაქა

ტკბილ ხარ შენ, უფალო

ღმერთო, მომხედვე,
არ ვარ უშენოდ...
ის დღე რა დღეა, თუ არ ვილოცე...
შენთან მსურს მუდამ, შენ ტკბილ-ედემო,
შენით სულდგმულობს ჩემი სიცოცხლე...

რა ლამაზია ქვეყანა, როცა
შენი თვალებით შეჰყურებს კაცი.
რა გულ-ალალი და გულნათელი
არა პირქუში და არცთუ მკაცრი.

ჩემო უფალო, ყველაზე დიდი
შენა ხარ! შენ თუ გიყვარვარ მუდამ!
ისურვე, რომ არ დაეშვას ბინდი,
სანამ სიკვდილი ჩამაცვამს სუდარს.

გზა გამინათე, გამახალისე,
იესო ლალო, იესო კარგო
მინდა, ვიხარო შენი ალერსით
და სიყვარულის ხეები დავრგო.

როგორ გიყვარვარ, არ დამავიწყო,
მიზანტროპია არ მაგრძნობინო.
თუგინდ დამტოვოს კაცმა, ან ქალმა
მარტო ვარ განა? შენ ხომ რონინობ

ჩემთან, არასდროს არ მტოვებ ისე.
მადლობა არის უძღური ამ დროს,
თუკი ისურვებ, გამაძლიერე,
რომ საბოლოოდ ვაჯობო ამ თოვლს.

გავულო გული შენს დიად მზეებს,
გამოვასხივო სულის მინები
და სულ ვანათო, როგორც სანთელმა
შენს სახელზე რომ შეინირების.

ბივი ჩილვინაქა

დოსითეოზ ქუთათელი

*იმერეთში რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ
1819-20 წლების საეკლესიო აჯანყების ერთ-ერთი
მეთაური დოსითეოზ ქუთათელი (წერეთელი)
ანანურის მონასტერში განისვენებს...*

მამულისთვის განწირულო,
ღირსეულო დოსითეოზ,
ამ შეშლილი ქვეყნის ფონზე
კიდევ უფრო მეტად მზეობ...
ფიქრს მოვყევი ანანურთან,
შენს საფლავთან დავიჩოქე,
არაგვს შეყოლილი მთები
იფერთხავენ ყვითელ ჩოხებს —
შემოდგომის ფოთოლცვენა
სხივნათელში ათოვს ქედებს,
ასეთივე ქარვისფერი
ჩვენკენ ჯრუჭს და მღვიმევს აწვიმს...
აქაური ტანჯვისათვის
ნეტარებდე იმ ქვეყანას
მარადიულ ოქროსფერში
დედა ღვთისმშობელის თვალწინ...
მეტად მიყვარს ანანური,
აქ რომ მკვიდრად განისვენებ,
გადმოუფრენს სული შენი
ხშირად იმერეთის სერებს...
გავიხსენებ წმინდა წარსულს —
თითქმის ორი საუკუნე
ჩამომდგარა ჟამთა შორის,
თვალი წვდება იმ უკუნეთს...
დაივიწყებს განა გული,
ამ მთებს ნისლით დანამულებს,
ფიქრი მომდევს არაგვული,
ლოცვით მოვიანანურე...

მამუკა დემეტრაშვილი

ლოცვა

მადლს უფალო, ნუ დაზოგავ,
გთხოვ ტაძრამდე მე მისული,
ყველგან მრავალ ცრუ და ზოგ ავ
სულს არიდე ჩემი სული.

კრავთ რომ მყუდრო მღვიმით იტევ,
გელტვი მამას შვილი ქებით,
სხვას არას გთხოვ, მიმითითე
სასუფევლის ბილიკები.

ვგმობ უძღვებ და მუსუს ტიალო,
ლოცვით ჯვარზე რწმენით აველ
და ეს სული თუ სუსტია,
მასზე ზრუნვა შენ ითავე.

უშენოდ, ვით წამი ნათევ
ღამით, ისე ვჩანვარ ჩიად,
გონი სიბრძნით გამინათე,
წრფელი ყალბს რომ განვარჩიო.



ნუთისოფლის სიამენი
რაც ღრმად გულში ბანგად იდო,
შემუსრე, რომ მე ამ ენით
სულიწმინდავ, განგადიდო.

ყველგან მრავალ ცრუ და ზოგ ავ
სულს არიდე ჩემი სული,
ნურც შენდობას ნუ დაზოგავ,
გთხოვ ტაძრამდე მე მისული.

ანა ერისთავი

* * *

როგორ მიქრიან დღეები,
როგორ ყვითლდება ხეები,
ქარონის ნავი ირწევა,
სტიქის ნაპრალებს მივყვები.
მდინარის სარკეს ჩავხედე,
— მოხუცი ბავშვი მიცქერის,
თუ გავიღვიძე,
მზეს ვნახავ,
— რა ბედნიერი ვიქნები...
ხმაურობს მთელი ქვეყანა,
დანთქმული ცოდვის მორევში,
რა ნეტარია,
მორჩილი...
ქრისტესთვის თავის დამდეგი.

მაკა ბელაშვილი

გზა მონაზვნისა

უფლის გულისთვის დავთმე ყოველი,
სახესხვაობა ჩემი იერის,
საზრდელად მექცა თავშეკავება,
დამტყვებელი ვარ მინიერის.
შეუმჩნეველად ვცხოვრობ მინაზე,
გადის დღეები ლოცვა-მარხვაში,
ზებუნებრივი ბრძოლით და ღვანლით
ნესიერების თვითდამარხვაში.
ნეტავ უზადოდ განლიო ეს გზა
მოკრძალებულო სულო მორჩილო,
მზერადანმენდით ვხედავ მაცხოვარს,
ვცდილობ ფიქრებიც დავიმორჩილო.
ადამიანთა გრძნობიდან გავექრე,
შორს იყოს ჩემგან ბოროტის შური,
მხოლოდ ღვთის თვალში ვიპოვო მადლი,
ვიყო ღვთის მადლის დამტყვევი ჭური.
ჩემში ვნებების სრული დათრგუნვით
შევმონაზვნდი და ღმერთთან მივედი,
გულში ვატარებ ფარულ სინმინდეს,
არ მინდა მქონდეს ნაკლი მცირედი.
მარხვით სხეული გადადის სულში,
ვიკლავ სულიერ შიმშილს და წყურვილს,
ჯვარცმულისაკენ მიმავალ გზაზე
ვსწავლობ განუდგე ჩემს ნება-სურვილს.
მინდა სხეული შრომით მოვქანცო,
თქვენ არ იცით და ვარ წამებულები,
ქრისტეს ცხოვრების მსგავსი ცხოვრებით
ვცხოვრობ და ფეხქვეშ ვარ დაგებული.

შეუმჩნეველი მონაზონი ვარ,
ცოდვა შემინდე, მამაო, ამბა,
ეს არის ჩემი განცდები ცრემლით,
გზა მონაზვნისა ასე ვთქვი ამბად.

მაია ღიაკონიძე

ყვავილს ვგავარ ბროწეულის

ბზობის მადლით ავსებული
ყვავილს ვგავარ ბროწეულის,
გულში ღვივის სიყვარული
ღვთის შეწევნით მონეული,
ყვავილ-ყვავილ, ბურქებ-ბურქებ,
ვენახ-ვენახ, ეზო-ეზო,
ხელებს გვინვდის მადლით სავსე,
ყველა ქვაზეც მადლი ძევსო.
ბზების სურნელს აყოლილი
გული თითქოს ზეობს ცაში,
ზნეკეთილი ნაყოფივით
ზურმუხტოვან ტოტებს გაშლის,
მოლალურის მოძახილით
ხარობს ზეცა, სამოსახლო,
ზეანვდილა უფლის ხელი, —
ჯვარი უნდა გადმოგვსახოს.
ატეხილი ტყე-ჭალები
მიელტვიან ღრუბლის ფთილებს
და ტაძრები, მზენაფერი,
სამომავლოს გვგვრიან იმედს,
რომ იესოს მზერა მნათი
ავგაცილებს ტკივილს ბედად,
ცისარტყელა ფერებს გაშლის,
ვერ გაგვტყუებავს დრო და სეტყვა,
არ ექნება დასასრული
სიკეთეს და სიტყვას უფლის.
ბზობის მადლით ავსებული
ყვავილს ვგავარ ბროწეულის.

კესარია (ღოდო) აბაშიძე

მწებთა

ტაძართ შორის უპირველესს —
მერცხლის გუნდი ესევა,
მზე დანათის სვეტიცხოველს,
სხივი ეალერსება.
როცა ირგვლივ არემარე,
ბნელით შეიმოსება,
მის გუმბათზე ჯდება მთვარე,
ცისკარს ესხივოსნება.
ხალხის ლოცვა ადის ღმერთთან,
— დაგვიფარე უფალო,
არავი და მტკვარი ერთად,
ძილისპირულს უგალობს.
იმედები ჩნდება ტკბილი —
გულო, სევდით მოცულო,
მაყვლოვანში დაჩოქილი,
წმინდა ნინო ლოცულობს.
ხმას გამოსცემს გულის ძგერის,
გაცვეთილი სამოსი,



მრგვალ კოშკიდან გადმოგვცქერის
წმინდანი და სალოსი.
ნელა, მაგრამ საქართველო,
სულ თანდათან ბრწყინდება,
ღვთისმშობელო არ მოაკლო —
შენს ნილხდომილს დიდება.
მოდუდუნე მტკვრის ტალღა ქუხს,
არაგვს ამბებს უყვება,
სამთავროში მირონი დულს —
აქ მობრძანდით სუყველა.
თუ ვინდომეთ — გვეხერხება,
ჩვენ გატანა ლელოსი,
მცხეთა არის უწმინდესი —
გული-საქართველოსი!



დავით კიკვაძე

მუღმივი ზეფნიერება

მისმენენ, მაგრამ ჩემი არ ესმით,
უფრო სწორად კი, აღარც მისმენენ,
მხოლოდ შენ ერთი მწამხარ და გესავ,
შენს საყუდელში სული ისვენებს.
თუმცაღა დავრჩი ისევ ისეთი
განმკითხველი და სუსტი, მშიშარა,
თუ რამ არსებობს წვეთი სიკეთის
ჩემში, — ეს შენ ხარ. მწყალობ, მიფარავ.
ჩემს არსებობას ნათელს ჰფენს, სრულყოფს
სტრიქონთა მძივი გაშლილი მწკრივად
და რაც დრო გადის, უფრო და უფრო
მეტი და მეტი სიტყვები მცვივა...
მოვყვები აღმართს ცრემლით და ხვნეშით
და ბრძოლამ სული თოვლით ამივსო...
და მე ცოდვილი, უფალო, შენით
ბედნიერი ვარ სამარადისოდ...

ივეტა პავლიაშვილი-ღოხნაძე

წისკარი

თენდება...
გაზაფხულის შემოდის დილა,
მე სიხარულით გაყვურებ ზეცას,
კაშკაშა ციდან მზე აფრქვევს სხივებს...
ო, გიხილავდე, უფალო ნეტა.
გუმბათის ჯვარზე მზის სხივი ბრწყინავს,
თითქოსდა ზეცას იგი ანათებს,
ტაძრის ცის სივრცეს მტრედები ფარავს
და მოგვიტანენ უფლის ბარათებს.
იმედის ტაძარს ვაშენებ გულში,
მზეო, ამ ხილვით ბედნიერი ვარ,
ის, რაც სულს მითბობს უკვე ვიპოვე,
ისე ვიშუშებ ტკივილს და ვარამს.

ლოცვაში ვაქსოვ ჩემს ყველა სურვილს,
მათთვის ვისთვისაც ვიღვწვი და ვწუხვარ,

და მათ საზრუნავ საფიქრებელზე
კვლავ ვევედრები მონყალე უფალს.

უფალო, ყველა ცოდვილს შეუნდე,
სადაც არიან — აქაც და იქაც,
ერთსაც გთხოვ, მაღლი სცხე იმ უბედურს —
მარტოსულს, მუხლზე ხატთან რომ იდგა.

შეუცდომელი, არვინ იქნება
და... შენდობასაც ვედრება ერთვის,
ჩვენ, როგორც ქვიშა უთვალავი ვართ,
მონყალე ღმერთი — ხარ მხოლოდ ერთი.

გმადლობთ უფალო, რომ ცისკრის ლექსი
მიიღეთ, როგორც ლოცვა, ვედრება,
მწამს ზეციურო, მაგ შენ წყალობას
რომ ვერაფერი ვერ შეედრება.

ნესტან ჰაჩაძე-პიჩინაშვილი

მე მთა მეძახის, წმინდა სიონი

გაქრა ოცნება, დამემსხვრა ფრთები,
მინას დავეცი, ველარა ვდგები,
მე მუხლმოყრილი, ვეახლე ტაძარს,
წმინდა სამებას და ღმერთის ალაგს.
საკურთხეველთან კელაპტრად ვიწვი,
თვალს არ მაშორებს, უფალი-დიდი,
ჩამოსდის ხატებს წმინდა მირონი,
მე მთა მეძახის, წმინდა სიონი.
იერუსალიმის მინას ვიხილავ,
ქრისტეს ნაკვალევს, სისხლმა მიყივლა,
მე შევუდექი გოლგოთის მთას-ძველს,
ტანჯვას იტანდა უფალი, რამდენს.
და როს ავედი გოლგოთას თავზე,
მზე ამობრწყინდა, ქაჩალსა მთაზე,
ზეცამ ჩამოჰკრა ცისკრის ზარები,
მე დავინახე უფლის თვალები.
და როს შევხედე მე წმინდა უფალს,
გული არ დგება, გაფრენა უნდა,
სული მიილტვის ზეცისკენ ფრენით,
თვალი გამეხსნა სხვაგვარი ხედვით.
ისევ შევისხი მე მხრებზე ფრთები,
ცაში ავფრინდი, ვით თეთრი მტრედი.
იერუსალიმი, წმინდა სიონი,
უფალს ჩამოსდის თვალზე მირონი,
იერუსალიმის შორეულ მინას,
კრთომით ვემთხვევი მის ყოველ მისხალს,
იერუსალიმის წმინდა ტაძრებში,
ხმამალლა რეკენ, უფლის ზარები,
აქ მოილტვოდა ქართველის გული,
აქა ჰყვოდა, ივერთა სული.
აქ ლოცულობდა შოთაი-დიდი,
აქვე დასტოვა თამარმა სხივი,
აქვე აგებდნენ ტაძრებს მეფენი,
აქ ლოცულობდნენ უფლის მხეველები.
უფლისა კვართი, ღმერთმა ინება,
ქართველთ ჰქონოდათ მარად-იმედად.
იერუსალიმის მე ძველ ქალაქში,
როს ფეხი დავდგი, გავხდი სხვაგვარი,
მისი გალავნის ძველი კედლები,



დგანან უენოდ მრავლის მეტყველნი,
ამ მიწამ ზიდა იესოს ჯვარი,
აქ თვით სიცოცხლე სხვაგვარი არის.
აქ სული ლამობს ცაში აფრენას
და მაცხოვარის-ნეტარის მზერას,
იერუსალიმის ქაჩალი-მთები,
მზით გადამწვარი ყვითელი ქვები,
თითქოს ნისანის თვეა აქ ისევ,
გეთსამანიის ბალები, მიმზერს.
ისევ ყვავიან, ზეთის ხილები,
ციდან კვლავ მოვა სისხლის წვიმები.
აქ მწუხარებამ შემიპყრო თითქოს,
ოცდაათ ვერცხლს კი, იუდა ითხოვს.
და მაცხოვარი წმინდა ვით მტრედი,
ჩვენთვის ენამა ჩვენივე ღმერთი.
იერუსალიმის შორეულ მიწას,
კრთომით ვემთხვევი მის ყოველ მისხალს,
იერუსალიმის წმინდა ტაძრებში,
ხმამაღლა რეკენ, უფლის ზარები.

მირიან ლუტიქა

* * *

ნათლისღებას — როგორც მეკობრემ,
შევცურე ზღვაში წუთისოფლის სანაპიროსთან...
გამოვცურე ვით ანგელოზმა!..

მელანო ზუკაკიშვილი

ღავით გარეჯი

უდაბნო... სენაკი... კელია...
გამოქვაბული და კატები.

ამ ქვებთან მდუმარე ბერია.
თვალს ავარიდებ და გავცდები.

არ იცის, რომ მასზე მეტად მე
მახურავს დუმილი სამარის.

არ იცის, სიტყვით რომ ვენამე.
სიჩუმეს საშველი დავარქვი.

ქარია... ისეთი ქარია...
მიწიდან ქვიშას ცრის ფანტელად.

სივრცეთა სინმინდემ ამრია,
კლდეების სიმშვიდემ გამთელა.

ბენვის ხიდებიდან ბილიკი,
ვინრო კიბეები, ფრესკები.

უდაბნო ზეცისკენ მიილტვის,
მე ქარში ქვიშასაც ვერ ვწვდები.

სურვილი დიდია დარჩენის...
კატები... სენაკი... კელია...
თვალს ავარიდებ და გავცდები
ქვებთან რომ მდუმარე ბერია.

გიორგი ნატროშვილი

წოდვილი კარის აპოლოგია

ღმერთო, მაპოვნინე ადგილსამყოფელი,
სადაც მე ჩემს მამულს უფრო ვეჭირვები.
ღმერთო, განსაცდელი მიწყვი მამყოფინე,
ჯვარი გოლგოთისკენ მიმაქვს შეჭირვებით.
შენგან ბოძებული იგი მე ტალანტი
მიწას მივაბარე უგუნურობითვე;
მიკვირს მომითმინე ჩემი ეს ღალატი,
ცოდვით დამძიმებულს ისევ როგორ მითმენ?!
უფლის სათნოებებს მტერად გავუხდი და
ცოდვის სიბილწეებს შვილად შევეყარე.
შენ არ მიმატოვე, ისევ შემეხიდე,
ასე დაცემული მაინც შემეყვარე.
ღმერთო, სიყვარული შენგან ბოძებული,
შემაძლებინე, რომ მოყვასს დავუბრუნო.
ჰო, ის სიყვარული შენგან მოცემული,
შენად მოცემული, თანაც საუკუნოდ!

ლევან კესოვი

* * *

თელავენ, ქოლავენ, უშენენ,
ნაქცეულს, გათრეულს ლაფში,
უკურნე, უმრთელე, უშველე,
დამსხვრეულს, გაბნეულს, დაშლილს,
ჩამოშლილს, დაცემულს, დავრდომილს,
ნაქცეულს, დარჩენილს გზაში,
მიეცი მხნეობა დადგომის,
უნყალოდ, უკვალოდ ნაშლილს,
უმეცარს, უგუნურს უჩვენე,
შენამდე სავალი გზები,
რწმენა და იმედი უშენე
უფლებით, უწყებით, მცნებით,
მიწაზე მოსული შიშველი,
შემოსე შენივე მადლით,
დათმენის და ლოყის მიშვერის
შენივე ნიჭით და ნათლით,
უძღები, უშვერი უხეში,
ცოდვების კალოზე დაეცა,
უშველე შეაბი უღელში
დალოცე თუ არა დაღენავს
უნყალოდ ცოდვების კევრი.

იზო ცარციქა

რამდენს გავალემს

ელენეს

დიდი ნათლია — პატარა ნათლულს
მიესათუთა ისე, ვით იას,
ნათლიას ჰქვია უწმინდესი და
ნათლულს უბრალოდ — ელენე ჰქვია...

ნაწნავიანი ნამცეცა გოგო,
მჯერა, იმედი არის მერმისის,



ახლა კი ვფიქრობ, დავწერო როგორ,
ლექსი, იმ წუთის შესაფერისი....

ვარდი ყვავდა, მზე ანათებდა,
იდგა სურნელი სანთლის, საკმევლის,
დიდი მეუფე მადლით გვაგვსებდა
და ღია ჰქონდა გულის სარკმელი...

თითქოს-და მტკვარიც უფრო გალალდა,
ნიავიც ჰქროდა ცელქი ბავშვივით,
ბედნიერ ღიმილს ველარ ფარავდა,
ჩემი ელენე ბარათაშვილი.

უფლის წყალობა შენ წილად გერგო,
ჯერ არ იცი და მიხვდები გვიან,
რამდენს გავალებს, სიცოცხლეც ჩემო,
რომ პატრიარქის ნათლული გქვია.

ღარეჯან ხვედელიძე

პატრიარქი ჭიათურაში

გვიგალობდნენ
ჩვილხმოსანნი
მგალობლები
ტაძრად,
პატრიარქი
ღვთისმოსავი
მოგვევლინა
განძად.
გადმოსტყორცნის
სხივი ისარს
და გაფანტავს
ბინდებს,
თვით სიყვარულს
წმინდანისას
გული
ველარ იტევს.
მარტოობა
თუ გვაშინებს,
ერთად
ძალას ვიკრებთ,
დღეს მეუფე
ერის შვილებს
გვლოცავს,
ვით ტარიგებს.
მედგრად მდგარი
კაცხის სვეტი
უფლის ძალას
გვმატებს,
რა ვინატროთ
უფრო მეტი
მრონი სდით
ხატებს.
ღვთისმშობელი
კალთით იცავს
ტაძრის
ყველა კუთხეს...
ცრემლით კოცნის
მრევლი მიწას,
ღვთის შვილის
ნაკურთხევს.

მაია ნიბნაძე

ალილოზის შემოძახილი

მაალილოზი:

ცისკრის ვარსკვლავი გამოჩნდა,
მოგიმღერებთ ალილოსა,
შობის მადლი გიფარავდეთ,
ლხინით ვხვდებით ალიონსა.
ქრისტეს სუფრა გავვიშალე,
გულკეთილო მეზობელო,
მოგილოცავთ ქრისტეს შობას,
ღმერთმა ტკბილად დაგაბეროს.

მაზოხალი:

ალათასა ბალათასა,
ხელით დაეწნავ კალათასა,
მოვლენ მეალილოები,
მიმღერებენ კალანდასა.
კარს გავუღებ მახარობლებს,
დავახვედრებ დიდ ქადასა.
თუ კეთილი გულით გავცემ,
ღმერთი მომცემს ბარაქასა.

მაალილოზი:

ალათასა ბალათასა,
ჩამოვიკიდებ კალათასა,
ქალო რამე გამოვიტა,
შენი სახლის ბარაქასა.
დაილოცეთ მეზობლებო,
ღმერთმა მოგცეთ წრფელი გული,
თქვენს გულებში ყოფილიყოს
მუდამ შობის სიხარული.

ამირან ჯანჯღავა

ღეღა

საქართველოში ორ ცას უვლიან,
ერთი ცა მხოლოდ ვარსკვლავებს ჭედავს.
მეორე ცა კი, უცნაურია
— აკვანთან მზესთან, მჯდომარე დედა.

სულს უსხეულოდ, სად არ უვლია,
ვერ შეელია მშობლიურ ამბორს,
თვითონ სამშობლოც სასწაულია,
ერთი სიტყვა, რომ სამშობელს ამბობს.

ზოგჯერ კი, რალაც მაშინებს ისე,
თავხედი ფიქრი ამდენს რომ ბედავს,
რატომ ხვდა წილად მარიამს ქრისტე?!
თვითონ ღმერთს სურდა, ყოლოდა დედა!



ბელა ალანი

* * *

ინვის სანთელი,
 აღსარების დამდგარა ჟამი...
 გულწრფელი ლოცვა
 ხატების წინ ცრემლად დამაბნევს.
 გულის ალაყაფს
 ფართოდ ვაღებ და მოთმინებით,
 ჩემი ულაცო
 მშვიდად ტოვებს სულის სამარხებს.
 ყალყზე შემდგარი,
 ფრთაშესხმული ჩემი მერანი,
 მოინავარდებს,
 გადასერავს სულის ტრამალებს.
 ჭენებ-ჭენებით
 გადალაზავს გულის კარიბჭეს,
 ცისკენ ნაიღებს
 უფლისათვის კუთვნილ გზავნილებს.
 ჩამოიტოვებს,
 ჩაუქროლებს ველებს, სანახებს
 და წამოკრიფავს
 გასაშრობად თოკზე გაფენილ
 ფარჩა-ტილოსფერ,
 სიხარულით თუ ცრემლით სავსე,
 შავ-თეთრფერება,
 ფერად-ფერად დაკემსილ გრძნობებს,
 მზეზე თუ თოვლში
 თუ ქარბუქში გაფანტულ ფიქრებს...
 ჩემი ცხოვრების
 ამოუხსნელ ანი და ჰოეს,
 ან მერამდენედ
 ჩურჩულით თუ ვედრებით თქმულებს:
 უფალო ჩემო,
 სულგრძელო და მრავალმონყალევ,
 გთხოვ, შემინდე და
 მომიტევე ცოდვანი ჩემი,
 შენა ხარ დიდი
 იმედი და ნუგეში ჩემი
 და სიყვარულით
 ინვის სულში შენი სანთელი...
 უფალო, ჩემო,
 მე კვლავ შენთან შეხვედრებს ველი.

მარი თაბაბარი

* * *

ათინათებით გადანათდება
 ვაზის ლერწებზე ქორფა კვირტები,
 თავბრუს დამახვევს ფიქრთა კონაში
 საუკუნეთა ლაბირინთები.

ჯავახეთის მთებს მხატვრის პალიტრა
 ბინდს დაადებს და ლურჯად შეღებავს,
 ამ ბუმბერაზი მთების კალთები
 იგრძნობს ქალწულის ტერფის შეხებას.

მერე ფარავნის ტბასთან მეთევზე
 კაბადოკიელს მასპინძლობს სტუმარს,
 არმაზის მთაზე წარმართ კერპები
 გაქვავებულნი შიშისგან სდუმან.

გზას შესდგომია მთლად სიფრიფანა,
 შეუკრავს ჯვარი ვაზის ნასხლავის,
 რტოზე დუდუნებს ქარი თავნება,
 ჯვარზე სხივცისკრობს ქალის ნაწნავი.

გულს უთბობს რწმენის თაკარა გრძნობა,
 თორემ თმაც კი აქვს სველი წვიმისგან,
 ქარი ქრის, თოვლი ხვდება ფეხს შიშველს
 და გული უთრთის ქალწულს შიშისგან.

...კერპი იმსხვრევა, რწმენა ფეხს იდგამს,
 შიშიც, იმედიც დუღდება ჯვარში.
 სრულდება ზადენ — არმაზის მითიც,
 ბივრითის თვალი ციალებს ქარში.

მაყვლოვანებში დავანებული
 მტლად და მალამოდ ედება გულებს,
 ვაზის რტოების სასწაულებიც,
 როგორც მარცვალი ედება ხნულებს.

და ყვავის ვაზი საქართველოში,
 ქარვა იღვრება სავსე მტევნებად,
 აქ ყველა გრძნობა დედა ღვთისმშობლის,
 ჩამოიღვრება ვაზის ცრემლებად.

...ჩამორეკს ყველა ტაძარში ზარი,
 თრთის ვაზის კვირტიც, ძარღვიც, ვენაც ხის;
 სულში გუგუნებს საგალობელი,
 „შენ ხარ ვენახი! შენ ხარ ვენახი!“

ნათია ღაშნიანი

რწმენა

ჭირი იყო, თუ ღვინი,
 სიხარული თუ დარდი,
 რალაც ბავშვური ჟინით
 სულ სხვანაირად მწამდი.

როცა ვცდებოდი ერთ დროს,
 როცა აღარსად ჩანდი,
 მკერდში ტკივილი მენტო,
 სულს მწუხარებით ვრთავდი.

სიხარულისფერ მარცვლებს
 დარდის კოცონზე ვწვავდი,
 ვემსგავსებოდი გამცემს,
 თუმც კეტრესავით მწამდი.

ცოდვის მტანჯავდა ეშმა,
 ვერ ისრულებდა წადილს
 და დიდხანს არ შემეშვა,
 მაშინ მეგონა წადი.

ვიგრძენ სიკვდილის ძალა,
 მისი მომდევნა ღანდი,
 ყველა ნაჩუქარ ტალანტს,
 შიშით მიწაში ვფლავდი.

აქ, დედამინის გულზე,
 ვარდებს კაფავდენ წაღლით,
 დღეს მარტო ღრუბლებს ვუმზერ
 განუსაზღვრელი ვადით.



მსურს აღსარება გითხრა,
არ ვარ მართალი ცამდი,
ვიცი მელოდი დიდხანს,
მეც უსასრულოდ მწამდი.

იამზე არველაქე-ხეცურიანი

წმინდა ნინო!

26



ჩვენო წაღმართად მარებელო...
დედაღვთისმშობლით მოვლენილო —
წმინდა ქალწულო, ნინო!

სულის მზის მანათობელო,
ქართველთა გამანათლებელო —
გულის შვებავ და ლხინო!

მონამეობრივი განვლე გზა —
ღვთიური ტკივილის დათმენით,
დაო, აგვავესე რწმენით!

სამხრეთის მთებიდან გადმოდი,
გიხმო რა, — გუმანმა, გეშმა,
გვარიდე კერპებს — ეშმას.

ქრისტიანულად გაგვანათლე,
წინ ვეფინებით შენთა ფერხთა —
წმინდა სავანეს მცხეთას.

ცხოველმყოფელი უფლის კვართი —
დედაღვთისმშობლის გვიცავს კალთა,
მცხეთა მირონით გენათლავს.

დაუდუმებლად გიგალობებთ
აღუწერს — სამადლობელს, ენით...
ნინო სათნოების მშვენი!

ნავენახარი მზედ ყვავილობს...
სისხლისფერია ყურძნის წვენი,
და ჯვარი ნინოს გვშველის!

გესარიონ ქვრივიშვილი

* * *

...იქ გელოდება ფრთები
ნაბიჯი გქონდეს უსპეტაკესი,
ნატერფალი რომ რჩება,
მინდობილ იყავ, ბოლოს მოგელის,
მეუფის ტახტთან ხლება.
წინ ბილიკია, თოვლისფერ ტაძრის,
ხანჯალზე ხელით დგები,
ჰხედავ, მყინვარზე სხივი რომ მოსჩანს?
— იქ გელოდება ფრთები.

ცოტაც გაუძელ, ვიცი დაღლილხარ,
მაინც არ ვლიდე ყალბად,
აჰა, იხმეი ჯვრიანი ქადა,
მოგშივდებოდა ალბათ.
ჰა, პარასკევის სამსხვერპლო გულო,
დროვ — ურო, მიწავ — გრდემლო,

ბედნიერებად შენაც ეყოფი,
დედის მართალო ცრემლო.
კვირის ცისკარზე სიმშვიდე მოვა,
გაქრება ურვა, გლოვა
და დაინთქმება უფსკრულში ექო,
ჰპოვა, ჰპოვა და ჰპოვა!
დათვლიან ფერებს ცისარტყელაზე,
მზე და მარია ჭია,
აკვნის ღიმილად სულში რომ ზრდიდი,
— აგიყვავდება ია.
წინ ბილიკია თოვლისფერ ტაძრის,
ხანჯალზე ხელით დგები,
ხედავ, მყინვარი სხივს რომ გასხივებს?
იქ გელოდება ფრთები...

ღიანა-ნინო ტყუპუჩავა

წმინდა ნინოს მადლი მოსავს...

კედელივით აღმართულანო
სამასნი არაგველნი
გმირი ერეკლეს გვერდით,
სიცოცხლე გაუწირავთ
მეფისა და საქართველოს
გადასარჩენად...
კრწანისი მარცხი როდია,
იმ გმრობათა
გზებით მოვდივართ
და კვლავაც ვივლით...
ღმერთო, დაუფინე
გზები — ფიანდაზი,
არ გააკარო
გარსშემოჯარულ
ურდოთა შიში!
ჯერ კი,
გაკვეთილს მბარებს
ჩემი თვალეზბრიალა ბიჭი,
ბებოს სულისდგმა და
ქვეყნის იმედი — დაჩი,
დიდად ამაყი და ლალი
დიდედის შერქმეულ სახელით,
ბრძენ წინაპართა მადლით.
მზერაში ანთებულ
მამულიშვილურ ნაპერწკლებში
უკვე გამოსჭვივის
„ქართველად გაჩენის
სირთულეცა“ და — დარდიც...
წმინდა ნინოს მადლი მოსავს,
ანგელოსი დაჰფარფატებს თავს,
მოციმციმე სანთლის შუქზე
სასოებით პირჯვარს იწერს,
წინაპართა ნათელ ხსოვნას,
დედულ-მამულს შეავედრებს
უფალს...

და ბოლოს:
— ბებო, მიმიყვანე
300 არაგველის მემორიალთან,
„მათ საფლავებთან მისვლა და
მუხლის მოდრეკა მომინდა“
მეც...



ანბანთქმა

ა-ნბანს ლექსად თქმა შევბედე
 ბ-ევრი ფიქრით და რწმენითა,
 გ-იგანტურ ძალის ხარჯვითა
 დ-ა მონდომებით, თმენითა.
 ე-ნა ქართულის ანბანი
 ვ-ინც უწყის უძველესია,
 ზ-ეგარდმო ძალა იცავდა,
 თ-ან მფარველობდა მესია.
 ი-ყო ხშირ-ხშირად ომები
 კ-იდით-კიდემდე ქვეყნისა,
 ლ-ამობდნენ იბერთ მოსპობას
 მ-ტრები ქართული ენისა.
 ნ-ეტავ, რა ძალამ დაგიცვა
 თ-მით, წვა-დაგვით ვნებისგან?
 პ-ურ-ღვინის მადლმა ალბათ და,
 ჟ-ინმაც კი გამარჯვებისამ.
 რ-ანნი ვიყავით, რანნი ვართ,
 ს-აკითხავია უდავოდ,
 ტ-ურფანი ქმნილხართ ქართველნო,
 უ-რთიერთ მტრობა გზლუდავთო.
 ფ-რთებს დააფარებს უფალი,
 ქ-ართველ ერს კვლავაც ქომაგობს,
 ღ-ვთაებრივ ენას დაიცავს
 ყ-ველასგან, ვინაც ვერაგობს.
 შ-ენ დედა ენა ქართულო,
 ჩ-ვენო ღვიძლო და შიგანო,
 ც-ათა შინაში მკვიდრად ხარ,
 ძ-ნელად თუ ვინმემ გიგანოს.
 წ-უთისოფელის სრბოლაში
 ჭ-აპანის წევა გიხდება,
 ხ-არ უკვდავი და მარადი,
 ჯ-ვარი ქრისტესი გიხდება,
 ჰ-აეც ანბანში გჭირდება!



მარადიულ თემებზე ნაფიქრალთა ვარიანტები

აღამიანო!

რა გინდა, ადამიანო,
 რას ჰბურღავ ცას და მიწას,
 რისი შეცნობა გნადია?
 ჯერ შენი თავი იცან,
 ან პარალელურ რეჟიმში
 მზეს გაუშალე პეშვი....
 ვინა ხარ ამ სამყაროში,
 რაა სამყარო შენში.
 რას ეძებ, ადამიანო,
 რას ერჩი ცას და მიწას.
 ძებნა არ არის გვიანი,
 ჯერ შენი თავი იცან.

მარიამ მაგღალინელის ნატვრა

ის უდაბნო მენატრება
 და ის დიუნები,
 სად ეშმაკებს ვაძრწუნებდი
 ჩემი მტკიცე ნებით,
 თვეზე მეტ ხნის ნაშიმშილარს
 მაპურებდა ზეცა.
 ჯავშნად მხოლოდ სიყვარულის
 სამოსელი მეცვა;
 სიყვარულით მიძგეროდა
 მკერდში წრფელი გული,
 სიყვარული იყო ჩემი
 არსებობა სრული.
 სად მოჩანდა დასაწყისი
 დასასრულის ვნების,
 სადაც ისევ მეზრდებოდა
 საოცრება — ფრთები;
 სადაც ასე ახლოს იყო
 ამ მიწასთან ზეცა,
 სადაც ჯავშნად სიყვარულის
 სამოსელი მეცვა.

ღმერთმა ინებოს!

გამშრალი ცრემლი ამოგორდა სიღრმიდან გულის,
 ამოიტანა მარილწაყრილ ტკივილის გემო.
 ეს გემო ახლა სულს და სხეულს ტკივილად უვლის,
 არც მსურს, დაყუჩდე, ტკივილო ჩემო,
 რადგან ტკივილი ახლა მოჰგავს გადახსნას ხელის,
 რომ მოვმჯობინდე, ისევ შევძლო ფეხზე დადგომა,
 რომ ლავასავით მოთუხთუხე სამყარო ცხელი
 ისევ დაესწროს ქრისტეს აღდგომას;
 რომ დედამიწა ისევ იყოს პლანეტა — სახლი
 მარადიული სიცოცხლის და ჟამთა დინების,
 რომ შემოქმედი გვიფარავდეს ისევე მაღლით,
 ღმერთმა ინებოს! ღმერთმა ინებოს! ღმერთმა
 ინებოს!



ვიტორია მორატი

ნინოს ურმული

კოლასეა,¹ განა მზეა! — ღვივის ცაზე ოთლო-თოთლო,² —
ცხელ თორნეში გამომცხვარო თვალაშარო თეთრო შოთო, —
მზეო, მზეო! ფია...³ ფია მელის, ჯერაც ბალლი თოთო,
სხვენზე მშრალი ფქვილი ყრია, მისით წალი უნდა მოვროთო.

— და დაიძრა მოსოქისკენ გზად ნინია, თავად ბალლი,
ასე, დილაუთენია. მენახირე მწყემსდა ნახირს...
შიშობს იგი, ვინძლო იყოს ბოლოს მასზე, ვაგლახ, ახი!
შეიკრიჭა, დაიხვია თითზე თმაი, სქელი, სალი.

ნახა ერთი უსურვაზი, მოსხიპა და მარჯვედ გასხლა,
ორი ღერი გააღვივა, ჰგავდა ჯვარი ჩურჩხელასა,
შემოხვეულს მასზე თმასა ადარებდნენ ნაბლის თაფლსა
გზად შემხვედრი ჯავახები. გაუჭირდა მთაზე ასვლა.

— შენ რა გინდა აქ, ბეკეკო? მოგახვიო, მოდი, ბებკი,
თორემ როგორ თრთი, ხომ ვხედავ, გაგეყინა ქარში ნეკი.
თანატოლნი არსად ჩანან, მით არ იცი ენკი-ბენკი,
ვერ კიკინებ მარტოკანა, მოდი, გვერდით მომიჯექი, —

უთხრა გზაზე დამფრთხალ კრავსა, გაულიმა, უალერსა,
დაუხელდა ხელით ტანსა, ნეკზე ცემდა ლამაზ ცერსა,
ეგრისისკენ კრიმანჭული გაისმოდა და ელესა,⁴
მაგრამ ქალი შორსა იყო და არც არარაი ესმა.

— მოველ, კრავო, აჰა, მოველ, შემოვეყვი გზაზე თუბალს,⁵
მოვდიოდი, მომძახოდნენ: ვაი, თავი დაიღუპა!
რა ვქნა, თუკი მათ ჯავახთა მართლა მითხრან: გასწი უკან!
კაბადოკიაში წადი, აიკრიფე კაბა-კუბა!⁶

მოდი, ერთად დავმწყსოთ მხარე, სად ცხოვრობდა სიდონია,
ნინიას ხომ შენ არ იცნობ, ისიც შენებრ მიმნდობია.
ენკენისთვე იყოს? — ვკრიფოთ: შენ — ბალახი, მე კი — ბია,
შორს, ლათინთა ქვეყანაში, მასაც სიდონია ჰქვია.

მაგრამ ჯერა ფია ვნახოთ, იმას მივცეთ ფია-ფია,⁷ —
უძუძური ჯერო არს იგი, მან არ უწყის უფალია,
მერე მივდგეთ ქალაქ მცხეთას, სადაც მეფის ალაფია,
საცა მაყვალს ანწლად ცნობენ, საცა უფლის კვართი ფლია.

გამიგია, მათ უწყიან მხოლოდ წიგნი ნებროთისი,⁸
რა არს ფიჭვი, თუკი მასზე არ გამოჰკრთის თბილი ფისი!
ჰოდა მისით დავაპუროთ, მით არიან ამის ღირსი,
მერე გზაი გავაგრძელოთ, დაბაც არის მანდ — თბილისი.

გაიხსენა ესე ყოვლი, აუთოთოლდა ტუჩი ქვედა,
უკვე მხცოვანს გაუკვირდა, ეს რა ღვანლი გაებედა.
ინვა გაღმა თავისთვინა მხარეთეძოზე ჭინჭრის დედა,⁹
გასძახოდა ბოდბეს გლეხი: არუარალიაღე და.¹⁰

¹კოლასე — წმინდა ნინოს მშობლიური ქალაქი;

²ოთლო-თოთლო — თოხლო კვერცხი;

³ფია — სოფელი სამცხე-ჯავახეთში;

⁴ელესა — სიმღერა, რომელსაც გურული გლეხები საწინახელში ყოფნის დროს ასრულებენ;

⁵მოსოქი და თუბალი — ესე შობანი ძეთა ნოესთანი: სემ, ქამ და იაფეთ. და იყვნეს მათდა ძენი შემდგომად წყლით რღუნისა. ძენი იაფეთისანი ლამერ, და მაგოგ, და მადიმ და ავან და ელიოსან, და თობელ და მოსოქ და თირას (დაბადება, თავი მეათე, 1-2). „დაამკვიდრებს უკუე თოვილოსცა თოვილთასა, რომელ ან ივირად იწოდებოიან. ხოლო მესქინნი მესხოის მიერ აღმენებულნი კაჰჰადუკად იწოდებოიან...“ (იოსებ ფლავიუსი, მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელისიტიყვაობანი);

⁶კაბა-კუბა — რამდენიმე, სხვადასხვაგვარი კაბა: აიკრიფე შენი კაბა-კუბა და წადი (ჯავახური გამოთქმა).

⁷ფია — უძუძურის ჩჩვილის შეჭამადი;

⁸ნებროთის წიგნი, ნებროთიანი — ძველი აღთქმის ერთ-ერთი აპოკრიფი, რომელსაც ვერ კიდევ ქრისტეს წელთაღრიცხვამდე კარგად იცნობდნენ ქართველი მეფეები და მთავრები;

⁹ჭინჭრის დედა, ჯინჭრის დედა — მსუსხავი ჭინჭარი;

¹⁰არუარალიაღე და — კახური ურმულის მისამღერი.



ზვიად ნეფარიძე (მეფარე)

ჯრემლის სასახლეში

ვხედავ ქუჩის გუბეს, ღრმას და უგიგანტესს,
იგი ტბას გავს, იგი ჩანს და იგი არ ჩანს,
მინდა, სადაც გზას მივიკვლიე, შუქი ჩანდეს,
თორემ უკვე ამ ცხოვრების ვკარგავ მარჯანს...

ვმართავ უცხო პალიტრების აუქციონს;
თეთრი, შავი, ლურჯი, მწვანე და ყვითელი,
ყალბ იმედებს რადგან გვერდი აუქციონს
ღმერთმა, ვისაც შენში ერთი ნახვით ელი.

არსად დასდევს ბუზს არასდროს შევარდენი,
მხოლოდ სვავს თუ შეუძლია, ჭამოს ლეში.
ჩემში მოდი, ღმერთო, ჩემში, მე ვარ შენი,
მაპოვინე თავი ცრემლის სასახლეში.

თვალეებს ვხუჭავ სხვანაირი სიამეთი,
მოდის დილა, გადის ღამე რუხი ლავის,
ირგვლივ ქრება ყორნისფერი ყიამეთი,
პოვნა მსურდა მზის, აქამდე უხილავის.

სხვანაირად მითენდება და უცხოთა
მტკივა ძველი ტკივილებიც უკვე ერთობ...
მკერდში ფეთქვა გულს სიმღერამ დაუნყო და
შენც ჩემთან ხარ, აუხსნელო მუდამ ღმერთო!

ეკატერინე ბაზარაშვილი

გამოვმიჯნე სათქმელი, ვინც არ უნდა ისმინოს...
თუნდაც გასურდეთ არასდროს სხვისთვის ყურის თხოვება,
თქვენც რომ ასე, ჩემსავით შეგიყვარდეთ ის მინდა,
რომ არ სჭამოთ სამყაროს მკვახე განმარტოება...
ნუ გაშინებთ კამათი, კამათს თავის ხიბლი აქვს,
ვინც რომ გიყვარს, იმასთან უფრო მეტად კამათობ...
თუკი ვინმეს ცხოვრება კუდზე გამოგიბიათ,
ან თუ აქეთ-იქით დღეს დააგორებთ კამათლებს...
სჯობს დაფიქრდეთ, ეძიოთ, გიყვართ რა ამინდები,
და თქვენც ასე უფალსაც ჰპოვებთ ანაზღეულად,
მოიხადეთ, სხვისია, ოქროს ქალამინდები,
ოქროში ხომ არაა მხოლოდ გამორჩეული?..
ნურასოდეს ეცდებით შეეჩვიოთ სიმწარეს,
გასურდეთ მხოლოდ სიკეთის პირამიდის აგება,
შეიყვარეთ, ენდეთ და დაელოდეთ იმ წამებს,
როცა უფალს იხილავთ რწმენის არდაბაგიდან...
ნუ გაშინებთ კამათი, კამათს თავის ხიბლი აქვს,
გეშინოდეთ ცბიერი, უმეტყველო სიცილის,
საშიშია ვისაც რომ თავი მოაქვს ნიბლიად,
ეჰ, ასეთი ჩიტების ბოროტებაც ვიცი მე...
ნუ მივანერთ დროებას, დრო ყოველთვის იცვლება,
მამა ღმერთის მცნებანი არ იცვლება მარტორე!..
მე მინახავს, როცა ცამ უღრუბლოდაც იცრემლა,
ახლა ლოცვით ჩემს მტევნებს ერთმანეთზე ვატოლებ...



მანია ტყემალაძე

და, ნათღებოდა...

იესოსავით ათბუნებდა ტაძრის სხეული,
სამთავროს გუმბათს რიდედ ფიქრი ჩამოებურა,
დაჩოქილიყო მაცულოვანში მწირი, ეული,
სუსტ მხრებზე ფლასი დაცინცხლული ნამოებურა.
ჩამოცრემილი ლოცვა წმიდა წყაროდ დიოდა...
ცისა და მიწის დედოფალი იმედს ბადებდა,
ამა სოფლად კი ცოდვა მადლზე მეტად ღვიოდა,
იხლართებოდა ეშმასაგან დიდი ბადე და
ცოდვები სამსჭვალეზივით ტკენდა იესოს სხეულს,
სდიოდა სისხლი წვეთ-წვეთობით მიწას შეცივუნულს,
წმიდა ტაძარი სულში აეგო მომლოცველ ეულს,
ასდევნებოდა წინაპართა მზისებრ ანეულს.
იქ ჩანდა ჟამი მადლიანი, შორს გარდასული,
თავს მოწინებით დაბლა ხრიდნენ ველის შროშნები,
თმით შეკრული ჯვრით ანათებდა წმიდა ასული,
ფრთების ფართქუნით ეგებებოდნენ ქალწულს ფრთოსნები.
და, ნათღებოდა, ნათღებოდა მზედ იბერია,
აისის ცვარად კამკამებდა მადლნაკურები,
ნაცრადქცეული იწმინდებოდა ცივი კერია,
იმედს მოეცვა ერის სული ნასალბუნები.
ეული მწირი ლოცულობდა სამყაროსათვის,
ჟამი უჟამოდ გახდომოდა ღმერთთან დაშთენილს,
მიეგნო სულის საამებელ უხვ წყაროსათვის,
კოცნიდა წმიდა ნატერფალებს მადლად დაფენილს...

დადუნ თურქაძე

წმ. ნიკოლოზის ტაძარი სანაპიროზე

განგების ნებით და შემწეობით
დამკვიდრებულხარ მდინარის პირას
და გამოვლილი წუთისოფლის სუსხს და განსაცდელს
მშვიდად უცქერი, ვით გაიყოლებს
ღამით მტკვარი ვერცხლის თოკებით
შენი გუმბათის ლანდის ფრაგმენტებს.
ეს მოთმინება შენს სანყისში ჩასახა ღმერთმა
და ნეტარ ხვედრთან,
შერიგებულს უმტკიცეს რწმენით,
ამქვეყნიური ცოდვებით და ბედკრულ სანყმსოთი
შემკრთალი მზერა
აქ, მიწაზე, რომ არაფრად უღირთ,
ვედრებისათვის ცად აღგიპყრია.

ამ ვედრების მრწამსს გამოხატავ მიმწუხრის ზარით,
ნათელის განცდით ელოდები ცისკრის ათინათს,
რომ ღამისეულ ფსალმუნებში დაშლილი სული
ისევ აკინძო დილის ფერებით.

უნდა შემინდო, რადგან ისე ვკადნიერდები,
რომ შენი სულის წმინდა კარის ვბედავ შეხებას.
თუმცა, ვინ არის ამომხსნელი შენს სახებაში
რა ჩააქსოვა მინიერმა გონებამ კრძალვით?
იქნება რწმენა, რომ ერწმუნა შენიდან ხილვად,
იქნება ცრემლი რომ ეზიდა სამარადისო.
ან იქნებ ლტოლვა გაინელა მიუწვდომლისა?!

შენ კი არასდროს გიფიქრია ასეთ კითხვებზე,
ანდა მტვირთავი მძიმე ჯვარის, ვით მოიცლიდი?
როცა სხვა გქონდა დასაბამით თანანადები.
უპირველესი — სულთან ხორცის უანგარობა,



ცოდვილისა და უცოდველის ხსნა და წყალობა.
უსასოოთა წყევლის, გმობის ხამს პატიება,
უმძიმეს ხვედრში სიკეთის და ნათლის ძიება.

არც სინანულით დაგნისვლია თვალი ოდესმე
რომ არ გხვდა წილად
ბედი უფრო მაღალ გუმბათთა,
რომ შენს ფრესკებზე ხუროთმოძღვართა
არ ანთებულა გენიის ცეცხლი...
შენს არსებაში კრთის სხივივით უბრალოება,
რომლის სიმალლეს, თუ არ შეიცან,
ხილული თვალით ვერ დაინახავ!

და ღვთის მოვლენილს სხვებისათვის ნუგეშისცემად,
როგორ შეგეძლო მოგეთხოვა თვით საზღაური?
იდუმალ ძალით უფლისაკენ გზას უკვლევ ყველას,
ვისაც ანუხებს გაყიდული სინდისის ქეჯნა,
ძალმომრეობით, ვინც დაკარგულს ეძებს ღირსებას,
შენიდან ელის ზოგიც განსჯას, ზოგიც სამართალს
და უმსუბუქებ შენც მძიმე ტვირთს
ყველას თანაბრად.

და გარინდულნი, თანაგრძნობის და ხსნის იმედით
გულში ჩამარხულ საიდუმლოს შენთან ამხელენ
და სანთლებიდან სათნოებით დაღვრილ შენს ცრემლში
გარდასახავენ სასოებით ძვირფას სახელებს.

ვლადიმერ ბერუაშვილი

ქეთევან დედოფალს!

...მიიღო ძლევაი ხორცთა ზედა...
დედაო ჩვენო, როგორ ევენე, როგორ ენამე,
რა განსაცდელი მოგივლინა ბედმა, რა კრული,
შირაზის ბაღში სერაფიმი იჯდა ლერწამზე,
არ გათათრდეო, შენ გეძახდა თავგადაკლული,
ქრისტეს რჯულისთვის, ხორცთა ძლევიტ ტანჯვით ენადე,
რომ გარდმოგეხსნა საქართველო ჯვარზე გაკრული.

რად არ შეჰკივლე სუსტმა ქალმა უფალს ხსნისათვის,
როცა მკერდიდან აგაგლიჯეს ძუძუ მარწუხით,
თვით იესოც კი მთაზე შესდგა, ეთქვა ცისათვის,
რომ განეშორა მამას მისგან შხამი ნამწუთხი.

ჩამოგაგლიჯეს გულზე ჯვარცმა, მიწა ქართული,
შემოგაფხრინეს ნაზ სხეულზე თეთრი სუდარა,
მარტვილობის წინ ისე იყავ ლოცვით გართული,
არ წაცდენია ბაგეთაგან ხვეწნა-მუდარა.

ვარვარა შანთი დაადგერეს შენს ნაძუძურებს:
„უარჰყავ ერი, ქრისტეს რჯული, ქალო, უარჰყავ!
ვიღასთვის კვდები? საქართველოც დაგიუძღურეს,
აღარც ქმარ-შვილი, უფლისწულნიც, ქალ, თუ არ გყავს?!“

მაგრამ, შენს უკან საქართველო იდგა ჯვარცმული,
ფენიქსივით რომ აღმდგარიყო შენი ფერფლიდან,
მარად ჰქონოდა ქრისტეს მაღლი წინოს წარსცხმული,
და სათნოება, დედოფალო, ღვთით რომ გეფინა.

შენი სამშობლო ჯერ ასე არ გამწარებულა,
სისხლმონყურებულ ურჯულოთა შემოსევებით,
რჯულისთვის ქალი, დედა შენებრ არ წამებულა,
რომ სულსა შენსა განესვენა ცად მოსვენებით.





სისხლით უძლები შაჰის ზრახვებს შეეჭიდე და,
ერთი ცრემლიც კი არ გადმოსკდა შენს თვალს, წამწამებს,
იცოდა მანაც, შენც იცოდი ვის რა სჭირდება,
და ამიტომაც, დედოფალო, უღვთოდ განამეს!

არ შეაშრება შენი სისხლი შირაზის მინას!
არც შაჰ-აბასის ბოროტების მიშვებულ აღვირს,
შენს ნატიფ სხეულს, შენს ძუძუებს ქვაფენილს მიმწვარს,
საამაყო ცრემლს ერი შენი სამას წელს აღვრის!

არც ლეგენდა ხარ, არც ზღაპარი, ან რაღაც მითი,
ისტორია ხარ წამებული! შვილთათვის დედა,
საკუთარ ნებით ერის ხსნისთვის ცეცხლზე რომ მიდის,
და არასოდეს ჟამთასვლაში აღარა კვდება!

დედაო ჩვენო, ღვთისმშობელის ტერფებთან მყოფი,
ციდან დაგვყურებ, როგორც მთვარე, ღვთის გზას არ აცდეთ,
რადგან ჯერ წინ გვაქვს გასაველელი ველი მარტყოფის,
ქრისტეში ვიყოთ ერთ კონად და კი არ დავცალდეთ,
რომ არ დაგვიდგეს მომავალი ყოფნა-არყოფნის,
თავგანწირვა კი, შენი, შვილებს ხსოვნად გადავცეთ.

თუნდ ერთი ბნკალი, დედოფალო, შენი ძვლების,
შეიძლებოდეს ჯვართან ერთად გულით ვატარო,
იმ ტკივილს ვგრძნობდე ხორცსა ზედა შენზე ძლევისა,
ცად უფლისაკენ შენი რწმენით მეც, რომ მატაროს,
რომ მე, ქართველი, ეს ეპოქაც რყევა-ძვრებისა,
ჩემთვის საშიში მაცხოვრის გზით გადამატაროს.

ლელა აბრამიშვილი

* * *

როგორ დამიჩაგრეს წრფელი გული,
როგორ გადათელეს საქართველო,
დედავ, დამტვრეული დღეს აკვანი
ნეტავ როგორ უნდა გაამთელო...

წვიმს... და ღრუბლების სახურავი თავზე გვემხოზა,
როგორც ნასახლარს, დაგვლპობია მიწის ფესვები,
გამოვიგონეთ მიზეზები ისევ ომის და
უცხოვ გათელა ჩვენს მიწაზე ვაზის მტევენები.
წალეკა დარდმა საფლავები, დახრა... დაგლიჯა...
ქართული მიწა სისხლად შრება როგორც მდინარე,
მე ვინ მომივლის ნაომარ და დაჭრილ ჯარისკაცს,
ქართველი აღარ დარჩენილა ქართულ მიწაზე...
ტყეც კვდება... ტოტებ-დატეხილი ჩემი ხელები...
და ნაფლეთ-ნაფლეთ მოჰყვებიან ნისლნი კალთის წვერს,
კლდეებთან ისევ თავს იკლავენ თეთრი ირმები
და მგლებსაც აღარ შერჩენიათ მგლური სამიზნე.
მხრებიდან თითქოს დავიფერთხეთ მთელი ცხოვრება,
თითქოს ვიკმარეთ ათასობით მჟავე ნილაბი,
ხელისგულებზე წმინდა ნინოს ჯვარი ტირის და
დამხრჩვალ სინდისად ტრაგედია შემოვიკარით...
მთელი სამყარო ძვლებდალენილს თავზე გვემხოზა,
ომები ისევ დაივლიან წლების სადგურებს...
გულში რომ გვენთო ქართველობა, ჩვენი სამშობლო,
ეს ყველაფერი, ჩვენ თავადვე გავანადგურეთ...

როგორ დამიჩაგრეს წრფელი გული,
როგორ გადათელეს საქართველო,
დედავ, დამტვრეული დღეს აკვანი
ნეტავ როგორ უნდა გაამთელო...



ნიწო ღუნღუა

უფალო ჩემო

უფალო, ყველა კანონზე სამართლიანო,
ყველა ფერადფურცლოვან ყვავილზე ტკბილსურნელოვანო,
ყველა ცის მნათობზე მოკაშკაშევე,
ყველა მზის ამოსვლაზე მშვენიერო,
ყველა კეთილ სიტყვაზე თბილბგერიანო,
ყველა განთიადზე ნათელო,
ყველა საკვებზე უფრო დამანაყრებელო,
ყველა მუსიკალურ საკრავზე ტკბილჰანგიანო,
ყველაზე საიმედო დასაყრდნობო,
ყველა ადამიანზე უბრალოვ,
ყველა გულზე მართლგულიანო,
ყველაზე ერთგულო მეგობარო,
ყველაზე უნაპირო სიყვარულო,
ყველაზე თბილმზერიანო,
ყველა ჩვილზე წმინდავ,
ყველა ჭრილობის უებარო მალამოვ,
ყველა კუზიანის წელში გამმართველო,
ყველა ჭაობში ჩავარდნილის უვნებლად ამომყვანებელო,
ყველა მუნჯის ამამეტყველებელო,
ყველა ინვალიდის თავისი ფეხით გამატარებელო,
ყველა პატიმართა განმათავისუფლებელო,
ყველა მიტოვებული ბავშვის მშობელო,
ყველა ბრმათა თვალეზილვაო,
ყველა შვილმკვდარ დედათა ნუგეშო,
ყველა გლახაკთა მოწყალეო,
ყველა ლოგინმიჯაჭველ ადამიანთა გვერდით მწოლარევე,
მათ თავზე მომფერებელო და გულში ჩამხუტებელო,
ყველა განსაცდელში მყოფთა გამაძლიერებელო,
ყველა უკვალოდ მოსიარულეთა სწორ გზაზე დამყენებელო,
ყველა მეძავთა შემმოსველო,
ყველა უშვილო ცოლ-ქმრის ტკივილის თანაზიარო,
ყველა ლოთის გამომაფხიზლებელო,
ყველა მრისხანე ადამიანის დამამშვიდებელო,
ყველა ამპარტავნის დამამდაბლებელო,
ყველა მარტოსულის შემავსებელო,
ყველა ბოროტებაზე სიკეთით გამამარჯვებელო,
ყველა ემიგრანტთა სამშობლოვ, იმედო, სიხარულო, ნუგეშო,
ყველა მანანნალის თავშესაფარო,
ყველა ბავშვთა ხილულო სასწაულო,
ყველა ნარკომანის სიცოცხლედამბრუნებელო,
ყველა მოძღვრისთვის მაგალითო, გამაძლიერებელო,
მათი ჯვრის ტარებაში დამხმარებელო,
ყველა სიხარულის საწყისო,
მთელი დედამიწის მესაჭევე,
მთელი სამყაროს შემომქმედო და მასუნთქებელო,
მადლობა ყველაფრისთვის...

მარეხი სოჯელანი

ჭაძარი

გაიგონე, იმ დღეს როგორ რეკდნენ ტაძრის ზარები?!
მოპარული ნაპერწკლებით თითქოს ხელებს ვითბობდით.
გახსოვს, მერე ცივ ზამთარში ერთმანეთს რომ ვგლოვობდით?!
აღსარების საიდუმლოს სოფლის გულში ვამბობდით.

გაიგონე, იმ დღეს როგორ ხითხითებდა ეშმაკი?!
მოპარული სიხარულით, რომ გვეწვოდა პანანინა მტევენები,
გახსოვს, მერე ქურდებივით წუთებს როგორ ვმწყემსავდით?!
მარცვალ-მარცვალ ვაგროვებდით, სულში ჩუმად ვეთესავდით.





გაიგონე იმ დღის შემდეგ, როგორ რეკდნენ ზარები?!
ტკივილების დასათმენად მუჟა როგორ შევეკარი,
თვალეზზე კი ღმერთებივით მენვნენ მკვდარი წამები.

ტაძრის კართან ირეოდა მრევლი წმინდა სანთელით,
ყველას თავის ჯვარი ჰქონდა საკურთხეველად განვდილი.
თავდახრილი მოდიოდა მომნანიე ტკივილი,
ნაქურდალი სიხარული სულში ჰქონდა გაჩრილი;
მებრძოლივით აჩეხილი, ნანილ-ნანილ დაყრილი,
ყორნებსაც კი დააფრთხობდა მისი სულის ძახილი.

მათხოვარს კი უფლისაკენ ხელი ჰქონდა განვდილი,
მოდიოდა ზურგში ხმალი დარჩენოდა გაჩრილი.

დაინახე, იმ დღის შემდეგ სიცოცხლე რომ მოვკალით?!
საკუთარი სიმხდალე კი ლანგარით გვაქვს განვდილი.
სხვის ქუჩაზე ცოდვის წამებს მარცვალ-მარცვალ გავყიდით
ჩვენ, ბეჩავნი სიცოცხლის გზას მუხლის ჩოქით გავივლით,
შემოფლეთილ ანაფორებს სხვის კარებთან გავიხდით,
უფალთან კი, ვით მართალნი, სხვის სიავეს დავითვლით.

გარდაცვლილი სხეულებით, მომნანიე ტკივილით,
ტაძრის კართან ირეოდა მრევლი წმინდა სანთელით,
მათხოვარს კი ხელი ჰქონდა უფლისაკენ განვდილი.

სოფიო ჭელიძე

სინანული

ეკლესიის კართან ვდგავარ თავდახრილი,
მომეგება სიონის მზე თავის ჩრდილით,
ალმაცერად შემომხედა ეკალბარდმა,
ბალის ვარდმა თვალში სხივი მომანათა,
გამილიმა, მხარდაჭერა გამოხატა,
დღეს ხომ მარტო შევაბიჯებ წმინდა ხატთან,
ვილოცებ და გადავკოცნი ფრესკებს კედლის,
უზადოს და ულამაზესს ყველა ეტრფის.
გადმომხედავს მაღლა ღმერთი მოფერებით,
თუ რამ ცუდი გავაკეთე, იმას ვეტყვი,
ვიცი, ალბათ, არ დამტუქსავს, არ გამკიცხავს,
სინანულით სავსე გული მისთვის მიმაქვს.

სალომე გობოლაძე

ნეტავ, ღმერთო, როგორი ხარ?!
სად გაქვს ბინა ან სასახლე,
ნუთუ მართლა ხედავ ციდან
ჩვენი სოფლის ლამაზ ბალებს?
დედამ მითხრა ღმერთს უყვარხარ,
მამამ მითხრა ღმერთმა შეგქმნა,
ანგელოზი დაგიფარავს
ესმის შენი გულის ფეთქვა.
ნეტავ წვიმას შენ მიგზავნი?
ცისარტყელას შენ მიხატავ?
მომირჩინე ჩემი ძალი,
უკუდო რომ დაიბადა.
გაზაფხულზე აყვავდება
ალუბლებით ჩვენი ეზო,
ხეში, ქვაში და ბალახშიც,
ყველგან შენ ხარ, ტკბილო ღმერთო.

აღდგომაა, ვლებავთ კვერცხებს,
ბავშვებს ძლიერ გვიხარია,
და ვმღერვივართ სიცოცხლეზე
დილაა თუ ცისკარია.

ვიცი ღმერთო როგორიც ხარ,
სულ ყველაზე უფრო სათნო,
მე ჩემს გულში მოგცემ ბინას,
რომ არსად არ დამეკარგო!

მარი მიროტაძე

გულწითელა

გულწითელა უფლის ჩიტი,
ბედმა სად არ ატარა,
მასზე ნათქვამ ამ ლეგენდას
შენც გაგიმხელ პატარავ:



მხატვრის ხელმა შემოხატა
ცაზე ფრინველთ კამარა,
ერთზე ფერი შემოაკლდა,
დარჩა რუხის ამარა.

რად შეარქვეს „გულწითელა?“
კითხვა ჰქონდა მუდმივი,
პასუხი კი არსად იყო,
მხოლოდ იყო დუმილი.

მის პატარა, ციდა ნაზ გულს,
სევდა დარდად დაექცა,
სახელს სულ ვერ ამართლებდა
და წითელიც არ ეცვა.

ირგვლივ თითქოს ყველაფერი
ლამაზ ფერით ანთია,
იქნებ, თავად იყო ბრალში,
ულალატა ნათლიას.

ვერა და ვერ შეენითლა
ნაცრისფერი ბუმბული.
და დარდიან დღეთა მწკრივებს
სევდამ შეხსნა ურდული.

მას ამ ბედის შეგუება
არა სურდა არაფრით,
ფრთა გაშალა შემართებით
გადიფრინა ქარაფი.

ანწლის ბუჩქზე შეისვენა
შეელება სამოსი
და ეგონა რომ იპოვა
ბინა მისი სანმყოსი.

შემოსკუპდა ლამაზ ტოტზე
და დაიწყო გალობა,
აისრულა სანადელი,
ღმერთს შესწირა მადლობა,

მაგრამ როცა მდინარეში
განიბანა სხეული,
ის ოცნება სანატრელი
დარჩა კვლავ დამსხვრეული.

ანწლის ფერმა იმ სინითლით,
გადაღება ნაპირი,
მდინარემ კი ჩასჩურჩულა:
გულწითელა, ნუ ტირი.

ისევ ისე ნაცრისფერი
გახდა ჩიტი ჩიორა
და ტყის იქით თითქოს ქარიც
მისი სიმწრით კიოდა.

ბევრჯერ სცადა გულწითელამ
შეელება სამოსი,
ამ მცდელობის ოდენობას
მთვლელიც კი ვერ ჩამოთვლის.

მის ციციქნა გულს კვლავ დაუდგა
სევდიანი დღეები,
ალიონსაც ვერ ხვდებოდა
ჩვეული შემღერებით.

მზე და მთვარე ნაცვლდებოდა...
გზად გამოჩნდა გოლგოთა,
ჯვრით შემდგარი მიდიოდა
შემწე ღარიბ-ობოლთა.

განკაცებულ უფლის სახე
თუმც, ვერავინ შეიცნო,
მაგრამ მათ წინ ნანამები
კაცი თითქოს მზე იყო.

გულწითელას ციციქნა გული,
სიბრალულით აძგერდა
და ეს დიდი სიყვარული
იგრძნო, მუდამ თან სდევდა.

ჯვარცმულს ფრთხილად მიაფრინდა,
შუბლს აცალა ეკალი,
უფლის სისხლით შეეღება
მკერდის რუხი სპეკალი.

გულისგული შეღებილი
უფლის სისხლის წვეთებით
ალარასდროს ჩამოსცილდა
ცას შესცქერდა ვედრებით.

მიხვდა, როცა გადუფრინა
გოლგოთის მთას ნისლიანს,
ადრე იყო განსაზღვრული
მისი დიდი მისია.

ახლაც, როცა, ვგრძნობ სპეტაკ სულს
და ვჭვრეტ მაღალ მთა-გორებს,
სიკეთე და სიყვარული
გულწითელას მაგონებს.

ლალი მიქაია

ნანას სამზადისი

სააღდგომოდ ემზადება,
ჩვენი კობტა გოგო ნანა,
ხორბალი უკვე ჩათესა,
თან ყოველდღე რწყავს და ნამავს.
საბუდრისკენ გარბის მარდად,
თუ ქათამი იწყებს კაკანს,
დღემდე ვერვინ ვერ მიაგნო
მის დამალულ კვერცხით კალათს.
გუშინ ენდროს მოსატანად,
ისიც გაჰყვა ბებოს ტყეში,
და იმდენი მოაგროვა,
ვერ დატია ორივე ხელში.
უკვე ცომი გადაზილა,
უნდა აცხოს ეხლა პასქა,
ხვალ ხომ უფლის აღდგომაა,
უთენია მიტომ ადგა.



ნუნუ კამუკაპვილი

ასეთია: უფლის ნება...

როცა-გულში: რწმენის მზე და
რწმენის მთვარე დავანდება,
სხივნათელი დღე დადგება, —
უფრო, ნაზად გათენდება.

ოცნებების იალქნებით
ვესტუმრებით მთის მწვერვალებს,
იქ, ედემის ბაღნარია, —
ზამთარ-ზაფხულ რომ ელვარებს.

გადავივლით, ლალი ფრთებით,
ცხრა მთასა და კიდევ... ცხრა ზღვას,
ვესტუმრებით სიკეთის და
სათნოების უფლის საზღვარს.

და, რომ, უფრო, განვსხივოსნდეთ,
მივყვეთ-წმინდა ნინოს ცნებას,
გულს ავივსებთ — სიყვარულით, —
ასეთია: უფლის ნება.

ნინო ტარყაპვილი

საშობაო იავნანა

ჩვილი იესოსთვის

ანგელოზნი გიგალობენ,
ბელურები მღერიან,
ვარსკვლავები ციმციმებენ
შენთვის დელა-დელია,
ნანა, ჩვილო, ნენანა...
მზე და მთვარე შენია..
ტყეში ხტიან ქურციკნი
და ჩიტებსაც უხარით,
დაკუნტრუმებს ბეკეკა:
არ იყოთო მწუხარი,
ღმერთი ყოვლადღიერი,
დღეს ჩვილია უფალი.
ნანა, ვარდო, ნენანა,
ლხინობს მთელი ქვეყანა.

ნაირა ნიჟარაძე

დედათა მონასტერი წაღკაში

რა სახეები ვიხილე,
დედა-ღვთისმშობლის მსგავსი,
ლოცვა და ღვთისმსახურება
არის სიცოცხლის არსი.

ერთი ვამსგავსე ანგელოსს,
მეორე გაშლილ ყვავილს,
ციდან იფრქვევა სიმშვიდე
და სხივოსნობა მთვარის.

ტურფა დედანო, ქართველნო,
მონასტერი გაქვთ წმინდა,
ამ სავანეში მხარეში,
თქვენთან დარჩენა მინდა.


თარგმნით, ახალს ქმნით, მუშაკობთ,
თეთრ სანთელს ძერწავთ მშვიდად,
საქართველოსთვის ლოცულობთ
წმინდა, წკრიალა ხმითა.


რა სათნოება ვიხილე,
დედა-ღვთისმშობლის მსგავსი,
ლოცვა და ღვთისმსახურება,
არის სიცოცხლის არსი.

თენგიზ ბაქაშვილი

25 დეკემბერი

სახელად — ქრისტე!...
მოვლენა — ღვთის-ძე
უსასრულობის — უსასრულობა;
მარადიულობის — მარადიულობა;
ლაყვარდების და ოკეანეთა,
უკიდევანო, სივრცეთა — სივრცე!...
ქრისტე — მართლის გზა, მისგან და მისკენ!...
ქრისტე — გვემით ამაღლება ცისკენ!
ქრისტე — ივსები რწმენით და მისდევ!...
ქრისტე — მისწრაფება კაცღმერთისა
და ღმერთკაცისა — ისევ და ისევ!...
და ისევ და ისევ, ხმა ზეცისა,
რომ უფალსა და მის შვებას — მისწვე!...
...და დიდება,
სრულყოფილება შენ!...
...და გვაშორე ცოდვები, მძლეთა მძლევ!
და სული, ბოროტებისგან გვიხსენ!...
და გაგვიძეხ ჩვენ, სიყვარულისკენ,
კვლავაც და კვლავ და კიდევ და კიდევ!
კაცო ღვთის-ძე, ღვთის ნიჭო და ღვთის მზევ!...
...და უფალო ჩვენო — იესო ქრისტე!!!...





აკაკი დაუშვილი

გულთან სატარებელი მიწის ამბავი

ციკლიდან: „დიდების ზღაპრები“



ეს ამბავი ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდა, იმდენად დიდი ხნის წინათ, რომ დედამიწის ზურგზე აღარავის ახსოვს. იკითხავთ, შენ როგორღა გაიგეო? ეს ყველაფერი ერთმა მუჭა მიწამ მიაგებო. მიწას თუ გულისყურით მოუსმენ, უამრავ რამეს შეიტყობ.

მე კი, რაც ჩემმა მშობლიურმა მიწამ მიაგებო, იმას მოგიყვებით.

ქალდელთა ქვეყანაში, რომელსაც მუდამ ჭკვიანი და ხალხზე მზრუნველი მეფეები განაგებდნენ მოსახლეობა ბედნიერად ცხოვრობდა. ქვეყნის უმთავრესი სიმდიდრე ნაყოფიერი მიწა იყო. რა არ ხარობდა ამ მიწაზე, შრომაც არავის ეზარებოდა. უცხოტომელები შურით შესცქეროდნენ, ბევრჯერ მიწის მიტაცებაც განიზრახეს, მაგრამ სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული მამულიშვილები დიდი რუდუნებით მოტანილ-შენარჩუნებულ მიწას არავის უთმობდნენ. ძვირფასეულობითაც მოინადინეს მიწის ხელში ჩაგდება, მაგრამ მარჩენალი მიწა გასაყიდად არავის ემეტებოდა.

ბედის ჩარხი ნალმა მაშინ დატრიალდა, როდესაც მეფედ გაუმაძლარი და ხარბი მეფისწული აკურთხეს. ბაქბარ მეხუთეს ერთადერთი მიზანი ჰქონდა — სასახლის განძსაცავების სწრაფად შევსება. ქალდელთა ქვეყანაში ხომ ყველაზე ძვირფასი მიწა იყო და ბაქბარ მეხუთემაც სწორედ მიწის გაყიდვას მიჰყო ხელი. ეს ამბავი უცხო ქვეყნებში სწრაფად გავრცელდა და ქალდელთა სამეფოსაკენ ქარავანთა უწყვეტი ჯაჭვი გაიბა. ძვირფასეულობით დატვირთული ხარშებმული ურმები, აქლემები, ცხენები და სახედრები მეფის სასახლეში იცლებოდა და მერე დიდი ტომრები მიწით იტვირთებოდა.

სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟკაცები მექარავნებს თავს ესხმოდნენ და მიწას უკან იბრუნებდნენ. მაშინ ხელმწიფემ მექარავნების დასაცავად უცხოტომელთა მრავალრიცხოვანი და საუკეთესოდ შეიარაღებული ჯარი იქირავა. ბაქბარ მეხუთე სამშობლოს ერთგულ ვაჟკაცებს ატყვევებდა და ოჯახებთან ერთად ქვეყნიდან აძევებდა, მათ კი იმედად ერთი მუჭა მიწა მიჰქონდათ, რომელსაც ტყავის ქისებში ყრიდნენ და გულზე თასმით იკიდებდნენ.

გადიოდა წლები. ბაქბარ მეხუთემ მარნები და თავლებიც განძსაცავებად აქცია. მეფის სასახლე ძვირფასეულობით ივსებოდა, ქალდელთა ქვეყანა კი მიწისგან იცლებოდა, ხრიოკდებოდა და უდაბურდებოდა. ბაქბარ მეხუთის მემკვიდრეც მეფესავით ხარბი გამოდგა და მშობლის დანყებულ საქმეს აგრძელებდა.

სხვადასხვა ქვეყნებში დასახლებული ქალდელები დაუღალავად შრომობდნენ და მშობლიური მიწით

სავსე ქისას არც დღე და არც ღამე გულიდან არ იშორებდნენ. მიწა იმედსა და ძალას მატებდათ.

როდესაც მთელი სამეფო ქვიშით დაიფარა, ქარავნების ჯაჭვიც განყდა. ციხე-ქალაქის მიღმა არათუ ხეს, ბუჩქსაც კი ველარსად მოჰკრავდი თვალს. ციხე-ქალაქში ცხოვრება ჩაკვდა. მხოლოდ მეფის სასახლეში ღრეობდნენ და ხალისობდნენ.

გაძევებულებს სიბერემ უწიათ. მომაკვდავები მიწას შვილებსა და შვილიშვილებს გადასცემდნენ. ისედაც ერთი ბენო მიწას შუაზე ყოფდნენ და ბავშვებს დაბადებისთანავე აგრძნობინებდნენ მშობლიური მიწის სითბოს.

ბაქბარ მეექვსის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტი ბაქბარ მეშვიდემ ჩაიბარა, რომელმაც აღმოაჩინა, რომ ძვირფასეულობა საკმაოდ შემცილებულიყო. თუმცა მაინც დაუფიქრებლად ანიავებდა მიწის გაყიდვით დაგროვებულ ქონებას. ბოლოს უთვალავი ძვირფასეულობიდან აღარაფერი დარჩა. ბაქბარ მეშვიდემ გადანახული ოქროს სამკაულები ბოხჩაში გამოკრა და სასახლე მცირე ამალით დატოვა. ქვიშის უდაბნოში გემივით ამომართულ ციხე-ქალაქს კი ქვეწარმავლები და მტაცებელი ფრინველები დაეპატრონენ.

მთელ მსოფლიოს მოედო ერთ დროს უმდიდრესი ქვეყნის იავარქმის ამბავი. გაძევებულებმა უკან დაბრუნება და სამშობლოს აღორძინება გადწყვიტეს.

მამულიშვილთა პირველი გემი მალევე მიადგა ქვიშიან სანაპიროს. „ესეც თქვენი სამშობლო!“ უთხრათ უცხოტომელმა კაპიტანმა და სანაპიროზე გადასულ, ქვიშის უდაბნოში ჩაკარგულ ხალხს აღტაცებული მხერა გააყოლა.

ასიოდე კაცი მზის გულზე მიაბიჯებდა. უცებ ქვეყნის უმთავრეს ციხე-ქალაქს მოჰკრეს თვალი. ახალგაზრდებმა ყიჟინა დასცეს. ციხე-ქალაქის ქონგურებიდან ფრინველები აიშალნენ. ვაჟკაცებმა ქისები ჩამოიხსნეს და უდაბნოს ნალვლიანად გახედეს — რა უნდა დაეკლო ერთ პეშუ მიწას ზღვასავით ქვიშისთვის? მაგრამ, ჰოი საკვირველებავ! — მიწა ქვიშას შეეხო თუ არა, უზარმაზარი ფართობი ნაყოფიერი მიწით დაიფარა.

დაუჯერებელია, მაგრამ ასე იცის სიყვარულის და ერთგულების დაფასება მრავალი წლის მანძილზე გულთან სატარებმა და გულით გამთბარმა მშობლიურმა მიწამ.

უსამართლოდ გაძევებული ადამიანები სამშობლოს ვეება ტალღებით მოაწყდნენ — ყოველ მათგანს ტყავის ქისით ერთი სულის შებერვა მიწა მოჰქონდა.



თავს აღარ შეგანყენთ და მხოლოდ იმას გეტყვი-
ვით, რომ ქალდელთა ქვეყანა ისევ აყვავდა და ხალხ-
მა კვლავ ბედნიერად იწყო ცხოვრება. ბაქბარ მეშვი-
დემ აღორძინებულ ქვეყანაში დაბრუნება მოინადი-
ნა, მაგრამ სზღვრამდეც კი არ მოუშვეს.

თუ არ დაიზარებთ, მიწას ხელისგულებში სიყ-
ვარულით მოიქცევთ, სათქმელს მშობლიურ ენაზე
ეტყვი და გულისყურით მოუსმინთ, აუცილებლად
ალაპარაკდება, ოდნავ გასაგონად, სევდიანად და
იმედიანად ალაპარაკდება.

სამართლიანი მეფის ამბავი

38



ეს ამბავი ერთ აყვავებულ სამეფოში მოხდა.
ქვეყნის ხელმწიფემ — დადუნ II-ემ შეუზღუდავ ხე-
ლისუფლებაზე უარი განაცხადა და დარბაზის არჩე-
ვა ბრძანა. დარბაზი მთავრობას ამტკიცებდა, კანონ-
მდებლობაში ცვლილებები შეჰქონდა, სამეურნეო-
საფინანსო სფეროს განაგებდა და მნიშვნელოვან სა-
ქმეებს წყვეტდა. დარბაზის წევრები ამომრჩეველთა
კეთილდღეობისათვის იღვწოდნენ და სახელმწიფო-
ში ყველაზე პატივსაცემ, დაფასებულ ადამიანებად
მიაჩნდათ. თუმცა, დადუნ II-ის წინადადებით, სა-
მართლის წიგნში შეტანილი ასეთი წესი მოქმედებდა
— თუკი დარბაზის წევრი ხალხისთვის მიცემულ და-
პირებას ვერ შეასრულებდა, სამეფოს დედაქალაქის
მთავარ მოედანზე საჯაროდ, გახურებული შანთით
შუბლზე ცრუპენტელას დამლას ასვამდნენ.

დარბაზის ორმოცდახუთ წევრს მოსახლეობა
ქვეყნის სამთავროებსა და უმნიშვნელოვანეს ქალა-
ქებში ირჩევდა, ხოლო ხუთს დიდებულთა წრიდან
მეფე ნიშნავდა. პასუხისმგებლობის გრძნობა რომ არ
მოსდუნებოდათ დაპირებებს დიდებულებიც დებდ-
ნენ. დარბაზის საარჩევნო ვადის ამონურვისთანავე
მეფის სათათბირო გულდასმით სწავლობდა, შეას-
რულეს თუ არა დარბაზის წევრებმა დაპირებები.
უნდა ითქვას, რომ შუბლზე ცრუპენტელას დამლის
დასმა იშვიათობა იყო.

დადუნ II-ის ადმინისტრაციული რეფორმის შემ-
დეგ საუკუნეზე მეტი გავიდა და ამ ხნის მანძილზე
ქვეყანა კიდევ უფრო გაძლიერდა.

სადარბაზოს მორიგი არჩევნები მოახლოვდა და
მეფე დადუნ IX-ემ სათათბიროსთან ერთად დარბა-
ზის წევრთა ექვსი წლის ნამოღვანარი შეაჯამა. აღ-
მორჩნდა, დანაპირები მეფის მიერ დანიშნულმა დიდე-
ბულმა ვერ შეასრულა, რაც აქამდე არასოდეს მომხ-
დარა.

დედაქალაქის მთავარი მოედანი ხალხით გადაი-
ჭვდა.

მეფის გამოჩენას შეკრებილები ტაშითა და შეძა-
ხილებით შეხვდნენ. ხალხს ქვეყნის ძლიერებასა და
მოსახლეობის კეთილდღეობაზე დაუცხრომლად მე-
ბრძოლი მეფე ძალიან უყვარდა.

მეფე-დედოფალმა რამდენიმე საფეხური აიარეს
და საგანგებოდ მოწყობილ აივანზე დასხდნენ.

ამაღლებულ ფიცარნაგზე სადარბაზოში მე-
ფის მიერ დანიშნული დიდებული ავიდა, რომელმაც
თავი ჯერ მეფე-დედოფალს დაუკრა, მერე შეკრებილ
ხალხს და შეუსრულებელი დაპირების გამო ბოდში
მოიხადა.

სადამსჯელო ცერემონიას ამირსპასალარი
ხელმძღვანელობდა. ამ საქმისთვის მომზადებულ
მეფის მცველს ხელში გახურებული შანთი ეკავა. ფი-
ცარნაგზე კიდევ ორი მცველი იდგა. გახურებული

რკინის შეხება აუტანელ ფიზიკურ ტკივილს იწვევდა,
ზოგი ამას ვერ უძლებდა და ფიცარნაგიდან გარბო-
და. ასეთ დროს საქმეში მცველები ერეოდნენ და გაქ-
ცეულს ბორკილებს ადებდნენ, ფიცარნაგზე ძალით
მობრუნებულს კი ხალხი გამაყრუებელი სტვენით
ხვდებოდა.

მოულოდნელად მეფე ფეხზე წამოდგა, საფეხ-
ურებზე სწრაფად დაეშვა და ამაღლებულ ფიცარ-
ნაგზე ავიდა. ფიცარნაგზე მეფის გამოჩენას არავინ
ელოდა და სიჩუმე ჩამოწვა.

— დიდებულის შერჩევისას შევცდი და შეუს-
რულებელი დაპირების გამო მე უნდა დავისაჯო, —
თქვა მეფემ. დიდებულს ფიცარნაგიდან ჩასვლა უბრ-
ძანა და ამირსპასალარსა და დაბნეულ მცველს მკა-
ცრად გახედა.

გაოგნებულმა მცველმა, რომელსაც ხელები
უცახცახებდა ამირსპასალარს შეხედა. ამირსპას-
ალარმა მეფის უტეხი ხასიათი ძალიან კარგად იცო-
და, იგი შანთიან მცველთან მივიდა, ხელი უბიძგა და
უთხრა:

— გიბრძანებ, შენი საქმე შეასრულე!

მეფემ ტკივილს წარბშეუხრელად გაუძლო —
სამარისებურ სიჩუმეში ერთხელაც არ დაუკვნესია.

— შერცხვენილი მეფე სახელმწიფოს ველარ
გაუძღვება. ხვალ ტახტის მემკვიდრეს დავასახელებ,
— თქვა მეფემ, დედოფლის ფიცარნაგზე ჩამოსვლას
დაელოდა და სასახლისაკენ ფეხით გაემართა.

ტაშის ხმამ იქაურობა გააყრუა. ბევრს თვალზე
ცრემლი მოადგა, ზოგი ხმამაღლა ატირდა. უცებ,
მეფე-დედოფლის ფერხითი ყვავილებმა იწყო ცვენა
— ცრუპენტელას დამლადამსულ მეფეს ხალხი გმი-
რად აცილებდა.

დადუნ IX-ის პოლიტიკურმა შორსმჭვრეტ-
ელობამ, სახელმწიფოებრივმა სიბრძნემ და პირადი
მაგალითის ძალამ დადებითი შედეგი გამოიღო და
ამ ამბის შემდეგ საარჩევნო დაპირების შეუსრულე-
ბლობის გამო აღარავინ დასჯილა.

უნამუსო კაცის ამბავი

ერთ სამეფოში, ერთ მდიდარ ვაჭარს უნამუსოდ
ცხოვრება მოეზრდა, რადგან ყველა უნამუსოს ეძახ-
და და გადანყვიტა, ნამუსი ეყიდა, მაგრამ ვაჭრობაში
განაფულმა სიფრთხილე გამოიჩინა: — მოდი, ჯერ
ერთი თვით ვიქირავებ, იქნებ, არც ისეთი კარგია ნა-
მუსიანად ცხოვრება, ალბათ, დიდი ფული ელირება,
სანანებლად არ მექცესო? და ერთ ხანშიშესულ, ნა-
მუსით განთქმულ კაცს მიადგა.

— შენი ნამუსი მომაქირავე. ერთხანს ასე ვიც-
ხოვრებ და თუ მომეწონა, კარგ ფასად ვიყიდი, ქი-
რად კი ამ ბეჭედს მოგცემ, — უთხრა ვაჭარმა და სა-
ხელდახლოდ შედგენილი თამასუქის ერთი პირი და
ოქროს ბეჭედი გაუწოდა.

ნამუსიანმა კაცმა ოქროს ბეჭედი და თამასუქი
ლიმილით ჩამოართვა, სახლში შევიდა და თავდაცო-
ბილი ჭინჭილა გამოიტანა:

— აჰა, ნაილე! ჭინჭილაშია ჩემი ნამუსი. თვალის-
ჩინივით გაუფრთხილდი, არ დაკარგო და სიბერე არ
გამიმწარო — უნამუსოდ ცხოვრებას ვერ შევეგუები.

ვაჭარმა ჭინჭილა ჩამოართვა, აქლემების ქარა-
ვანი ნაირ-ნაირი საქონლით დატვირთა და სავაჭროდ
სამეფოს სამხრეთის პროვინციებისაკენ გაემგზავ-
რა. მეორე დღეს ქარავანი პატარა ქალაქს მიადგა.
იქაურ მჭედელს ავადმყოფი ცოლის სამკურნალოდ



ერთი თვის წინ ვაჭარმა ფული ასესხა, მაგრამ ქალს ვერაფერი ეშველა და გარდაიცვალა. ნათესავებმა, მეგობრებმა და მეზობლებმა მჭედელს ფული შეუგროვეს და მევახშეს გასესხებულ თანხა უკან დაუბრუნეს.

— სარგებელი სადღაა, — იკითხა ვაჭარმა.

— სანამ დედაქალაქში დაბრუნდები, სარგებელსაც გადაგიხდი, — თხოვნით უთხრა მჭედელმა.

— ფული სარგებლის გამო გასესხე, — ვაჭარმა ხელში ფურცელი ააფრიალა. — ამ თამასუქში ჩვენი შეთანხმების ყველა პირობაა ჩამოთვლილი. გადამიხადე, თორემ სასამართლოში გიჩივლებ.

— რა უნამუსო ყოფილხარ! — აღშფოთება ვერ დამალა ხნიერმა კაცმა, — უარს ხომ არ გეუბნება, ცოლს დაკრძალავს და სარგებელსაც გაგისტუმრებს.

— რაო, უნამუსო?! — შეცბა ვაჭარი და სასამართლოსკენ გაემართა.

ახლობლებმა მჭედელი განსაცდელში არ მიატოვეს, სარგებელის თანხა სასწრაფოდ შეუგროვეს და ვაჭარს სასამართლოს კიბეზე დაანიეს.

„ისევ უნამუსოს მეძახიან, ნამუსიანი კაცის ნამუსმაც ვერ ვაჭარა. ჭინჭილას საცობს ავხდი და ნამუსს თვალეში ჩავხედავ“, — გაიფიქრა ვაჭარმა და ხელი აქლემზე გადაკიდებულ ხურჯინში ჩაყო, მაგრამ ჭინჭილას ვერ მიაგნო. გულგახეთილი ვაჭარი აქლემიდან ჩამოქვეითდა, ხურჯინი ჩამოხსნა და მიწაზე წამოაპირქვა, მაგრამ ჭინჭილა სადღაც გამქრალიყო.

„ჭინჭილა რა სადარდებელია, ვინ იცის, დაკარგულ ნამუსს ნამუსიანი კაცი რა ფასს დაადებს“, — ვაჭარმა ქარავანი სასწრაფოდ დედაქალაქისაკენ დაძრა, ერთი დღის სავალი რამდენიმე საათში დაფარა, პირდაპირ ნამუსიანი კაცის სახლს მიადგა და სადარბაზოდან გამოსულს აღელვებით უთხრა:

— შენი ნამუსი დავკარგე, ჭინჭილაც... რამდენი გადაგიხადო?

— ნამუსს ვერც იყიდი და ვერც იქირავებ, ნამუსს არც ფერი აქვს და არც წონა, ვერც თვალთ დაინახავ და ვერც ხელით შეიგრძნობ, ნამუსიანი კაცის სახელის მოსაპოვებლად პატიოსნად უნდა იცხოვრო, — უთხრა ნამუსიანმა კაცმა.

— თუ არც ჩანს და არც წონა არა აქვს, როგორ გავიგო ნამუსი მაქვს თუ არა?

— ნამუსი აუცილებლად შეგანუხებს და სულს აგიფორიაქებს, საშუალებას არ მოგცემს, მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე იფიქრო და ფულს საქვეყნო საქმეებში დაგახარჯვინებს, გაჭირვებულისთვის უანგარო დახმარებას გაიძულებს. რა თქმა უნდა, ჭინჭილა ცარიელი იყო, ვერც ჭკუა ისწავლე.

— ნამუსი საჩემო საქმე არ ყოფილა, — გააჭრით თქვა ვაჭარმა.

ნამუსიანმა კაცმა თამასუქი დახია, თითიდან ბეჭედი მოიხსნა და უნამუსო კაცს გაუნოდა.

ვაჭარმა ბეჭედი ხარბად ჩაბლუჯა: — ღმერთმა ამრავლოს ნამუსიანი კაცებიო, — გაიფიქრა, გახარებული აქლემზე შეჯდა და იქაურობას სასწრაფოდ გაეცალა. აქლემების ქარავანი სამეფოს ჩრდილოეთ პროვინციებისკენ მიმავალ შარავას დაადგა. ვაჭარმა ოქროს ბეჭედი საჩვენებელ თითზე წამოიწვა, მზის სხივებზე აბრწყვიალებულ ბრილიანტს ალტაცებით გახედა და ჰორიზონტზე გამქრალი ქარავანივით სამუდამოდ დაივიწყა ნამუსიანი ცხოვრებაზე ფიქრი.

ზამთრის უღონო მზე ჩავიდა და ყინვამ კიდევ უფრო მოუჭირა. პატარა ქალაქის დათოვლილ ქუჩაზე ძველ, გაქუცულ ქურთუკში გახვეული კაცი მიაბიჯებდა და ფანტელები გახურებულ სახეზე ადნებოდა. ქრისტეშობის ღამე იდგა. სანთლის დასანთებად კაცი დანგრეულ ეკლესიისკენ ამავე აღმართს აუყვავ. ქალაქის ცენტრში ხალხი ახალაშენებულ ტაძარში იკრიბებოდა, მაგრამ კაცს გულმა ძველი, მიტოვებული ეკლესიისკენ გაუნია. უცებ თოვა შეწყდა, ღრუბლები გადაიყარა და მთვარის შუქზე ბორცვზე წამომართული ტაძარი გამოჩნდა. კაცმა ნახევრად დანგრეული გუმბათის გარშემო მანათობელი სფეროები შენიშნა. მერე ქურთუკის ჯიბიდან სანთელი ამოიღო, ასანთის ღერი გაჰკრა, სანთელს მოუკიდა, ეკლესიის კედელზე მიამაგრა, პირჯვარი გადაინერა და კვლავ მანათობელ სფეროებს ახედა. სფეროები ძირს დაეშვნენ და კაცის წინ სამ ფრთიან არსებად გარდაიხსნენ.

— ვინ ხართ! — გაოცდა კაცი.

— ღვთის ანგელოზები, — უპასუხა ულამაზესმა მწვანეთვალემა ანგელოზმა, — ჩვენ ქრისტეშობის ღამეს დედამიწაზე ჩამოვდივართ. გადავწყვიტეთ, ვინც დანგრეულ, მიტოვებულ ეკლესიასთან სანთელს პირველი დაანთებდა, ნებისმიერი ერთი სურვილი აგვესრულებინა.

— ნებისმიერ სურვილს ამისრულებთ? — დაეჭვებით იკითხა კაცმა.

— ნებისმიერს, — ღიმილით დაეთანხმა ქერათმიანი ანგელოზი, რომელსაც მთვარის შუქზე მზინვარე გრძელი კულულები მხრებზე შემოდგომის შეყვითლებული ფოთლებივით ეყარა.

კაცს სიხარულისგან სახე გაუნათდა და დაუფიქრებლად წამოიძახა:

— გარდაცვლილი დედა დამიბრუნეთ!

— დედას ვერ დაგიბრუნებთ, ეგ ღვთის საქმეა, — იუარა ოქროსფერფრთიანმა ანგელოზმა, — შეგვიძლია ახალი სახლი დაგიდგათ, ზარდახმა ძვირფასეულობით ავივსოთ...

— ცოტა ხნით მაინც შემახვედრეთ დედას!

— ადრე თუ გვიან იმ ქვეყნად ყველანი წახვალთ და დედას მაშინ შეხვდები. ისეთი რამ ინატრე, შენს გაჭირვებულ ოჯახს შეებას რომ მოუტანს, — დაარიგა მწვანეთვალემა ანგელოზმა.

— დედას შემახვედრეთ, თუნდ ერთი წუთით, პატიება უნდა ვთხოვო!

— პატიება?! — შესძახა ოქროსფერფრთიანმა ანგელოზმა.

— დედას, რომელიც საკუთარ სიცოცხლეს ჩემთვის უყოყმანოდ გაიღებდა, სიყვარული და სიბო დავაკელი, მის გადასარჩენად თავი არ გავწირე. პატიება თუ არ ვთხოვე, მთელი ცხოვრება დავიტანჯები.

— ნება შენია! — ერთხმად თქვეს ღვთის ანგელოზებმა.

ირგვლივ ყველაფერი სქელმა ნისლმა შთანთქა, მერე კი ნელ-ნელა იწყო გაფანტვა. კაცმა აჩქარებით მომავალ დედას მოჰკრა თვალი, მისკენ სირბილით გაექანა და გადაეხვია.

— დედა, ძალიან მომენატრე, — კაცს აღელვებისგან გული გამალებით უცემდა.

— ვიცი, რისთვისაც მოხვედი, — ქალმა შვილს თვალეში ალერსით ჩახედა.

— მაპატიე! — კაცმა დედას აკანკალებული





ხელი ჭალარა თმაზე გადაუსვა. — მაპატიე, გთხოვ.

— ცხოვრებაში არაფერი გინყენინებია. ახლაც სიმდიდრეს ჩემთან შეხვედრა ამჯობინე, შენით ყველანი ვამაყოფთ, — ქალმა მარცხნივ გაიხედა. ნისლში ახალგაზრდულ ასაკში გარდაცვლილი მამა და უახლოესი ადამიანები ილანდებოდნენ. კაცმა მათკენ წასვლა სცადა, მაგრამ დედამ ხელით შეაჩერა. — სულ რამდენიმე წამილა დაგვრჩა!

— დედა, ყველა ტკივილი დამიამდა, შენთან დავრჩები, — კაცმა თავი დედის მკერდში ჩარგო.

— ჩვენზე ნუ იდარდებ, აქ ძალიან კარგად ვართ. შინ დაბრუნდი, ცოლ-შვილს მოუარე! როდესაც ღმერთი ინებებს, სამუდამოდ ჩვენთან დარჩები.

დედის მხურვალე ცრემლები კაცს ყელში სასიამოვნოდ ეღვრებოდა. იგრძნო, დედა სწრაფად იღეოდა, სუსტ მხრებზე ხელები მთელი ძალით შემოაჭდო და როდესაც აცახცახებული თითებით საკუთარ ქურთუკს ჯაებლაუჭა, მიხვდა, დედა გამქრალიყო.

ნისლი გაიფანტა და კვლავ ეკლესია და ნახევრად დანგრეული გუმბათი გამოჩნდა. კაცმა ანგელოზები ველარსად დაინახა და შინისკენ გაემართა. სახლში კი ცოლი და ოთხი შვილი ელოდა. ძნელია შობის ღამეს ოჯახში ხელცარიელი შესვლა და ერთი

წამით, მხოლოდ ერთი წამით გაიფიქრა: „იქნებ, ჯობდა ანგელოზებისთვის დამეჯერებინა და ოქროს მონეტებით სავსე ქისა მენატრა“. კაცმა ძველი ქურთუკი გაიხადა თუ არა, ტანზე რალაცამ ცივად დასუსხა, თითქოს მაისურში მინის წვრილი ნამსხვრევები ჩაუყარესო. შეწუხებული საწოლ ოთახში გავიდა და მაისურის გახდისთანავე სხვადასხვა ზომისა და ფერის ბრილიანტები იატაკზე მიმოიფანტა.

— დედის ცრემლები! — შეჰყვირა გაოგნებულმა კაცმა და სარკმელს გახედა, საიდანაც მწვანეთვალე ღვთის ანგელოზი ღიმილით იმზირებოდა. კაცი სარკმლისკენ წავიდა, მაგრამ ანგელოზი ადგილს მოსწყდა და უსასრულობაში ვარსკვლავად აიჭრა. ცაკვლავ ღრუბლებმა დაფარა, ქარმაც წამოუბერა და ირგვლივ მსხვილი ფანტელები აფარფატდნენ.

კაცს ალილოს გალობა შემოესმა და მისი სახლისკენ მოძრავი ხუთი ჩირაღდანი დაინახა. მერე იატაკზე დაიხარა, ხუთი ყველაზე მსხვილი ბრილიანტი ამოარჩია და მგალობელი ბავშვების შესაგებებლად ცოლ-შვილთან ერთად აივანზე გავიდა. გალობა სულ უფრო და ურო ძლიერდებოდა და ზამთრის სუსხსა და მონყენილობას ფანტავდა.

ქრისტეშობის ღამე თენდებოდა.

ელზა თუშაბრამიშვილი

დედა...


ამ ორიოდე თვის წინ ჩემმა თანამშრომელმა, სამსახურში, ძველი ფოტოსურათები მოიტანა. სურათებმა მოგონებები ამიშალა, — წარსულთან დამაბრუნა და წარმავლობის სევდაც გამიძლიერა.

ძველი, შავ-თეთრი ფოტოდან 70-იანი წლების კახეთის სოფლის ქალები იყურებიან, კეთილები, ჯაფისგან დაღლილები, ხელებდაკოჭრილნი, გვერდზე მომჯდარი შვილიშვილებით და მეზობლებით, შუადღის ხვატისგან გამოქცეულნი, საღამოს მყუდრო ჩრდილებს მიფარებულნი და, რალაცით, უზომოდ, შენეული, — მშობლიური.

გაცრეცილ ფოტოზე ჭარმაგი ქალბატონის წინსაფარმა სული ამიფორიაქა, მეხსიერებაში დაღექილი, სათუთი მოგონებები, თითქოს, რალაც, დიდმა განცდამ — სიყვარულმა ააღელვა და ჩემი დაუფასებელი დედა გამახსენა, უზომოდ, შრომისმოყვარე,

დიდი ნიჭისა და გემოვნების, ქმარ-შვილს შენირული ქალი.

ამ წინსაფარმა, შენი წინსაფარის სურნელი ისე მძაფრად მაგრძობინა დედა, რომ მეგონა: ეს-ეს არის, თონეში პური ჩააკარი და წინსაფარი ფქვილით შეთეთრდა, — თითქოს, მეხსიერებას, ერთხელ კიდევ დაჰქროლა წარსულის ნიაფმა და... შენი ბოსტანის ქინძის სურნელი მოიტანა. გული ღამის ბუდიდან ამოხტა, თვალი ცრემლმა დამინისლა, სულში რალაც ჩამწყდა. თურმე, ეს უბრალოება, ეს ყოველდღიურობა, შენი — წინსაფარი, თონე და ბოსტანი — ყველაზე სისხლხორცეული და უძვირფასესი ყოფილა ჩემთვის და... ამას, ვერ ვაფასებდი... შენი წარმოსახვა, შენი წინსაფარი, შენს გახსენებას, მუდამ, ნათელი სხივით ავსებს...





თინათინ მრეაშვილი



მნამს, – ჩემო საქართველო...

შენზე ფიქრი მაღელვებს, დარია, თუ, ავდარი, მზის ქვეშ, – შენებრ, წარმტაცი, სხვა სამოთხე სად არი?... შენს ვარდ-წალკოტს, შენს მთა-ბარს, ვინ უპოვოს ბადალი? – სილამაზით, სიტურფით უკვდავების სადარი?..

ჩემო, ტკბილო მამულო, ნეტავ, ასე რად არი? – ვინ აღარ გყავს მოსისხლედ და მეტოქედ გამხდარი... მტკივა – შენი ტკივილი, გული მაქვს, ვით – ლადარი... ხან, – მოძმე გყავს ორგული, მოშურნე და მზაკვარი...

რწმენის, ენის, მამულის მოვლა გემართებს სხვაგვარი, არ ეგების, არაფრით, დაგვეთაღხოს ცარგვალი, თუ, გვსურს ჰქონდეს მომავლებს, სხივნათელი გზა-კვალი, წინაპართა არ ჩაქრეს: კერის ცეცხლი და კვარი...

მნამს, – მარად, უკვდავია: ეს მზე, ცა და მთა-ბარი, მნამს, – არასდროს, ჩაქრება – დედაენის ლამპარი, მნამს, – ჩემო საქართველო, დაგიდგება, კვლავ, დარი, მნამს, – შენს გადასარჩენად, შენი ერი მზად არი!..

* * *

პოეზია, სიყვარულის უკვდავების ლექსით, წლებს მოარღვევს და ცხოვრებას საუკუნოდ ერთვის, სიყვარული ყველას ათრობს, რუსთაველს, თუ, შექსპირს, სიყვარული, მზით გვაბრწყინებს, სიცოცხლეა ჩვენთვის...

P.S.

და მართლაც, თუკი, ტომეული, ადამის მოდგმის, იბრძმედებოდა საუკუნის დროთა ქარცეცხლში, მხოლოდ, იმად, რომ დაეხვენათ, ლექსიც, სტრიქონიც და... გადაეცათ, თაობისთვის, ხელიდან ხელში...

მამულის მზისთვის

სიბლით მავსებს მე, ვით, საოცრება... ტრფობა, მშვენებას როცა ედრება, – ლხენით მილალებს ფიქრს და ოცნებას, მამულის მზისთვის ლოცვა-ვედრება...



მე, სხვა საქართველო არ მნამს!..

მთიდან ნაჟურ ბროლის ცვარ-ნამს,
ტყე, ხარბად სვამს, ალტობს წამნამს,
ამ, მთებს ვლოცავ წუთსა და წამს,
მე, სხვა, საქართველო არ მნამს...

რომ, მუდამ გვწყალობდეს ღმერთი...

სიკეთე და სიმართლეა
სიძლიერე, ამა, ქვეყნის,
ძალა, რომ ერთობაშია,
მშვიდობას და რწმენას, ეს, ქმნის,
წილხვედრ ბაღნარს, მზით საკოცნელს,
ლოცვით სწყალობ, არა ერთით,
ღვთისმშობელო, კვლავ, დაგვლოცე,
რომ, მუდამ, გვწყალობდეს ღმერთი...

სიმღერა თელავზე!..

ცივ-გომბორის მთა გშვენის,
ხიბლით სავსე ქალაქო,
როგორ შევძლო, მაგ, შენი,
სიტურფით, რომ არ გაქო!..
მზე გაბრწყინებს, შვიდფერი,
ცისარტყელის ფერებით,
გეტრფი, გულით გიმღერი,
ალერსით და ფერებით...
ქონგურებით იმშვენებ,
ძველი ბურჯის გაღავანს,
მზიან წარსულს იფერებ,
სიდიადეს არ მაღავ...
ერეკლეს ხმლით ამაყობ,
შენი ტურფა მთა-ბარით,
ამ ცა-მინით ვარაყობ,
ცხრაასი წლის ჭადარით...
ნადიკვარი გაღალეებს,
ვერ იქნები მდუმარი,
განდობს გულის გასაღებს,
მასპინძელიც, სტუმარიც...
ალაზნის ხმით დამტკბარი,
ქრიან, აქ, სხვა სიონი,
სილამაზით, ზღაპარი,
გამკობს კავკასიონი...
იაგუნდიც შენა ხარ,
ჩვენი მზეც და ლალებიც,
გვწამხარ უფლის ვენახად,
გლოცავთ, გენაცვალებით...

თურმე...

ნისლს ჩახუტებული მთები,
ნატვრით ელიან მზის ამბორს,
ცას სწვდება, მათი ფიქრები,
ნეტავ, სად ბრწყინავსო, ამ დროს?

ასე, რატომ იგვიანებს?
გულისთქმას, ნისლიც, ვერ მაღავს,
მთებსაც, გულმკერდნისლიანებს,
ხან დროს, თურმე, ეჭვი სძალავს...

სხვას რას ვინატრებდი...

სიმაღლე, სიმაღლე, სიმაღლე,
მწვერვალებს, მზის სხივი რთავს,

სიცოცხლე, სიცოცხლე, სიცოცხლე,
უფლის სიდიადეს ჰგავს...

სინათლე, სინათლე, სინათლე,
სხვას, რას ვინატრებდი, რას?!.

სიყვარულს, სიყვარულს, სიყვარულს,
თავს ვანაცვალეზდი, თავს!..

შენ გეკუთვნის!..

შენ გეკუთვნის, ჩემო, კვლავაც, გეტყვი,
მაგ ხიბლის განცდა, — გულში რხეული,
სარკემ დაიტოვა ანარეკლი,
ზესილამაზე, — შენი სხეულის...

ღღეს მოვასწროთ...

რომ მიგვაჩნდა, ადრეულად, გუშინ, —
დრონი თვალის უსწრაფესად ქრიან,
რასაც ვნატრობთ, რაც გვინთია გულში,
ღღეს მოვასწროთ, ხვალ არ იყოს გვიან...

ვერ შევძელი...

ვერ შევძელი, თუმცა, ბევრჯერ ვცადე,
ვერ-რით დავივიწყე ეგ სახება,
ბულბულის და ვარდის შემხედვარეს,
სიყვარული, ჩვენი, მესახება...

რა შეედრება!..

რა შეედრება სიცოცხლეს ქვეყნად,
ჰანგს, ბულბულისას, ვარდს, რომ ეძღვნება,
მზიან სიყვარულს, — უკვდავს და ნეტარს,
რა შეედრება, რა შეედრება?..

* * *

ზამთარია, გარეთ ყინავს,
ქარს და ყინვას თოვაც ერთვის,
შენზე ფიქრი მათობს მცივანს,
გნატრობ, გიცდი, ვცოცხლობ შენთვის...

* * *

თოვს... ფიფქთა ფერხული,
მიმშვიდებს ფიქრებს,
თოვს... გულში ვიხუტებ,
ამ რძისფერ ფიფქებს,
იქნებ, გზად შემომხვდე,
კვლავ, მნატრობ, იქნებ?..
ფიფქებიც, ოცნებაც,
შენს ალერსს მიქებს...



ადამის და ევას ვაშლი...

ტრფობის მზედ ვთვლი, მე, სახებას, —
ტრფობის სვე-ბედს მზერას ვაშლი,..
ტრფობის პირმშოდ მესახება —
ადამის და ევას ვაშლი...

და... როდის ამიხდენ!..

ხიბლის განცდით გავცქერ,
ცად, ხელთუქმნელ ფერებს,
ძონ-ნარინჯთა ნარევს,
სხივად დაღვრილ ჩქერებს...
ოცნება ფრთას იწვდენს; —
ერთად ვჭვრეტდეთ ამ ცას,
და... როდის ამიხდენ,
ამ სანუკვარ ნატვრას?!

მე, სიყოვრულე დამიბრუნა...

დღეს, შენი ხმის გაგონებამ,
მე სიცოცხლე დამიბრუნა,
გულმა შვება და გონებამ
სცნო — სანუთროს წაღმით ბრუნვა...

ვით, მალამო, უებარი,
გულზე ისე მესალბუნა,
სიხარულმა — უმეცარნი, —
ფიქრნი, შმაგნი დამიურვა...

სიყვარულო ჩემო

სიყვარულო ჩემო,
მიყვარხარ ძლიერ,
სიცოცხლედ მეგულვი,
მზედ გიქებ იერს!..

მე, ვეტრფი, სიყვარულს, —
არა — წამიერს,
არამედ მწველსა და
მარად ხანიერს...

შენი ხმა მიჯობს!..

მიყვარს მუსიკა, — ვადარებ მზის სხივს,
თუ, ფიქრით, შენთან, მსურს გადმოვერთო, —
და, — თუ, ერთად ვართ, შენი ხმით მილხინს,
შენი ხმა მიჯობს, ჰანგს, ჩემო ღმერთო!

შორსა ხარ, როცა...

მსურს: შენი თვალებით
ვუმზერდე სამყაროს,
მსურს: ვიყო შენს გვერდით,
შორსა ხარ, როცა,
მინდა, რომ — სანუთრომ
სიცოცხლით გვახაროს,
ჩვენს გაცნობასა და...
სიყვარულს ვლოცავ!..

* * *

ტრფობა ლურჯ სივრცეში დაჰქროდა,
არც ვცნობდი, არც ფიქრად არ მქონდა.
სადავე გულის, რომ ხელთ იპყრო
მომნახა, მოვიდა, დამიპყრო...

ერთად რომ ვიქნებით, მწამს...

ოცნება, თოვლივით ადნება კაემანს
წვეთ-წვეთად პოულობს ჩქამს,
მსურს ფიქრიც, ოცნებაც, ასხივდეს, აეშვას,
ერთად, რომ ვიქნებით, მწამს...

* * *

ტრფობა, გულს რომ მომეძალა,
მესალბუნა — მშვენებით,
მით, ვთქვი, ღმერთო, მომეც ძალა,
ვით, შევწვდები, მე, ნებით...

* * *

ტრფობამ მასწავლა ფიქრები,
და... გულისთქმით ლექსის წერა,
ჰოდა, ვწერ, ვიდრე ვიქნები,
თუ არის, ეს, ბედისწერა...

* * *

ტრფობამ თავბრუ დამახვია,
ამიშალა ფიქრები,
და, თუ, ვინმემ თქვა — ახია,
მადლიერი ვიქნები...

* * *

ბავშვობიდანვე მხიბლავდა
მე, რუსთველური ტრფობა,
ტრფობაც ლამაზი მიყვარს და,
აზრის ლამაზად თხრობაც...

სურათი...

დაისის მზე კავკასიონს —
კოცნის, ელამუნება,
მადლი, უხვად, დაანათლა
ამ მთებს, დედაბუნებამ,

კალთებს ზურმუხტი უმშვენებს,
მწვერვალს — თოვლის ნათება,
თვალს ველარ ვწყვეტ სხივთ მაყრიონს,
ხიბლის განცდა არ ქრება...

თეთრღრუბელა კაბით, სხივთა ზღვაში...

რა საოცრად ლამაზია ეს ცა,
მზის ჩასვლისას, წითლად შეფაკლული,
ღრუბელს, დღეს, რომ თეთრი კაბა ეცვა,
მისცემია ფერი — მენამული...



შეჯიბრი აქვთ, ლამაზ ღრუბლებს ცაში,
ნითელს მოსდევს თეთრი, თეთრი რაშით,
თეთრღრუბელა კაბით, სხივთა ზღვაში,
გვერდით გედგე, მსურს, გვირგვინით — თმაში...

სურათი

ცის კაბადონს მზე გასცქერის გარინდებით,
მუქ ღრუბლებში შემალულან ნარიწვები,
ნანვიმარზე, ამ ცის მზერით, რარიგ ვტკბები,
ამ ცის ხოტბით, უსასრულოდ, გავირჯები...

* * *

მწვერავლზე თოვლი ქათქათებს
ნისლი უქარგავს მთებს კალთებს,
ველი ზურმუხტით ხასხასებს, —
და მზე, კი, ტრფობის ცეცხლს ანთებს...

კაი ყმას!..

კაი ყმას, მუდამ, უხდება:
კაცურად, სიტყვის გატანა,
შორს ჭვრეტა, სიჩაუქე და...
კრძალვით მოპყრობა ქალთანა...

რომ, არ დაგვაშორიშორონ...

ამბობ: ჩემ თავს მირჩევიხარ,
მიყვარხარო, ქალავ,
რომ, არ დაგვაშორიშორონ,
გრძნობას იმად ვმაღავ!..

ვინატრებდი...

ვინატრებდი: დუნიაზე — შუღლი, მტრობა გამქრალიყო,
შუღლითა და მტრობით იყო, თუ, რამ, ქვეყნად ნამხდარ იყო,
ვინატრებდი: მეგობრობა ძმობის ხიდი გამხდარიყო,
სიკეთით და სიყვარულით ხალხთა გული გამთბარიყო.

ტატო უმღერის...

ტატო უმღერის წინანდლის ვარდს, — ეკატერინეს,
მისი ოცნება ტრფობით დაჰქრის ზეცის ლაჟვარდში,
ჟღერს ქნარი მგოსნის, ნეტარების ლელვას ვერ იტევს,
ჩასახლებულა მზეც, ოცნებაც, წინანდლის ვარდში...

მაგრამ... რა ქნას, თუ, ნატვრამ მის ბედს ზურგი აქცია?
მისი რჩეული, თუ, სანუთრომ, სულ, სხვას არგუნა?
ჭავჭავაძის ბაღს, თითქოს, მწუხრის მანტო აცვია...
ტატომ გახედა — ცის დასავალს, — ფიქრში ჩარგულმა...

იმედით

თოვს, როგორც გარეთ, ისე — ჩემს გულში,
უშენოდ ყოფნა, მსუსხავს და მზაფრავს,
ცრემლის ზღვა ლელავს მშფოთვარე სულში,
იმედით, — მაინც, არა ვხრი აფრას...

სიცოცხლეს შენსას, თუ, საფრთხე ელის,
ვერ შეგელევი, — გულისთქმას ვბედავ, —
ამ სიყვარულით, მზესავით მწველით,
ერთად დავთმობდეთ სამზეოს, ნეტავ!..

ღმერთს ვთხოვ: სავალი, სანუთროს დღეთა,
სიცოცხლით სავსე, სიუხვით ფერთა, —
და... ჩვენი ყოფის ავ-კარგი სვეთა,
ჩვენ სიყვარულით გავლით, ერთად...

მწველი მზე სიყვარულისა

ვარდს ვადრი, — შიგან რგულიას,
და კარს ვხსნი სიხარულიას...
შეეხო სიმს — ამ გულიას,
მწველი მზე, — სიყვარულიას...

ფერისცვალება...

ფერისცვალება, ბუნებაში, მიყვარს, ვით — ღმერთი,
მაგრამ... ასაკით, ფერის შეცვლით მეტკინა გული...
თავს ვინუგეშებ, — მანუგეშებს იმედი, — ერთი:
რომ შენში, ისევ, უცვლელია — მზე სიყვარულის...



სიყვარულის ხეივანი

წინანდლის ბალი გულს ახარებს, მზით, — წარსულიდან...
ჟღერს როიალი, — სიყვარულით მღელვარებს ჩანგი...
სიმღერა ისმის მოელვარე დარბაზებიდან,
ტკბილად იღვრება, ხმად — ბულბულის, ლამაზი ჰანგი...

აქ, სიჭაბუკე, — სილამაზით, — სვებედნიერი
მზით ნაფერები ყვავილივით, ნაზად ელვარებს...
აქ ბინადრობდა სიყვარული, პირმშვენიერი, —
და ათრთოლებდა პოეტების ფიქრთა მწვერვალებს...

ახლაც, ბევრს ნახავთ — ლამაზ წყვილებს, — წინანდლის ბაღში,
მათ, სიყვარულის ხეივანი ტრფობით მოელის,
დაგვბედებოდეს სიყვარული — ამ ხეივანში
და... აგვხდენოდეს: გულისთქმა და ნატვრა, — ყოველი!..

რწმენა...

ცხოვრების ტალღებს, როცა მთელი რწმენით მიარღვევ,
გეიოლება სიძნელე და სიღრმენი მათი,
დრო სწრაფად წაშლის იმ, სევდიან, ჩანჩქერ-ნიაღვრებს
და... შენც, მხოლოდღა, ლამაზ დღეთა სიკეთეს დათვლი...

სურათი...

დაისია და... გზით დაღლილი ნარინჯის ბურთი,
ჩასვლას იჩქარის, ღრუბლებს აპობს მიცურავს ლაღად,
გზად მოიტოვებს, ცეცხლმოდებულ, შეფაკლულ ღრუბლებს,
გულანთებულნი, განშორებით იწვიან, ალბათ,..
შემღვრეულ ზეცას მომხიბლავი ღიმილი უკრთის,
სწამს: განთიადზე გადივლიან სევდიან ზღურბლებს...

ვიყოთ ერთად, საუკუნოდ ერთად, — ტრფობით!..

ხიბლს ვუქებდით მათათა მწვერვალთ, მათი გულის ძგერას ვგრძნობდით,
ვნახულობდით ხეთა წყვილებს, სიყვარულით ხელჩაჭდობილთ...
ვნეტარებდით ტყის სილალით, ათინათთა ფერ ვარდობით, —
და... ვნატრობდით: ვიყოთ ერთად, საუკუნოდ ერთად, — ტრფობით...

ბედი ქსოვდა განსაცდელს და... ჩვენ, კი, იმედს მზედ ვანრთობდით,
მკურნალობით ვნუგეშობდით, განცდით ერთურთს ვეღარ ვთმობდით,
ზენას, — ლოცვით და ვედრებით, გადარჩენას შენსას ვთხოვდი...
არ გაგვწირა,.. ვიყოთ ერთად, საუკუნოდ ერთად, — ტრფობით...

და... მსურს, მუდამ, გვერდში გედგე, გამხნევებდე მზე განწყობით,
შენი აზრი ვამჯობინო, ჩემი იყოს, თუნდაც, მჯობი, —
რომ, — შენ მყავდე სიამით და, — დალხენილი ნეტარ გრძნობით,
ერთად, ერთად, ვიყოთ, ერთად, საუკუნოდ ერთად, — ტრფობით...





ნათია მჭედლიშვილი



* * *

გიყურებ, ლექსი მოვარად,
თქეშად, არაგვულ ზვირთებად,
მე, შენ, ის ვოჟი მგონიხარ —
ნინ, წინ, რომ გადაფრინდება.

რო დაიმშვენებს საჭურველს,
დარახტულ რაშზე იმხედრებს,
სიტყვა და ხმალი გაუჭრის
მინა-წყალს შამაიხელთებს.

მაგრად დაბლუჯავს სატევარს,
თან, დედის ლოცვას წაიღებს,
მამულის ბჭესთან ჩადგება,
გულად — ცხელ ფოლადს ჩაიდებს.

გიყურებ, ლექსი მოვარდა, —
თქეშად, არაგვულ ზვირთებად,
მე, შენ, ის ვოჟი მგონიხარ —
მტერთან — ვინც აბჯრით ირთვება...

* * *

მოდის აპრილი მახარე, —
გულს ველარაფერს ვაყოლებ.
წასასვლელი ვარ სხვა მხარეს,
შენი სურვილი მაყოვნებს.
შენი ღიმილი ვერ დავთმე,
დღითი დღე უფრო მწყურდება,
ჩემი ფიქრები, შენამდე,
მოსვლას რა დიდხანს უნდება.
მიმინოვ, ფრთების გაშლამდე,
გულზე რო იცი დაცემა,
ემაგ თვალების ლაჟვარდი
ღმერთმა რა მეღნით დაწერა?..
მოდის, სულთქმავ და ნაწილო,
შენის ფერებით დავშვრები,
ვნების ბურანში ჩავძიროთ
მაგ თვალთა გარიჟრაჟები.
შეკაზმე შენი მერანი, —
რო მეც მკლავებზე მოგენდო.
განბილდეს ჩვენი მდევარი,
გზებს ნისლი მიედ-მოედოს.
წავიდეთ, მთებში დავსახლდეთ,
დაგვიხვდებიან მოყვრები.
შემდეგ, ლამაზად დავზარდოთ
ცისფერთვალეზა ბოკვრები.

* * *

შენ შემინყალე უფალო, მე ამდენ ცოდვის მტვირთველი,
გამოღვიძება მწაღია, თვალზე მანყვია ბინდები.
აქეთ-იქიდან მოდიან ხორშაკი ქარის ზვირთები,
მე სად ვარ, ვერ გამიგია და წასასვლელად ვირთვები.

შენ შემინყალე უფალო, დაბლა ვარ, მაღლა ამიყვა,
შენ რომ მარცვალი დათესე, მოურწყველობით გამიხმა.
შენ რომ სამოსით შემმოსე, თავსხმა წვიმაში მამიყვა,
უდაბნოში ვარ, მიშველე, სამშვიდობოზე გამიყვა.

უფალო, მიყავ წყალობა, ღმერთო, შემქმნელო ყოვლისა,
გამოფხიზლება მწაღია, თვალებზე ხელებს მოვისვამ,
ბინდი გაფანტე, ბურუსმა ჩემწინ ყოველი მოიცვა...

* * *

მიყვარს: ჩემი დარდი, ჩემი მწუხარება,
ბევრჯერ, უშენობაც, მიტომ, მსიამოვნებს,
ლექსის წარღვნასა და ლექსის მქუხარებას
რომ ვერ განვიცდიდი შენთან სიახლოვეს.
ხომ, ვერ ვიგემებდი ნატვრის ქარიშხალებს,



ხომ, ვერ ავანთებდი ნატვრებს კელაპტრებად,
სიტყვებს — ხარებივით ლომებს და ნიშანებს
ხომ, ვერ დავისვამდი სულის ბელადებად.
ხომ, ვერ დამსეტყვავდა სევდა ვენახივით,
სისხლი ვერ იგრძნობდა ზღვისებრ მიმოქცევას,
და მთის ფერდობებზე ირმის შეძახილი,
ლექსი შენს სახელზე, ხომ, ვერ ილოცებდა.
ჩემს თავს არასოდეს დავეჭიდებოდი,
ჯიხვივით უდრეკი რქებით მოქილიკეს,
ხომ, ვერ გავიგებდი, როგორ მჭირდებოდი,
არ დავადგებოდი შენს ნავალ ბილიკებს.
სულში რაშებივით რომ არ ჭიხვინებდნენ,
ტრფობა, მონატრება, დარდი, მარტოობა,
ცისკენ ამაღლებას მე ვერ ვიხილავდი,
ლექსის მონობას და ლექსზე ბატონობას.
მიყვარს: ჩემი დარდი, ჩემი მწუხარება,
ბევრჯერ, უშენობაც მიტომ მსიამოვნებს,
ლექსის ღვართქაფსა და სიტყვის მქუხარებას
რომ ვერ ვიხილავდი შენთან სიახლოვეს.

* * *

შენ უკეთ იცი რა მხვეტავი ქარები მრევენ,
ნუ მიმცემ მაგათ, ამა სოფლის ტალახში მთრეველთ,
რაც არ მჭირდება, შენ ნუ მომცემ, მე, თუნდაც მსურდეს,
გარშესავლები, უმტკიცესი, მომარტყი ზღუდე.
მაღლობელი ვარ და ცრემლებში ველარ ვატიე,
რაც განვიცადე, მაპატიე, შენ მაპატიე,
რაც მითხოვია, არაფერი, ცალად არ ღირდა,
სულში, საშენო, ნალვერდალი თუ, არ გალივდა.

* * *

წუთები წვეთებივით გულზე მეღვენთება,
თითქოს, ცრემლი დამდის რტომოჭრილ ვაზიდან.
ხვალ მოხვალ აპრილად და მინიდან ამომხეთქავ,
მზესავით დამადგები და შენსკენ ამზიდავ.

მოხვალ და სიცოცხლის წყურვილით გამახელებ,
მკლავებზე სიხარულს კვირტებად ამიშლი,
გამავსებ და ვაზის ლერწამივით ამაღერებ
და სულზე დასახვევად ამიშვებ.

* * *

მიყვარხარ მეთქი, მე ერთხელ გითხარ,
შენ სამუდამოდ დაგეჯერება,
მე შენს თვალეში ჩავარდნა მიყვარს,
შიგ ბოდილით გულის ჯერება.

მე შენს ბაგეზე თრობის ლოთი ვარ,
მათზე უთვალავ კოცნის მლეველი,
შენგან მივალ და შენკენ მოვდივარ,
შენი სურვილის ტვირთის მთრეველი.

რამდენი გნახე, ისევ, ახლიდან,
ნდომის ხანჯალი დამკარ ტარამდე,
შენი სურვილი ამყრის სახლიდან
რომ ყმად მიგულო კუბოს კარამდე.

მიყვარხარ მეთქი, მე ერთხელ გითხარ,
ვერ გამანელოს დრომ და მანძილმა,
მე შენს ბაგეზე ლოთობა მიყვარს,
შენი თვალეების ფსკერზე ჩაძირვა.





ბესარიონ სოლოლაშვილი



ორი ამონარიდი ტრილოგიიდან „ესე ტაძარი“

გზად ფარნავაზისეულ სასახლისკენ

ზედაზნის მთების უკან ამოცურებულმა შემოდგომის თბილმა მზემ უპირველესად ჯვრის მონასტრის ზურმუხტისფერი გუმბათი გაანათა, ამის შემდეგლა ჩახედა მცხეთას. ააელვარა სუეტიცხოველის თავზე დაბრძანებული ჯვარი ოქროისა, შემდეგ მტკვრის ტალღებს გაეთამაშა ცელქი ბაღის ლაზ-ლანდარობით.

ნელა მიჰყავდათ ცხენები შამადავლე ერისთავსა და ილარიონ ყანჩაელს არმაზისაკენ. გვერდივერდ მიდიოდნენ ერისკაცი და ბერისკაცი ფიქრებში ძირულნი. თავად კაცთა ცხოვრებას მიაგავდა მოზღუდული კანიონი მტკვრისა, დროის მდინარე-ბასავით ერთგზიანი და არსადგადამხვევი. მტკვარ-მარჯვნივ შემოდგომის თრიალეთი განოლილიყო უფლის ფერებით ნახატი. მზეზე ნითლად ბრიალებდნენ თრიმლის ბუჩქები, ვითარცა მაყვალნი ღმერთისაგან ცეცხლკიდებულნი. ღრუბლებამდე აზიდულიყო მწვერვალზე მდგარი ბაზილიკა ნინოსი, ქართლოსის საფლავით. მარცხნივ სარკინეთის პირქუში მთების ფეხმოუკიდებელი ქარაფნი ეშვებოდნენ იბერიის დედა მდინარეში. ცხენების ჩქამმა დააფრთხო წყლის დასალევად კბოდეებს ჩამოყოლილი გუნდი მშველებისა. რა ესმათ ჰუნეთა ფეხის ხმა, ფიქრზე უსწრაფესად ავარდნენ ფრიალოზე მშვენიერი ნადირნი, უკან მიჰყვნიენ ნუკრები კიკინით. წამის შემდეგ კი ქარაფის თავიდან ამაყად გადმოხედეს მგზავრებს საფრთხეს გაცლილებმა.

ასეთი ლამაზი მთა-ბარი რომ არ გვექონდეს ალბათ ჭკუიდან გადავიდოდითო მუდამ ჭირვარ-ამში მყოფი ქართველები, წარუთქვა შამადავლემ ეპისკოპოსს.

სამშობლო ჩვენი დედაა, ჩვენდა მანუგეშებელი და მოსიყვარულე, ამიტომაცაა იგი ჩვენთვის ესოდენ ლამაზი, დაემონმა ზევდგენიძეს ყანჩაელი და მტკვარს გაღმა გაახედა. თხემის თავზე წამონოლილ შველს ნუკრი ეძაგრებოდა ჯიქანში.

რაოდენიმე ჟამს ხმისუძვრელად ვიდოდნენ მხედარნი. ანაზდეულად დაუძლეველმა მოუსვენრობამ შეიპყრო ერისთავი. შამადავლე გრძნობდა, რომ შეუცნობელი რამ ძალა უსუსხავდა ზურგს, უკან აიძულებდა მიხედვას. თავი მიიქცია აღსავლის მხარისაკენ მოუსვენრადმყოფმა. ცხენიდან ჩამოხდა გაოგნებული, უპატიოდ ჩამოქაჩა ეპისკოპოსს სახელო. განკვირდა ყანჩაელი, ერისთავის შეუფერებელი საქციელის აროდესმომსწრე. სასწაულიაო, მეუფევე, ჩვენს თავსა ზედა, ამოიყვირა ათრთოლებული, კანკალშემდგარი ხმით სხვილოს ციხის პატრონმა,

აჰა, მიაპყრო მზერა აღსავლის მხარეს. ეპისკოპოსმა გახედა აღმოსავლეთს. იგიც უსწრაფესად ჩამოქვეითდა ცხენიდან და გვერდში ამოუდგა მეგობარს.

არაამქვეყნიურ დიდებულ სურათს ენაჩავარდნილნი უმზერდნენ განცვიფრებით: ედემის მზე დანათოდა მონასტერს ჯვრისას. მიდიის, არაბეთის, ეგვიპტის მზეთა მნახველნი, პონტოს ზღვის აისისათუ დაისის მრავალგზის შემსწრენი, მაღალ მთათა მწვერვალთა ზედა მდგომნი მნათობის აღმოსვლისა და ჩაბრძანების უამრავვერ მზირალნი სიტყვას ვერ სძრავდნენ. თავზარდაცემულ ბერიკაცებს ამგვარი ნათება არა ეხილათ აროდეს. დაიჩოქეს ორთა და პირჯვარი გარდაისახეს მრავალგზის. კავკასიონის მთათა იგავმიუნვდომელი სილურჯით სხივოსნობდა ჯვრის ტაძარი ერთობლივ. ლურჯი ფერი იფრქვეოდა ტაძრის კედლებიდან, ლურჯი იყო თავად ეკლესიაც მთლიანად. ხასხასებდა უბინო სინმინდე მშვენიერი ფერისა. დაკარგეს შეგრძნება ამ ნუთისოფელში ყოფნისა გამალებით პირჯვარმწერმა ბერიკაცებმა, აზრის მოძრაობისაგან დაცლილმა ზეამაღლებულმა გრძნობამ მოიცვა ისინი.

დიდება შენდა, უფალო, დიდება შენდა, ჩურჩულებდა ილარიონ ყანჩაელი. თავი ვერ აელო შამადავლე ზევდგენიძეს, წარბების ქვეშიდან გახედავდა ხოლმე ძრწოლა ატანილი აღმოსავლეთს.

კავკასიონის მთათა სილურჯე თრიალეთის იების ფერმა შეცვალა თანდათანობით. ნაზი იების ფერის ჩქერები გამოდიოდა ტაძრის სარკმელებიდან, მწყობრად ნაშენი კვადრებისაგან, გუმბათის ყელსახურავიდან. ფერთა ციაგში ლივლივებდნენ თეთრი ანგელოზები, წრეს უვლიდნენ ეკლესიის თავზე, სიოს მოჰქონდა მათი ტკბილი გალობა: წმიდაო, ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო. მერმე ყაყაჩოსფრად აენთო ტაძარი, უხილავმა ხელმა ათასი სანთელი ააელვარა ერთდროულად ტაძრის გარშემო ზეცაში. ციურმა სიხარულმა ალაგსო გზაზე დაჩოქილნი. სულების ამაღლებას გრძნობდნენ ეპისკოპოსი და ერისთავი. ასეთი არამინიერი, არაამქვეყნიური სიხარული არასდროს განეცადათ მათ.

შეხედე, ერისთავო, მღერის ჩვენი წმიდა ტაძარი. გადაუჩრჩულა ყანჩაელმა ერისთავს. წმიდაზე-წმიდა სითეთრემ ჩაანაცვლა ყაყაჩოსფერი. ლამაზი ცისარტყელა დაადგა ტაძარს გვირგვინად. ცარგვალზე გამოისახა გამოუცნობი რამ ხატება ნელ-ნელა ტაძრისკენ მომავალი. თანდათანობით დიდდებოდა და ახლოვდებოდა ხატება იგი. მერმე მთელის დიდებულებით წარმოსდგა ცისარტყელის თავზე მარიამ ღვთისმშობელი ყრმა იესოთი. აღილო მშვენიერმა დედოფალმა მარჯვენა და სამგზის ჯვარი გარდასახა



საქართველოს. ხატება წმიდა ქალწულისა აღმოსავ-
ლიდან დასავლისაკენ განოლილმა უზარმაზარმა
ჯვარმა შეცვალა.

მხურვალედ ლოცულობდნენ არმაზის შარაზე
დაჩოქილი ერისკაცი და ბერისკაცი ქართლისა, როცა
გამოერკვნენ და დაუბრუნდნენ სამზეოს, აღარსად
იყო არაამქვეყნიური ზმანებანი ზღაპრული სიხარუ-
ლის მგვრელი ფერებისა. ისევ ჩვეულებრივად გამოი-
ყურებოდა მცხეთის გვირგვინად დგმული წმიდა
ტაძარი ჯვრის მონასტრისა. წამოდგნენ ბერკაცები,
საქართველოს მეფის ბაგრატ მეოთხის კარზე მიმაჯ-
ალნი. ამოიგმინა ზევდგენიძემ:

ვერ გამოგია, მეუფეო, ამ ედემის სადარ ქვეყა-
ნასა შინა, რატომ უნდა არსებობდნენ ორგულნი და
ქვეშეგამხედვარნი სამშობლოსა, მიმართა ერისკაც-
მა ბერისკაცს. აშკარად დაბერებულა და გული დალ-
ბილებიაო შამადავლეს დიდი მეფის ბაგრატის უმა-
ცეს მებრძოლს, გაიფიქრა კითხულმა, სიჭაბუკეში
ასეთ რამეებზე არ ფიქრობდაო სხვილოს პატრონი.

უმთვარო ლამეებში კაენის შურიანი და ამპარ-
ტავანი სული დაძრწისო ჩვენს ტყეებსა და სოფლებ-
ში, ხეებესა და მინდვრებზე, ღმერთისაგან ზურგქ-
ცეულებს უსახლდებო იგი გვამებში, საპასუხოდ ეს
უთხრა ბერისკაცმა დიდებულს.

ვინც საქართველოს უღალატოს გინა მეფემან,
გინა კარისკაცმან ან აზნაურმან, გინა წვრილი ერის
კაცმან გინა შურითა, გინა ცუდდიდებულებითა,
გინა ორგულობითა და გინა ზაკვითა ან ლადრობითა,
შიშითა ან სიკვდილის წინაშე ძრწოლითა, ნებსითა
თუ უნებლობითა, უმეტრებითა თუ ცოდნითა, შიმ-
შილითა თუ მადრობითა, მტერთა შეცოდებითა თუ
დანანებითა, ავის ფიქრითა თუ უფიქრობითა, სხვის-
გან გვემითა თუ განლაღებითა, ვის გამოისობითაც
მიადგეს ზიანი ან მოაკლდეს მცირე რამ მიწა სამშობ-
ლოს ჩვენსას, წყეულიმც იყოს იგი ვითარცა გველი
და ქვემძრომი გესლიანი და თესლმა მისმა ვერ იხა-
როს უკუნეთი უკუნისამდე! წყევლად აღმოხდა ერ-
ისთავთერისთავს შინაგანი დაუყურებელი ტკივილი
გულისა. მერმე ეს მიურქუა თანამგზავრს: ღმერთის
შემდგომ, მხოლოდ სამშობლოს ვაყენებდით ყოველ-
თა დასაყენებელთა წინა, მეუფეო, მამულის ღალატს
ღმერთის ღალატად ვრაცხდი ყოველთვის, ასე მას-
წავლა დიდმან იოანე მარუშისძემან.

ჭეშმარიტად, არ სცდებოდაო შენი გამზრდელი.
დიახაც, ესაა ნამდვილ ქართუელთა სავალი გზა,
ჩვენთვის გარდაუვალ ბედისწერად დადგენილი, —
მიუპასუხა ბერისკაცმა ერისკაცს.

ქართველები კონსტანტინოპოლში

შაჰერეზადას ზღაპრის ხიბლით შეხვდა ყოველ-
თა ქრისტიანეთა სამეუფეო ქალაქი კონსტანტინოპო-
ლი მელქისედეკსა და მის მიერვე ზრდილთ და თან-
წარტანებულ იოვანესა და ოქროპირს. აურაცხელი
სიმდიდრე და მისგან შობილი ფუფუნება ლივლივებ-
და ახალი რომის ჰაერში თავმონონებით. საღამოს
ბიზანტიის პატრიარქ ევსტათის ენვივნენ იბერიელ-
ნი. ამ სასახლეშიც, ისევე როგორც სასახლის გარეთ
ბიზანტიონის მთავარ ქალაქში სამი ფერი მეუფე-
ობდა მხოლოდ: ოქროს ბრწყინვალეობა სიმდიდრის
საჩინოდ, ელვარება წითლისა ძღვევამოსილების,
ხოლო სიქათქათე თეთრისა წესრიგისა და სინმინდის
ნიშნად. მასპინძელმა თავისი მდგომარეობის შეგრ-
ძნების სრული გამოხატულებით მიიღო სტუმრები.
მდიდრულად მოჩუქურთმებულ წითელ ხავერდის

სავარძელში იჯდა ევსტათი, მისი ღვთაებრივი ყოვ-
ლადუნმიდესობა, მთავარეპისკოპოსი კონსტანტინ-
ოპოლისა და მსოფლიო პატრიარქი.

მეო, განახვანა ბაგენი ევსტათიმ, ზეატაცებული
ვარო ქართველთა დოგმამდე განსხეულებული ლაპი-
დართ: სდექით მტკიცედ და შეურყევლად! უფალმა
ასე ინება, რომ მუსულმანური ზღვის ტალღები პი-
რველად ქართულ ციტადელებსა და ბასტიონებს
შემსხვრეოდაო მართმადიდებლური სამყაროს
დასაცავად. მზაკვრობამ და ულმობელობამ დრო-
ჟამის სროლისამ ვერ განდრიკაო იბერიელნი. ისინი
უფრორე მტკიცენი არიან რწმენაში ვიდრე ბულღარ-
ნი, ბულღანნი და სერბნი, რომელთაც მწვალებლობის
სენი შეეყრებათო ხან დროის. არა წადილითა ჩემითა,
არამედ ცნობითა პროკოფი კესარიელისა გეზრახე-
ბითო ამას: მერე პატრიარქი ქართველ წმიდა მამათა
ხოტბას მოჰყვა. ღირსი ექვთიმე მთანმინდელი ახ-
სენა, ჯერ კიდევ ბავშვს მოეფინაო სულიწმიდის მად-
ლი, თვით ღვთისმშობელი გამოეცხადაო პირადად და
მფარველობის კალთა გადააფარა ქრისტეს სიყვარუ-
ლით აგიზგიზებულ მის პატარა გულს. ესეც თქუა
ევსტათიმ, ერთხელ შიმშილით დაღუპვისაგან იხს-
ნაო ღვთივმოსილმა ექვთიმემ ჩუენი ქუეყანა ბიზან-
ტია. საბერძნეთს საშინელი გვალვა დაატყდა თავს.
ოთხმა თვემ უწვიმრად გადაიარა, ხე და ვენახი გახმა
მკალით და მღრნელებით აღივსო ხმელეთი ყოველი,
არღარა იშოვნებოდა სახმელი მცირედი, ურვა და
წუხილი დაანვა ქუეყანას, ვითარცა ღვთის წყრომა
ცოდებათა ჩუენთათვის. მაშინ წარვიდა ექვთიმე ძმე-
ბთან ერთად ეკლესიასა წმიდისა ელიაისსა და ღამე
ათია და ჟამის წირვა აღასრულა. წირვაზე სახარე-
ბის კითხვისას ცაზე ღრუბელი გამოჩნდა, წმიდა ზი-
არების დაწყებისას კი — წვიმა წამოვიდა. განიხარა
დიდმან და პატარამ და მთელმა ქუეყანამ ყოველმა.
ახლაც ღვთის მონოდებით დიდ ღვანღშიაო წმინდა-
ნი: ელინთა ენიდან თარგმნის ქართულსა ენასა ზედა
ნიგნსა მრავალსა, რადგან ქართლისა ქუეყანა დიდად
ნაკლულევან არს ნიგნთაგან და მრავალნი ნიგნნი აკ-
ლია ქუეყანასა თქუენსა.

შემოგებდავთ, თქვენო ყოვლადუნმიდესობავ,
წართქუა ოქროპირმან, ეკლესია ივერთა არცა დუხ-
ჭირ და არცა მწირ არს ნიგნებითა ქართულითა და
არცა დამწერლობითა, არცა ჟამის სათვლელი ტაბ-
ულებითა, დასანანი არს, რომ ჰრომნი ვერა კითხუ-
ლობენ ქართულითა ენითა, ჩუენ კი მცირედი ჰასაკ-
იდგან გვაუფლებენ მასწავლებელნი ჩუენნი უბნობას
სხუა ნათესავთა ენაზეც.

არაფერი არ უთქვია ევსტათს, სტუმრები მართ-
ლაც უზადოდ ლაპარაკობდნენ ბერძნულად. მასპინ-
ძელმა ანიშნა მორჩილთ და მდიდრული ტრაპეზი
მოიღო. მსოფლიო პატრიარქი სერობისას ლაპარაკში
ჩუმჩუმად ამონებდა მელქისედეკის მონაფეების
განსწავლულობას ღვთისმეტყველებასა, აპოლოგე-
ტიკასა, სქოლასტიკასა და ჰომილეტიკაში. განცვი-
ფრებას ვერ მალავდა მსოფლიო პატრიარქი: ეს
ახალგაზრდა მცხეთელი მღვდელმსახურნი ბიზან-
ტიონისა და მეზობელი ქვეყნების ეპისკოპოსებს
აჭარბებდნენ განსწავლულობითა და ჭეშმარიტების
სიბრძნით სავსე მჭერმეტყველებამი.

სერობის მიწურვილს ასე ეუბნება ევსტათი
მელქისედეკს: მე გავუგზავნე ეპისტოლენი მის უნ-
ეტარესობას, პაპსა და პატრიარქს დიდისა ქალა-
ქისა ალექსანდრიისას, ლიბიისას, ხუთქალაქისას,
ეთიოპიისას, სრულიად ეგვიპტისას და სრულიად
აფრიკისას, მამასა მამათა, მწყემსსა მწყემსთა,





მღვდელმთავარსა მღვდელმთავართა, მეცამეტე მოციქულსა და მსოფლიო მსაჯულსა გიორგი II-ს, მის უნეტარესობას, პატრიარქს ღვთისა ქალაქისა დიდისა ანტიოქიისას, სირიისას, არაბეთისას, შუამდინარეთისას და სრულიად აღმოსავლეთისას მაკარ II-ს და, მის უნეტარესობას, პატრიარქს წმიდისა ქალაქისა იერუსალიმისას, იორდანეს გაღმა მიწებისას და სრულიად პალესტინისას, მცველსა წმინდა საფლავისას იოანიკეს, თქვენი უსამღვდელოესობის პატრიარქის მაღალ ხარისხში აღსაყდრებისთვის. მრწამსისინი დასტურჰყოფენ ჩვენს თხოვნას და თქვენს სამწყსოს დაუბრუნდებით, როგორც მსოფლიო ეკლესიის მეხუთე პატრიარქი მცხეთის სუეტიცხოველისა და მის იქით მდებარე აღმოსავლეთისა.

კვლავ შეჰბედა კონსტანტინოპოლის პატრიარქს ოქროპირმან: ჩუენ, ქართულებმა ჭემმარიტი სარწმუნოება ქრისტეს მოწაფეთა ხელთაგან მივიღეთ პირდაპირ და არა სხუა ნათესავთა ეკლესიათაგან. მინაი ჩუენი მოსაქცეველად ქრისტეს დედას ერგო, ხოლო მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმან, მატათამან და სიმონ კანანელმან, უფლის მკვდრეთით აღდგომის საკუთარი თუალებით მხილველებმან მოგვიწოდეს და განგვანათლეს წმინდა წერილით. ორნი ამ მოციქულთაგან ქართლსა შინა არიან სამარადჟამო სავანეში განსვენებულნი. ხალენი ელია წინასწარმეტყუელისა და წმინდა კუართი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი ჩუენ სამეუფეო ქალაქსა შინა არიან დაფლულნი. ლოცვასა და ჟამს ჩუენისა ენითა აღვავლენთ. ეკლესია ჩუენი სხუათა ეკლესიათა ტოლი და თანაფარდ არს. ამიტომაც სწორს ბრძანებთ, თქუენო მეუფებავ, ქართული ეკლესიის პატივად და ღირსყოფად მისი საჭეთმჰყრობელი სხუა ეკლესიათა მამამთავართა თანაბარ და სწორ უნდა იყოს და პატრიარქად იწოდებოდეს უკუნისამდე.

დამშვიდობებისას ასე უთხრა ევსტათიმ მელქისედეკს: მასწავლებლადაც სწორუპოვარ ყოფილხარო, კათოლიკოსო. ერთი სიტყვითა მცველად გაგიზრდია, ხოლო მეორე ჩუმყოფი, ალბათ, საქმითა მედგარმცველი იქნება უთუოდ ივერთა ეკლესიისა. სამშობლოში გამგზავრებისას თხოვნისამებრ ყოველივეს გაგატანთ თქვენის სუეტიცხოველის შესამკობელად.

მეორე დღეს იოანემ ეს უთხრა ოქროპირს: იესოს ევსტათის სიმდიდრე რომ ენახა, ნეტავ რას იტყოდაო, ჰა?

პატრიარქთან შეხვედრიდან ერთი მსგეფისს შემდეგ იწვია იბერიიდან ჩამოსული სტუმრები იმპერატორმა. სხვა სასახლეები არ აკადრა, დიდი სასახლის ოქროს პალატში მიიღო იბერიის სატახტო ქალაქიდან ჩამოსული პატივდებული სამღვდლო პირები.

სპილენძის დიდი კარებით შევიდნენ ქართველი სტუმრები ოქროს პალატის სასახლეში. ეთიოპიელმა მსახურმა გააცილა ისინი. სტუმრებმა გაიარეს მარგალიტის, ოვალური, არწივთა დარბაზები და მიადგნენ ოქროს პალატის უზარმაზარ ჩუქურთმათა ხვეულებით დატვიფრულ იშვიათი მშვენების კარს. ზრდილმა მესტუმრეთუხუცესმა სახეზე გადაფენილი ღიმილით მოახსენა წვეულთ: დღევანდელ სტუმრობისას თქვენ იქნებით ყველაზე საპატიო სტუმარნი, ასე ბრძანაო მისმა უავგუსტესობამ, ამიტომაც ყველაზე ბოლოს ცალკერძ გაგესაუბრებათო ბასილევსი. დაიწყო დარბაზობა. გაიღო კარი და დარბაზში პირველნი შემოვიდნენ კიევის მთავრის ვლადიმირის ელჩები. რუსთა შემდგომად შემოვიდა ეგვიპტის სულთან აბუ ალი ალ-მანსურ ალ-ჰაქამის

ელჩობა. შემოვიდნენ გერმანიის იმპერატორის ოტონ III-ის, ბალდადის ხალიფის ალ კადირის დესპანები. მათ მოჰყვენენ ლანგობარდიისა და დაქუცმაცებული სპარსეთის ტახტის მადიებელნი. მოვიდნენ ვენეციელი დიდვაჭარნი, დამასკოელი და ქაშმირელი სოვდაგრები, ბიზანტიელი დიდებულები და პროვინციათა ხელისუფალნი. სტუმართა შორის იოანემ ტფილისის ამირას ჯაფარ იბნ ალის მსტოვარნი აბდ ალ-აზიზი და ალ-ყასიმი შენიშნა. ნელ-ნელა, მძიმედ გააღეს მსახურთ დარბაზში შემოსასვლელის მოპირდაპირე ღვთისმშობლის და მაცხოვრის გამოსახულებიანი ვერცხლის ორფა კარი. სიღრმეში გამოჩნდა ანგელოზთაგან გვირგვინდადგმული იმპერატორი ბასილი II სრული სამეფო ინსიგნიებით შეჭურვილი: უძვირფასესი ბისონით, ზეზით და ოქროს პორფირით, უამრავი სამკაულით შემკული გახლდათ ბიზანტიის მაკედონური დინასტიის ყველაზე ძლიერი და მკაცრი ბასილევსი. მთელი დარბაზი დაბლა განერთხო, როგორც ამას მოითხოვდა კარის ეტიკეტი. თვითმჰყრობელის ნაბიჯით გაიარა კეისარმა ტახტამდე მანძილი, მორჭმით დაბრძანდა მსოფლიო მბრძანებელი. ანაზად ტახტიანად ზეაიჭრა ბასილი მეორე, რამდენიმე წამის შემდეგ დაბლა დაეშვა უკვე სხვა ტანსაცმელმოსილი. ელჩებმა თვალები დააფახულეს, პირი დაელოთ და ვერას ამბობდნენ.

სხვადასხვა ელჩთა სადიდებელ სიტყვათა და მათ მბრძანებელთა დანაბარების, აგრეთვე უამრავი ძვირფასი საჩუქრის მიღების შემდეგ, პურობა ბრძანა კეისარმა. თქვა თუ არა ეს ბახუსის შადრევანში ლალისფერმა ღვინომ იჩქეფა ანაზდევულად. პურობის დაწყებისას ბასილმა თავისთან მიიწვია საპატიო სტუმრებად ჩათვლილი მელქისედეკი, ოქროპირ და იოანე. თავაზიანობით მოიკითხა სამივენი ცალკერძ, მერე კი მათგან საპატივსაცემო სიტყვების მოსმენის შემდეგ, მელქისედეკს ჰკითხა, რის სათხოვნელად გარჯილხარო ამხელა გზაზე, მეუფეო?

მტკვრისა და არაგვის შესაყართან, იქ სადაც დაფლულია ელია წინასწარმეტყუელის ხალენი და ჩვენი უფლის, ქრისტეს კვართი, საქართველოს უმთავრეს კათედრალს მცხეთის სუეტიცხოველის ტაძარს ვაგებთო, მოციქულთა სწორო. ორი ეკლესია ჟამთა ფარულმა მდინარებამ წარგვტაცა იმავე ადგილას ნაგები. ეს მესამე ეკლესიაა სარკინეთის, ზედაზნისა და თრიალეთის მთებით მოზღუდულ წმინდა ადგილისთვის განანონები. ან გეახელით, დიდო კეისარო, დამცველო ქრისტიანეთა, თქვენგან სვეტიცხოველისთვის ნყალობის სათხოვნელად. კარგა ხანს მდუმარედ იჯდა კეისარი. პალატის შუაგულში ბერძნულად ჩაცმული რაფსოდები გამოვიდნენ თავიანთი საკრავებით. აიღო თავი სახეჭმუჭვნილ ქოლერიკმა, ჯიქურ ჩააშტერდა თვალეში კათოლიკოსს და ასე ეუბნება: აროდეს სმენილა, მგელს თუნდაც უშიშრად გაბედულს და თავზეხელაღებულს, დაეჯაბნოსო ლომი ოდესმე. ასე გადაეცით თქვენს სისხლმჩქეფარებისაგან ძალამოცემულ და ჭკუისაგან განშორებულ ჭაბუკ გიორგის, თავი ანებოს ჩემს წინააღმდეგ ბიზანტიელ წამხდარ წარჩინებულებთან და ეგვიპტის სულთანთან ხვანჯთა ხლართვას. დაკმაყოფილდეს მამამისის სამკვიდრებლით. დავით კურაპალატს, თორნიკესა და ჯოჯიკის ჩვენდა დასახმარებლად გამოგზავნისთვის, „ზემონი ქუეყანანი“: ბასიანი, კარნი, ჩორმარი, მარდალში, პატარა ციხე სეფუკის, ჰაქსი და აპაჰუნიქი მივუბოძეთ, რათა მხოლოდ სიცოცხლესა თვისსა შინა აქუნდეს საბრძანებლად. დედაჩემი თეოდორა ჩამჩიჩინებდა: მადლიერების გამოჩენა მეფური ღირსებაო, ზემო



ქუეყანანი ქართველებს ეკუთვნისო შენი სიცოცხლის გადარჩენის სანაცვლოდ. მე მჯეროდა, რომ ომში აღებული ალაფიც საკმარისი იქნებოდა ქართველთათვის. ჯიუტობდა დედაჩემი: ალაფი სავსებით მონასტრებს შესწირესო ახალ ათონს ქართველებმა. თუმც დედაჩემი იყო, მაგრამ მაინც დიაცი გახლდათ ჩემი გამჩენი თეოდორა. არ დამიჯერა, რომ მეფეთა თვისება მოწყალების გაცემაა მხოლოდ და არა მადლიერების გაცემა. ჰოდა, პირგამტეხი აღმოჩნდა თქვენი მეფე დავით მესამე, ქართლის.

ახნაურთა საკრებულოზე თავისი შვილობილისა და აღზრდილის, ბაგრატი მესამის მემკვიდრეობად გამოაცხადა ნაბოძები ქუეყნები. ახლა თავქარიანად ატეხილა ბავშვობიდან ვერგამოსული თქვენი მეფე: ტაო-კლარჯეთი მე მეკუთვნისო სრულად. ასე გადაეცი შლეგს, ზღუა რაც არ უნდა ბობოქრობდეს, ბოლოს ყოველთვის შუბლჩატეხილი მიიქცევაო უკან, კლდეს შემსკდარი. შირიმთან მარცხმა თუ არაფერი ასწავლა გიორგის კულავ მოვალ და აღარც თრიალეთი შერჩება და აღარცა ქართლი, ყყეჩს. ამ სიტყვების მსმენს, სახე მთლიანად აუფორაჯდა იოანეს, სისხლი აუვარდა თავში, მერე მთლად გაშავდა განითლებული. მეფეს ულანძღავდნენ ქართველებს, მერე რა, რომ სულ ოცი წლისა გახლდათ ჭაბუკი გიორგი, დღეს მას საქართველოს სკიპტრა ეყრა ხელთ. არათუ მეფის შესაფერის სიტყვებით არ ელაპარაკებოდა ქართველ ეკლესიისწინამძღოლებს გულბოროტი ბასილი, არამედ უზრდელურად და ზემოდანყურების დაცინვით. ქარიშხლის მოახლოება ტანით იგრძნო ოქროპირმა, დაქაჩა უჩუმრად ბერული ჩოხა გვერდითმჯდომს. გიორგობისთვის ასკილის მწიფობისფერი გაუხდა თვალთა თეთრონნი იოანეს. ასე ეუბნება უმძლავრესი იმპერიის გულარძნილ იმპერატორს მელქისედეკის ჟამისმწირველი:

ოდენ სიმართლე გიბრძანებიათ დედათქვენისთვის მეფეთა შესახებ. მადლიერება არა მეფეთა, არამედ სხვა კაცთა ადამიანური თვისებაა უცილოდ. მუდამყამ შეჭირვებასა შინა ცხოვრებასა ვართ ჩვეულნი ქართველნი, ათგზის გაგვიმარჯვნია და ათგზის დავმარცხებულვართ, ურიცხვი ხარკი გვიხდია და სხვაც დაგვიხარკავს, გალაღებითაც გვიცხოვრია და შეჭირვებისას ხის ფესვები და ხვიარები გვექონია საზრდოდ, მაგრამ ღირსება არასდროს დაგვიკარგავს, გამარჯვებულებს არც სხვათა ღირსება გვიქელვია ოდესმე. ხომ ცხადია, რომ ღირსება ღიბოა კაცობისა. სხვისი ღირსების შეურაცხყოფით განა საკუთარს არ ქელავს ადამიანი? ასე მგონია, რომ არ ეგების ერთი მეფისაგან მეორის შლეგად ძახილი. განა ორივენი ღვთისაგან არ ხართ არჩეულნი და მირონცხებული? კავკასიის მთებით არის ჩვენი ღირსება და მასთან თანზრდილი ლაღობა ნანანავები. სხვის დამცირებას კი იმიტომ არ ვკადრულობთ, რომ სიბრძნედ მიგვაჩინა ბედის წაღმა-უკუღმა ტრიალის მუდმივობა. თანაც ორივენი ქრისტიანები ვართ, მოციქულთა სწორო. ბიზანტიისა და პართიის ომში ხოსრო II გვიპრდებოდა აღგავსებთო ოქროითა და ვერცხლითა, ოლონდ სომეხთა მსგავსად მონოფიზიტებად მოინათლეთო. არ უარგვიყვია ჭეშმარიტი სწავლება, არ გვიღალატნია მრწამსისათვის. მუდამყამს ბიზანტიონის მოკავშირედ ვყოფილვართ და ვიქნებით კიდევ მომავალში. ერთსაც მოგახსენებთ, კეისარო, ტაო-კლარჯეთში არიან დაბადებულნი საქართველოს მეფენი, ბაგრატიანის გვარისა. მკვიდრნი იქაურნი მხოლოდ ქართულითა ენითა აღავლენენ უფლის სადიდებელს წირვას და ჟამიც ქართულითა ენითა აღევლინების ქართული წარწერებით გამშვენებულსავე ტაძრებში,

რომელთა მაშენებლებიც ლაზი და იბერი ხუროთმოძღვარნი ყოფილან მუდამ.

სისხლი აემღვრა ბასილს. მას, რომელსაც მსოფლიო საეკლესიო კრებები თავის ჭკუაზე უტარებია, რომლის წინამეც კანკალებდნენ კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიისა და ანტიოქიის პატრიარქები და რომელსაც ქრისტიანობის უპირველეს და უსაჩინოეს დამცველს უწოდებდნენ იგინი, ეს ჯვალოს ანაფორიანი უბრალო ჟამისმწირველი მცხეთელი ბერი ჭკუას არიგებდა შეფარვით. ერთიც იფიქრა ზვიადმა კეისარმა: ხომ არ გამესრისაო ეს თავხედი როგორც ერთი რამ უდღეური მკბენარი? საფარველად ღვინის თასი იფარა, ოდნავ მოწრუპა და თავის ადგილზე დადგა ფინიკის ხილისა და ბერძნული ლელვით სავსე თასებს შორის, ინანა თავისი გულფიცხოზა, რადგანაც კარგად იცოდა, პირდაპირ მუქარას ტკბილნარევი საყვედური სჯობნის ყოველთვის, რამეთუ იგი უფრო უფორიაქებს კაცს სულს. იმპერატორმა წამზე უსწრაფესად განყარნა ფიქრნი და უთხრა იოანეს:

არა ერთითა ენითა დგინდება ქუეყანაი, არამედ ერთითა მრწამსითა, ერთითა ჯარითა და ერთითა მბრძანებლითა. ავსებულია კონსტანტინოპოლის სასახლის კარი ქართულად მოუბნე ტაო-კლარჯელი დიდებულებით, ყოველი მონა მძლავრ მფარველს ეძებს დღენიდად, ეს კარგად დაიმახსოვრე, ბერო. თქვენ, იბერებს ღირსება თავკერძ ამპარტავნებაში გერევით ყოველწამისად, ამიტომაც შინა ომებით უხვად არწყულებთ თქვენი საცხოვრისის მინას. სჯობს მთელი საქრისტიანო ერთი ქვეყანა იყოს. ამას შევალე ჩემი სიყრმე, ახალგაზრდობა და ჭარმაგობა ლოცვით, მარხულობითა და ომებით.

ენებით აღრეული ქუეყანა გოდოლივით დაიქცევაო, სწორუპოვარო კეისარო, ჩაურთო სიტყვა იოანემ.

ერთიანი საქრისტიანოს დროს მხოლოდ ტკბილბერძნული იმეუფებს უკუნისამდე და აღარ დასჭირდებათ ათონზე თქვენს წარმოგზავნილთ თარგმანება მრავალი წიგნისა, უპასუხა ბასილმა. ოქროპირმა ღვინით ადღეგრძელა მასპინძელი. მერე ეს ჰკითხა ბასილევსს, წითლად ჩაცმულს:

უდიდესმა გამოცდილებამ რა ხერხის უტყუარობამდე მიგიყვანათ, დიდო მეფეო, ერთიანი ქრისტიანული სახელმწიფოს შესაქმნელად?

ხერხი ერთია და სხუა არ არსებობს: შიშის ზაფრა და ოქრო. პეტრემ შიშის, ისკარიოტელმა კი ოქროს გამო უარყვეს იესო, მოკლედ მოჭრა იმპერატორმა, მესამეც საზრიანობა და სიეშმაკეა. იოანემ თავი მდაბლად დაუკრა კეისარს და ასე შეჰკადრა:

განა სიყვარულის გზა არ ივარგებსო ერთიანი საქრისტიანოს საშენებლად, ანგელოზთა მიერ გვირგვინდგმულო?

ჩაფიქრდა იმპერატორი, სწრაფად არ გაუცია პასუხი კითხულისთვის, ცოტა ხნის შემდეგ მაინც აიღო თავი და ღრმად დარწმუნებულის ხმით თქვა: არა! კიდევ ფიქრობდა კეისარი კარგა ხანს და მერე ეს დაუმატა პასუხს: შეიძლება ჯერ არ დამდგარაო ამის ჟამი. ისე იბერიელნი შვილებივით მიყვარხართო, თქუენი მეფის გარდა.

მელქისედეკ კათოლიკოსმა მადლი მოახსენა ბასილი II-ს სუეტიცხოველისთვის შეპირებული საუნჯისათვის. კეისარმა სათანადო ღირსებით მიიღო კათოლიკოსის ნათქვამი, დაუბარა: წვრილად გადაეციეთო ჩემი მენათვალთ თქვენს მეფეს და ტახტიდან მალლა აიჭრა, მერე აღარც გამოჩენილა.



იზა მჭედლიშვილი

52



დედის გული

საშინელი სიცხეა, ბული ასდის მიდამოს. გამომხმარ მინაზე გზას ორი არსება მიიკვლევს — დედა და შვილი. მიდიან და ტანჯავთ საშინელი წყურვილი. დედა ახალგაზრდაა, ქერა, სწორი თმები მხრებზე ჩამოშლია. ტანჯულ სახეზე მაინც უთრთის იმედის ნაპერწკალი. ხელში ატატებული შვიდიოდე წლის ბავშვით მიიწევს წინ. შორს, ძალიან შორს მდინარე მოჩანს...

— დედა, მომეცი შენი ნატვრისთვალი, — ევედრება შვილი.

— რომ მოგცე რას ინატრებ? — ეკითხება დედა და გულში იკრავს ბავშვს.

— წყალს, დედიკო, წყალს.

— ცოტაც მოითმინე, მდინარესთან მივალთ და იქ მოიკლავ წყურვილს... მე რომ ნატვრისთვალი მოგცე, გავქრები, გადავიქცევი თეთრ ნისლად, მერე, შენ ვინღა მოგხედავს, თორემ, მე, მე არაფერი მიჭირს, გავფრინდები ზეცაში და იქიდან გიყურებ...

— მაინც მომეცი, ძალიან გთხოვ, დედა, ნუთუ, არ გემეტება ჩემთვის ნატვრისთვალი?! რომ იცოდე, როგორ მინდა, — ევედრება შვილი და ცრემლი ღაპალუპით ჩამოსდის.

ამას ვეღარ უძლებს დედის გული. ქვითინებს, ეძნელება შვილის მიტოვება, გულში იკრავს და კოცნის და კოცნის... ბოლოს ძირს სვამს, უკანასკნელად ეამბორება გიშრის კულულებზე, ხელი სწრაფად მიაქვს გულთან, ალებს მის კარს, გამოაქვს ნატვრისთვალი და ათრთოლებული ხელით აწვდის შვილს „კარგად, ბედნიერად იყავი, შვილო, ოღონდ არ დაგავინყდეს, მხოლოდ სამი ნატვრის ასრულება შეუძლია ამ ნატვრისთვალს“... ამ სიტყვებსღა ასწრებს, ხელს ნაზად უსვამს გიშრის კულულებზე და... ფერმკრთალდება, ქრება.

ნატვრისთვალი გულის ფორმისაა, ნამდვილი გულის. ის ბრწყინავს, ელავს, ანათებს და მისი ცისარტყელას მსგავსი ფერები იღვრება გარემოს ბინდბუნდში.

— ნატვრისთვალი მაქვს, ნამდვილი ნატვრისთვალი, — უხარია ბავშვს და ნატრობს მდინარეს, ყვავილებით მორთულ მდელოს და თეთრბაბთიან დედოფალას...

გოგონა შავი კულულების რხევით დაქრის ზღაპრულ მდელოზე, სვამს გემრიელ წყაროს და შეხარის თავის თეთრბაბთიან დედოფალას...

— გმადლობ, ნატვრისთვალო, გმადლობ, რომ მაჩუქე ეს ყველაფერი, — ყვირის და გამოძახილს უგდებს ყურს.

მაგრამ რა ხდება?! ექო მის სიტყვებს არ იმეორებს, პირიქით, მოგუდული, პირქუში ხმით პასუხობს.

— ეგ ყველაფერი დედამ გაჩუქა, სიცოცხლე და ბედნიერება შემოგწირა, შენ კი გაიძახი ნატვრისთვალმაო. მთავარი შენს ბედნიერებაში დედაა შენი. ეგ ნატვრისთვალი ხომ დედის გულია, დედის გული... და შენ კი...

გოგონას გული ეწურება. ტკივილამდე დასულ სიცარიელეს გრძნობს... უცებ მის თვალში ყველაფერი ფერმკრთალდება. დაუძლეველი სურვილით უნდა გაექცეს ამ თვალისმომჭრელ სილამაზეს, ყალბ ბედნიერებას... უნდა, დაბრუნდეს იმ სიცხეში, ოღონდ იყოს დედასთან ერთად. იქ, ხომ მხოლოდ სხეული ეტანჯებოდა, აქ კი სული...

გოგონა შეუსვენებლივ დარბის და თავდაუზოგავად ეძებს დედას. მისი განწირული ძახილი მთებს აწყდება და ვინ იცის მერამდენედ იმეორებს ექო და ბავშვი — დედას და დედას...

...ჩამობნელდა, მაგრამ წყვდიადშიც დაქრის ბავშვი და ანგარიშმიუცემლად ყვირის: დედა!..

— რა მოხდა, შვილო, ჩემო ძვირფასო, — უცებ ჩაესმის ძილ-ღვიძილში დედის ალერსიანი ხმა და თვალს ახელს, საბოლოოდ ტოვებს სიზმარეულ სამეფოს.

— დედა, დედიკო! შენ არ გამქრალხარ?! — გახარებული ყვირის, ყელზე ეჭდობა და ტირის და ტირის...





გიული ჩიხიაშვილი



გიული ჩიხიაშვილი დაიბადა 1936 წლის 4 ივლისს, ქალაქ ყვარელში.
გიული ჩიხიაშვილის პირველი ლექსები გამოქვეყნდა ყვარლის რაიონულ გაზეთში „ყვარელი“.
პოეტის ლექსების პირველი კრებული: „ნუშის ქორნილი“, — გამოიცა — 1995 წელს, მომდევნო წლებში, ლექსების კრებულები: „ვედრება“ და „ნისლები“.

თელავს

ცისკენ ისე მალღდები,
როგორც — ლალი ფრთოსანი,
გშვენის მთების ზურმუხტი, —
ფერი ვარდის, სოსანის,
და ელვარებ ედემში, —
თვალი პატიოსანი.
შენი ანწყო — წარსულით,
სიამით და ვაებით,
შენი წმინდა ტაძრებით, —
ღვთისმშობელით, ღვთაებით,
სიყრმიდანვე გიცანი —
ჩემი დასაფიცარი.
შენს ქუჩებში მზე დადის,
(მტრისას იყოს უკუნი)
შენს დაღალულ, მძლე, მხრებზე
თვლემენ საუკუნენი.
გასცქერ სივრცეს — ძლიერი,
ჭაბუკური იერით.
როგორც ნამუსის ქუდი,
გშვენის გვირგვინოსანი,
მთები, შენნი ხნისანი,
ვარდები და სოსანი
და ელვარებ ედემში —
თვალი პატიოსანი.

* * *

ისევ მენატრებიან
სიყმანვილის დღეები,
დედის ეზოს ვარდები,
ჩაუმქრალი მზეები,
ჩითის კაბა, — კოპლებით,
ალანძული ლოყები,
ნაღვლიანი თვალები, —
ჩემსკენ მომზირალები,
მხრებზე — თეთრი ბაფთები,
კოცნა, — ნაუცბათევი.

* * *

ათოვს და ათოვს ფერმკრთალ ლიანებს
და სიყვარული ლოდინში კვდება,
ცა — ცრემლისფერი თრთის და
კანკალებს

თეთრად თენდება, თეთრად ღამდება.
დადგება ჟამი, თავს მოინონებს
და გაიღიმებს კორდი
თოვლიდან,
ვიცი, გაზაფხულს მოყვები ერთხელ,
მოხვალ და... კდემით,
იებს მომიტან.

* * *

ხანდახან — ისე, ხანდახან — ისე
მოგელი გულის უცხო
ფრთხილით,
ხანდახან, — ისე მომენატრები,
როგორც მკათათვის ფოთოლთ
შრიალი...
ნუ მიმატოვებ ფიქრის ამარა,
(განა ზაფხული ისევ მწველია)
წლებმა თავისი წაიღეს წილი,
რაც დამრჩენია, მხოლოდ, შენია.

სიჯოჯლო

ერთი ჩასუნთქვა — ამოსუნთქვა
ხარ,
ვით ნათლისმცემელს შეგყურებ
ისე,
დასაკარგავად არ მემეტები, —
როგორც მიყვარდი,
მიყვარხარ ისე.
გამატანიხე ჩემი სავალი, —
ვინრო ბილიკი,
ოცნების მხარე,
(თვალში ელავდეს სილურჯე
მთების)
ბოლომდე მასვი ჩემი
ტკბილ-მწარე.
ხელებგანვდილი ვდგავარ
შენს წინა,
მორჩილებით და იმედით
სავსე,
ამ მოკლე დღეთა
ქროლვაში ვინვი,
მოდი, მოზღვავედი და...
ამომავსე.



* * *

სანუთისოფლოს
 თვალს ვუსწორებდი,
 იყო ქარები,
 იყო მზეები,
 ძლივს გატეული გულის
 კედლებში
 იკარგებოდნენ, სადღაც,
 დღეები.
 და... თან, მიჰქონდათ —
 ყველაზე კარგი,
 მეკარგებოდა — ყველაზე
 წმინდა,
 მე ერთგული ვარ,
 იმის, რაც მსურდა,
 და... რაცა მსურდა, კვლავაც,
 ის მინდა.

* * *

ლორთქო ბალახებს
 ნიავი არწევს,
 მივყვები ბილიკს
 დილის ცვარიანს,
 აპრილი მხვდება
 ლურჯი ხეებით,
 მწვანე
 მინდვრებით
 და მიხარია,
 რომ... ეს —
 მშვენიერა
 უსასრულოა...
 სული მალღდება,
 როგორც ნაძვნარი
 ღმერთო,
 აქედან, არსად გამრიყო, —
 ამ სილამაზით
 გაუმადლარი.

სამშობლო

მრავალჯერ, — ნაელდავები
 გული ვერ ჩადგა საგულეს,
 შენი დაშლილი სხეულის
 ყველა ტკივილის კენესამე.
 ვერ დაგიბნელოს
 მტერმა მზე,
 გაბრწყინებული მენახე,
 ღვთისმშობლის
 კალთა ფარავდეს,
 შენ ბალ-ბოსტნებს და
 ვენახებს.
 სიცოცხლე აღარ გეძნელოს, —
 უფლის ნაბოძებ მინაზე,
 შენ, ჩემო,
 ერთო მტკაველო,
 და... დიდო —
 დედამინაზე.

* * *

ახლა, —
 სულ ერთია, უკვე,
 ფერი —
 აპრილის და ზამთრის,
 დაღმართს მიჰყვებიან
 გზები,
 დღეები ზეობენ
 ავდრის.
 პატარა ტკივილიც
 გყოფნის,
 როგორ იავადე,
 სულო —
 პატარა სიამეც, რომ
 გლლის,
 როგორ დამიბერდი,
 გულო.
 ახლა, სულ ერთია, უკვე,
 დრო და გარდასული
 წლები,
 იყო და... არა იყო, რა,
 დაღმართს მიჰყვებიან
 გზები.

კახეთს

იყავ, მარად, კურთხეულ,
 ვაზო, მალალრქიანო,
 მადლიანო სიცოცხლევ,
 ზვრებო,
 ვარაყიანო,
 მთებო,
 მხარბეჭიანო,
 მთებო, ჭლართმიანო,
 შენი ერის მარჯვენავ,
 სინდისო და სახელო.
 თავჩარგულო მშრომელო,
 ჩემო, დინჯო კახელო,
 თავის გადასარჩენად
 აღესილო მახვილო.
 მუდამ, —
 მტრების სამიზნევ,
 დარბეულო მამულო,
 სისხლისაგან დაცლილო,
 მაგრამ, კვლავ, შემართულო,
 მიწავ,
 ძუძუ რძიანო,
 მიწავ,
 ჩემო, — ქართულო.

თეთრი გვირილეები

ლურჯია —
 კარავი ზეცის, —
 მცხუნვარე მკათათვის
 დღეთა,
 ჩუმია,
 ჩუმია, რარიგ,
 ჩუმია შრიალი ხეთა.
 მდუმარე, მწვანეანი
 ველობს —
 სხივი ასვენია ნათლის,



ლურჯია —
კარავი ზეცის,
თეთრია —
გუმბათი
ტაძრის.
მიმობნეულები, ირგვლივ,
თეთრი გვირილები, —
იქვე,
ღვთისმშობელს, მაცხოვრის
სახლთან,
კალთიდან დასცვივდა
იქნებ?..

* * *

გარდასულ დღეებს
რა დააბრუნებს?
ან, გაზაფხულს ვინ
გამიფერადებს?
შენ, ჩამიარე
იმ, ძნელი გზებით,
მოგდევ,
მოვეყვები დამრეც
ფერდობებს.
არ გენანები, —
ძირს რომ დავქანდე?
უკან მომკივის —
შეშლილი ქარი,
ჩამჭიდე შენი,
ძლიერი ხელი,
მე ის ვარ,
შენ რომ გიყვარდა
ქალი...

* * *

დილის მზე, სხივით,
მწვერვალებს მორთავს,
ააფერადებს
ყვავილებს — მინდვრად,
შენ არ დამინნავ
ველურ გვირილებს
და არ დამადგამ —
თავზე გვირგვინად...
აღარ ამავსებ —
ფიქრით და ნატვრით,
თვალში ღამდება —
ღალანი ფერთა...
და... გზას,
რომელსაც გავყურებ
დიდხანს,
შენ, არასოდეს,
მოგიყვანს ჩემთან.

* * *

ისე, — ვუფროთხილდები:
მე — შენს, თბილ, ღიმილს,
ვით, —
ღიმილს ფრესკების...
ისე, — მადიდებულს —
შენი სიახლოვე,
აღარ მეშინია —
ქვესკნელის;
ისე, — მაიმედებს —
შენი თანადგომა
და... სიფაქიზე,
რაც შენში არის...
ისე, — ძვირფასია —
შენი თვალთახედვა,
ვით, უკუნში —
სხივები, — მთვარის...





თამარ კოლელიშვილი



ხვალ...

...მე, ახლა, ლექსს ვწერ... ბინდი ეშვება...
 სადღაც, გაკრთება სხივი იმედის,
 ახლა, ტკივილი შევსვი პეშვებით
 შევსვი და... თითქოს, ტკივილს მივწვები...
 ცაზე მილოღავს მთვარე, — ტაატით,
 მე ვიძირები სიმშვიდის ზღვაში,
 შუალამეა, რეკავს საათი...
 ხვალ, უსათუოდ, ძველ ლექსებს ნავშლი...
 და... მეჩვენება, დავბერდი, თითქოს,
 ვილაცა, ყელში მარწუხებს მიჭერს,
 ვაგროვებ საგზლად ღიმილს და სითბოს,
 გაუსაძლისის ატანა მიწვეს...
 მაინც, ჯიუტად, ვადგავარ აღმართს,
 დაღლილი გული ნელ-ნელა ფეთქავს,
 მარადისობის, იდუმალ, კართან,
 შენ არ იქნები, ძვირფასო, ჩემთან...

მიხვდავ კერას...

შეხედე: ცვარი როგორ კრთის — მოღზე,
 მონყენით მიმზერს ბაღჩიდან ნუში,
 თებერვალს ცივი ქარები მოსდევს,
 ჯერ, ისევ, მძლავრობს ზამთარი ურჩი...
 გიჟმაჟი მარტი ხმაურით მოვა,
 აფეთქდებიან ხეები ატმის,
 აპრილში მიყვარს ყვავილთა თოვა,
 მაისი — ვარდის კოკორს რომ გაშლის...
 მე, ახლა, ალბათ, აღარსად ნავალ,
 შემოდის ჩემში სიმწვანე, — ნორჩი,
 მოვხედავ კერას, ფუძეს და ყავარს,
 ველარ შემაკრთობს დელგმა და თქოში...

ჯერ, — ქართველი ვარ,
 მერე — ჰოეტი...

არწივობენ მართვენი,
 სცოდვენ მიეთ-მოეთნი,
 ...მე ჯერა ვარ ქართველი,
 მერე, ალბათ — ჰოეტი...
 სამშობლოზე ძვირფასი,
 ნუთუ, რამე იქნება?
 უიმისოდ, — მტვერია:
 ფული, ხოტბა, დიდება...



ზოგჯერ, — ასე გგონია,
 ტვირთად განევს სამყარო,
 ყველა ცოდვის სიმძიმე,
 ცდილობ, მხრებით, ატარო...
 ცდილობ, — გაითავისო,
 ქვეყანაზე, რაც ხდება,
 დღეს, — ბოროტი ზეიმობს,
 მჯერა, ხვალ დამარცხდება,
 ჩემი აზრით, ცხოვრება —
 გამოცდაა ნამდვილი,
 ზოგისათვის — ძნელია,
 ზოგისათვის — ადვილი,
 მჯერა, გვლოცავს გამჩენი,
 ვართ: რწმენით, სასოებით...
 ...მე ჯერა ვარ ქართველი,
 მერე, ალბათ — ჰოეტი...

სულ ერთი წიდა...

სულ, — ერთი ციდა ღიმილი მყოფის,
 რომ ცა და მიწა ჩემად ვიგულო,
 ვალი გვაქვს ყველას, ჩვენ, ნუთისოფლის,
 ვფიქრობ, — ტყუილად: ვცხარობთ, ვდიდგულობთ...
 მირაჟებს ჰგავსო ცხოვრება, ვინ თქვა?..
 მჯერა, რომ დრო აქვს, ყველაფერს, ქვეყნად...
 და... ვრცელ სამყაროს, უდავოდ, მართავს,
 სამართლიანი, კეთილი ნება.
 ო, მაპატიოს, იქნება, ღმერთმა,
 თუ, უნებურად, შევცოდე რამე,
 თუ, ოცნებები დალენა ქარმა,
 თუ, არ გათენდა, წყეული, ღამე...
 რას ჩავეჭიდო?.. ნავიდე საით?..
 ვინ გადაამისვამს თმაზე ნაზ ხელებს?..
 გულის სიღრმეში შემძულდა თავი,
 მაინც, დავდივარ, რაღაცას ვეძებ...
 განიკითხავენ — მტყუანს და მართალს,
 ზოგი — სიცრუით გაიტანს ლელოს...
 იქნებ, შეცვალოს ქარბუქი დარმა,
 იქნებ, მომნახოს სიმშვიდემ, ჩემო...
 თითქოს, ოდესღაც, დამდაღეს შანით...
 კვლავაც, მატყვია ძველი იარა,
 ჩვენ მტრებმა, ბევრჯერ, გვანამეს, გვმანთეს,
 ბრბომ ქართველის გულზე გადაიარა...
 სულ, — ერთი ციდა ღიმილი მყოფის, —
 რომ ცა და მიწა ჩემად ვიგულო,
 ვალი გვაქვს ყველას, ჩვენ, ნუთისოფლის,
 ვფიქრობ, — ამაოდ: ვცხოვრობთ, ვდიდგულობთ...

ჩემზე რომ იყოს...

ჩემზე რომ იყოს, რას ვიზამდი? ჩემზე რომ იყოს,
ამ სითამამეს — მაპატიებს, ალბათ, განგება,
ცრემლს შევუშრობდი ყველა მტირალს, ყველა დავრდომილს,
რომ, მუდამ, კარგი საქმით ვედგე მოყვასს თავდებად...
ჩემზე რომ იყოს, დავივლიდი კარით-კარამდი,
თუ, საჭიროა, ჩავიდოდი, ალბათ, ჯურღმულშიც...
ჩემზე რომ იყოს, ბოროტებას ძირს დავამხობდი,
და მივაგდებდი, მივმარხავდი — სადღაც, კუნჭულში...
ჩემზე რომ იყოს, ავახდენდი ლამაზ ოცნებებს,
დავარიგებდი ყველგან ღიმილს, სითბოს, იმედებს,
შურს და სიძულვილს სიყვარულით ისე შევცვლიდი,
რომ ქვეყანაზე იმეფებდა, მხოლოდ, სიკეთე...

სამადლოზელი

რა დრო გასულა... ბევრი რამე მსურდა მომესწრო,
ფოთოლცვენაა, შემეპარა თმაში ჭალარა,
ჩემს ფანჯარასთან ჭრიჭინების უკრავს ორკესტრი
და დირიჟორობს მილეული მთვარე ნამგალა...
დროა ირწმუნო და, არასდროს, აღარ მოიწყენ,
თორემ, გიჟმაჟი ქარი, სადღაც, გაგინაპირებს,
„შეჩერდი ნამო“, უკვდავების ქარგა მოისხი,
მადლობა, რადგან — უფლის რწმენა გამითავისე...

ლიტერატურული ალმანახი „სორნაბუჯი“ №4



გამოვიდა ლიტერატურული ალმანახის „სორნაბუჯის“ მეოთხე ნომერი (რედაქტორი გიორგი ნატროშვილი).

ალმანახი იხსნება საიუბილეო მილოცვებით ჯემალ მეხრიშვილის 75-ე წლისთავისა და ლევან ალავერდაშვილის 46-ე წლისთავის აღსანიშნი მასალებით. წარმოდგენილია ჯემალ მეხრიშვილის მცირე ბიოგრაფიული ჩანახატი და ფრაგმენტი მისი ახალი წიგნიდან, ასევე ლევან ალავერდაშ-

ვილის ახალი ლექსები.

რუბრიკა „პოეზია“ აქვეყნებს ვაჟა ოთარაშვილის ნიკოლოზ ბარათაშვილის მე-200 წლისთავისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლს. აქვე იბეჭდება: ეკა ჯავახიშვილის, თეა თაბაგარის, თამაზ ნიკლაურის, ეკა კვანტალიანის, ჯუმბერ უთრუთაშვილის, თაფლო ზარიძის, თემურ ჭახნაიას, იასე გაგნიძის, ნატა ვარადას, გიორგი ნიკლაურის ლექსები.

რუბრიკა „პროზა“ გთავაზობთ კლარა გელამვილისა და არქიმანდრიტ ონოფრეს (ნულაძე) ახალ ნაწარმოებებს.

რუბრიკა „ახალი სახელები“ გვაცნობს ახალგაზრდა, 17 წლის ბექა ზამთარაძეს წერილით — „ვახტანგ გორგასლის პოლიტიკის ფსიქოლოგიური ანალიზი“, ასევე დედოფლისწყაროელ ავტორს ლია რობიტაშვილს ნოველებით — „კაკლის ხე“ და „მთა“.

რუბრიკა „გახსენება“ იხსნება სახალხო მთქმელი-სა და მომღერლის გოგი კავთიაშვილისადმი მიძღვნილი მცირე წერილით. აქვეა ავტორის რამდენიმე ლექსიც. შემდეგ კი რუბრიკა გთავაზობს 2012 წელს გარდაცვლილი, ბევრისთვის საყვარელი შესანიშნავი პოეტის ბადურ ბალარჯიშვილის ლექსებს.

რუბრიკაში „თარგმანები“ წარმოდგენილია ჰერმან ჰესეს მცირე წერილი და XIII საუკუნის სირიელი ავტორის აბულ ფარაჯის ბოლო ნაწარმოების — „თავშესაქცევ ამბავთა წიგნი“ — თარგმანი.

რუბრიკაში „პუბლიცისტიკა“ იბეჭდება დალი სულაშვილის წერილი — „ფიროსმანი... საიდან მოვიდა ეს უცნაური ადამიანი?!“ ხოლო რუბრიკაში „დედოფლისწყაროს ისტორიიდან“ ქეთევან მჭედლიშვილის წერილი — „ნეჩოლოდოვების სახლის ისტორია“.

რუბრიკით „ჩვენი მხარე“ იბეჭდება ნატა ვარადას წერილი „საქართველოდან საქართველოში“ და მარი მახარაშვილის წერილი „არბოშიკი“.

ალმანახის ბოლო გვერდები ეთმობა რუბრიკას „შეხვედრა პოეტთან“, რომელშიც წარმოდგენილია ნანა ჭიჭინაძის წერილი „ატირეთ წვიმები“. წერილი ეძღვნება ამა წლის 2 აგვისტოს დედოფლისწყაროელების შეხვედრას პოეტ თემურ ჩალაბაშვილთან.





ჯულია დონალდსონი



პრინცესა მირორ-ბელი* და მზრინავი ცხენი

თავი პირველი
მზრინავი ცხენი

— ესეც ასე! — თქვა ლურჯქამრიანმა ექთანმა და სიამაყით დახედა ელენის თაბაშირში ჩასმულ მარჯვენა მკლავს. — მზადაა! გინდა გითხრა, რა შეგიძლია? რადა, შეგიძლია შენს მეგობრებს ზედ თავიანთი სახელები დაანერინო.

ელენი ველოსიპედიდან გადმოვარდნილიყო და ხელი მოეტეხა. დედამ მაშინვე საავადმყოფოში გააქანა. ახლა საშინელ ტკივილს თითქმის აღარ გრძნობდა. ვეღარ ითმენდა, ისე მოენონა ის აზრი, რომ მეგობრები სახელებს დაანერდნენ თაბაშირზე.

— ხომ შემიძლია ხვალ სკოლაში წასვლა? — იკითხა მაშინვე.

— ხვალ არა. ექიმმა გვითხრა, ღამე აქ დარჩესო. საჭიროა თვალ-ყური გადევნოთ. შენ ხომ ტვინის შერყევა გქონდა.

— ეგ რას ნიშნავს?

— თავს რომ მაგრად დაარტყამ რამეს და აღარაფერი გახსოვს, აი ეგ არის ტვინის შერყევა.

ეს მართლაც ასე მოხდა. ელენმა ველოსიპედიდან გადმოვარდნისას თავი ქვაფენილს დაარტყა და რამდენიმე წუთი ნამდვილად აღარ ახსოვდა, სად იმყოფებოდა ან რა გადახდა თავს.

— არადა, სულ ვეუბნები, დამცავი ჩაფხუტი დაიხურეთ, — შესჩივლა დედამ ექთანს.

ელენმა თავი ჩაქინდრა. თავს დამნაშავედ გრძნობდა. „მაპატიე რა, — ჩაიბუტბუტა — ახლა ხომ კარგად ვარ“.

— მაინც საჭიროა აქ დარჩე. ხომ იცი, სიფრთხილეს თავი არ სტკივთ, — ექთანი ახლა მშობელს მიუბრუნდა, — ხვალ იმედია უკვე შესძლებთ ბავშვის შინ წაყვანას. მაღევე, ექიმი პალატების შემოვლას რომ დაამთავრებს.

ამ დროს სანიტარიც გამოჩნდა, ეტლს მოაგორებდა.

— აბა, აქ დაბრძანდი, ბებრუხანა ქალბატონო, — უთხრა ელენს და მერე დედამისს მიუბრუნდა, — თქვენ კი ფეხით წამობრძანდით, ახალგაზრდა ქალბატონო.

რა უცნაურია, ფიქრობდა ელენი, რა საჭირო იყო ეტლით წაყვანათ, მაშინ როცა ხელი ჰქონდა მოტეხილი და არა ფეხი. უნდოდა ეკითხა, მაგრამ შერცხვია. სანიტარმა ჯერ ლიფტში შეაგორა, მერე გამოაგორა და ბოლოს ერთ პალატაში შეაბრძანა, სადაც ექვსი საწოლი იდგა.

— ეს იუპიტერის პალატა გახლავთ, არც მეტი, არც ნაკლები, ხუთვარსკვლავიანი მკურნალობა გელით, — ეტლი ექთნის მაგიდასთან მიაგორა. მეტად მხიარული ყმანვილი ჩანდა.

აქ კი უკვე წითელქამრიანი ექთანი შეეგებათ კეთილი ღიმილით. ექთანი ჯო დამიძახეთო. ელენს თავისი საწოლი აჩვენა, რომელსაც გარშემო ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული. შემდეგ მაჯაზე პლასტმასის სამაჯური მოარგო ელენს, რომელზეც ბავშვის სახელი ეწერა.

— აი, ესეც უნდა ჩაიცვა, — ექთანმა ჯომ ელენს საავადმყოფოს ღამის პერანგი მიანოდა.

— ეს როგორ უნდა ჩაიცვა თაბაშირიან ხელზე? — გაუკვირდა ელენს.

— შენ ამაზე ნუ იდარდებ, — ეს ჩვენი საზრუნავია, — უთხრა ექთანმა. როცა დედა ჩაცმაში ეხმარებოდა, აღმოაჩინეს, რომ მარჯვენა სახელო მოექრათ და ხელის გასაყოფიც ისე გაეგანვივრებინათ, რომ თაბაშირიანი ხელი თავისუფლად გაეყო.

— ჩემი წასვლის დროა, — უთხრა დედამ.

— ნუ წახვალ რა, დედიკო, — ფერი ეცვალა ელენს.

— აი, ნახავ რა კარგად იქნები. მხოლოდ ერთი ღამით გტოვებთ, მეტით ხომ არა? აქაურ ბავშვებსაც გაიცნობ და დაუმეგობრდები.

ელენმა მიმოიხედა იუპიტერის პალატაში და მხოლოდ ერთი ბიჭი დაინახა, იმასაც ტკბილად ეძინა. სამი საწოლი თავისუფალი იყო და ერთსაც ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული.

— რა ხდება, ამ დღეებში აღარავინ აღარაფერს იტეხავს? ელენ, შენ რომ არ ყოფილიყავი, იქნებ სამუშაოც დამეკარგა, — იხუმრა ექთანმა ჯომ.

ელენს გაეღიმა. შიშმა თითქმის მთლად გაუარა. მარცხენა ხელით დედას გადაეხვია და პირობა ჩამოართვა, რომ მეორე დღეს ყურძენსა და ბიბლიოთეკის წიგნს მოუტანდა.

— ახლა ჩვენს საქმეს მივხედოთ, — ექთანი ჯო ელენს მიუბრუნდა, როცა დედა გაისტუმრეს. — ამოირჩიე, რას მიირთმევ ხვალ. შემთხვევით ცაცია ხომ არ ხარ?

— არა, არა ვარ ცაცია. მათთვის განსხვავებულ საქმელს ამზადებთ? — დაიბნა ელენი.

— არა, მაგრამ შეიძლება ამის შევსება გაგიჭირდეს, — ექთანმა ჯომ გაიცინა და ბავშვს ერთი ყვითელი ბარათი აჩვენა. — აქ ჩამოთვლილი საქმელების სიიდან შეგიძლია რაც გინდა ის ამოირჩიო საუზმედ და სადილად.

ელენმა ამოირჩია სიმინდის ბურბუშელა და ფორთოხლის წვენი საუზმედ და წინილის ღვეზელი და ხილის სალათი სადილად. ექთანმა ჯომ ბავშვს სასურველი კერძები მოუნიშნა.

— ჩემი მორიგეობა დასრულდა. ხვალ ნაშუადღევს დავბრუნდები, იქნებ მოგისწრო და გნახო კიდევ.

ელენს გული დასწყდა, მაგრამ რას იზამდა. შემდეგ სულ ახალი ექთნები დაესივნენ. ერთმა სიცხე გაუზომბა, მეორემ კაკაო მოუტანა და მესამემ საბაზანოში გაიყვანა. პირდაპირ გაოგნებული იყო ელენი ამდენი ფუსფუსით და დაღლა იგრძნო. ბოლოს ერთმა ექთანმა საბანი საგულდაგულოდ ამოუკეცა, რომ კარგად მოესვენა.

— ღამით თუ რამე დაგჭირდა, აი ეს ზარი დარეკე, — დაარიგა ელენი.

გოგონა მხარზე მსუბუქმა შეხებამ გააღვიძა. ჯერ ეგონა, დედა მოვიდაო. მერე კი როცა თვალი გაახილა, ექთანი დაინახა და გაახსენდა, სადაც იმყოფებოდა. მართალია,

*მირორ-ბელ (მირორ-ბელე) — სიტყვასიტყვით „სარკის მზეთუნახავი“



საქმე ზარის დარეკვამდე არ მივიდა, მაგრამ მთელი დამე მაინც მოუსვენრად გაატარა. თაბაშირის გამო მარჯვენა მხარეს ვერ წვებოდა, არადა, სწორედ ასე იყო ნოლას მიჩვეული. მერე დილაადრიან სიცხის გასაზომად გააღვიძეს. მხოლოდ ამის შემდეგ ჩაეძინა გემრიელად.

— იცი, ისე ღრმად გეძინა, რომ საუზმისთვის ვერ გაგაღვიძეთ. მაგრამ შენი საჭმლისთვის პირი არავის დაუკარებია. აბა, სანამ ექიმი ბიორჩი ჩამოვივლის, მოასწარი საუზმობა, — უთხრა ექთანმა.

— სააბაზანოში შესვლას ხომ მოვასწრებ?

— აბა, რა. ხომ არ გინდა გამოგყვე?

— არა, თავად წავაღ. მადლობა.

სააბაზანოში შესული ელენი მიხვდა, რატომ შესთავაზა ექთანმა დახმარება; გაუჭირდა მხოლოდ მარცხენათი ხელ-პირის დაბანა და კბილების გახეხვა.

— ეტყობა, მომინევს, წერა მარცხენა ხელითაც ვისწავლო, — დაიჩვილა ხმამალა.

— აი, ეს მესმის. როგორც იქნა! იქნებ ახლა მაინც სწორად დაწერო ასოები! — გაისმა ხმა სააბაზანოს სარკიდან.

ელენი მშვენივრად ცნობდა ამ ხმას. ეს ხომ პრინცესა მირორ-ბელი იყო. იგი ელენის ანარეკლივით მოჩანდა სარკეში, მაგრამ დანარჩენი ანარეკლებისგან განსხვავებით, პრინცესას სარკიდან გადმოსვლა უყვარდა ხოლმე. თუმცა გარეგნულად ალი-კვადი ელენი იყო, ხასიათით ძალიან განსხვავდებოდა მისგან. ჩვენი ელენი ერთი საკმაოდ მორცხვი გოგო გახლდათ, მირორ-ბელი კი საოცარი მკვებარა ვინმე იყო. ბოლო არ უჩანდა მის ისტორიებს თავის სასახლესა და მშობლიურ ზღაპრულ სამეფოზე.

მირორ-ბელსაც ზუსტად ელენის მსგავსი საავადმყოფოს ღამის პერანგი ეცვა, ოღონდ თაბაშირში მარცხენა ხელი ჰქონდა ჩასმული.

— რას დგახარ და მომშტერებიხარ. აქედან გადმოძრომაში დამეხმარე, — უთხრა ელენს და სარკიდან მარჯვენა ხელი გამოუწოდა. — მეტიხმეტი არ მოგივიდეს, მაგრამ არ მომქაჩო. მეორე ხელიც ხომ არ უნდა მოვიტეხო.

ელენი თავს გამოუტყდა, რომ ძალიანაც არ უნდოდა საავადმყოფოში პრინცესა მირორ-ბელთან ერთად ყოფნა, მაგრამ ფიქრის დრო აღარ იყო. ხელი ჩაავლო და მიეხმარა, რომ სარკიდან ჯერ ხელსაბანზე და მერე იატაკზე გადმოძვრალიყო.

— შენც ველოსიპედიდან გადმოვარდი?

— რა თქმა უნდა, არა, — მოუჭრა მირორ-ბელმა. — როგორ ფიქრობ, შეეფერება პრინცესას ისეთი ტრანსპორტი, როგორიც ერთი ჩვეულებრივი, ყველასთვის ხელმისაწვდომი ველოსიპედი? არა, რა თქმა უნდა, არა. მე იცი... — ცოტაოდენი შეყოვნების შემდეგ განაგრძო, — მე მფრინავი ცხენიდან ჩამოვვარდი.

— შენ რომ არასოდეს გითქვამს, მფრინავი ცხენი მყავსო?

— მაპატიე, ელენ. მაგრამ როდის მოვასწრო ყველაფერი იმის ჩამოთვლა, რაც მაქვს? ამას ძალიან, ძალიან დიდი ხანი დასჭირდებოდა და თანაც ჩემი აუცილებლად შეგშურდებოდა.

— იმ დროს, როცა ჩამოვარდი, ცხენოსნის ქუდი არ გეხურა? — ჰკითხა ელენმა.

მაგრამ პრინცესა აღარ უსმენდა. მას უკვე კარი გაეღო და იუპიტერის პალატისკენ მიდიოდა.

ელენმა გადანყვიტა უკან გაჰყოლოდა, მაგრამ მერე გადაიფიქრა, ცოტა ხანს აქ დაეგრძობო. არ იცოდა, რა უნდა ეთქვა ექთნებისთვის, როგორ აეხსნა მისი იქ ყოფნა. სააბაზანოს კარიდან გაიჭყიტა და დაინახა, როგორ აცოცდა მის საწოლზე პრინცესა და ზარი დარეკა.

თვალის დახამხამებაში ერთ-ერთი ექთანი მის საწოლთან გაჩნდა.

— ნეტა ვიცოდე, ეს საჭმელი რა არის? — იკითხა პრინცესა მირორ-ბელმა და ლანგარზე მიუთითა.

— რაც შეუკვთე, აღარ გახსოვს? სიმინდის ბურბუშელა და ფორთოხლის წვენია.

— სიმინდის ბურბუშელა? ეს რაღაა? წაიღეთ და მომიტანეთ ფარშევანგის თოხლოდ მოხარშული კვერცხი.

ექთანმა ჩაიხითხითა. ეტყობოდა, ხუმრობაში ჩაუთვალა ბავშვს ნათქვამი.

— გთხოვთ, ნუ იცინით, როცა მე რაიმეს გიბრძანებთ.

ეს დიდი უზრდელობაა. შეგიძლიათ, ფორთოხლის წვენიც უკან წაიღოთ. მირჩევნია, ცოტაოდენი ყინულითა და ლიმონით შეზავებული დილის ცვარი დაელო.

— ახლა სხვას ვედარაფერს მოგიტან. თანაც უკვე დაამთავრეს საუზმის ჩამოტარება.

— მაშინ ამ წუთში უკან გამოიძახეთ.

ექთანმა ხელუხლები ლანგარი აიღო და ცუხცუხით დატოვა ოთახი. გასასვლელში კინაღამ თეთრხალათიან კაცს შეეჯახა, რომელსაც სტეტოსკოპი ჩამოეკიდა კისერზე. ელენი მიხვდა, რომ ეს ექიმი ბიორჩი იქნებოდა.

— იცით, მგონი მისი მდგომარეობა გაუარესდა, — ჩასჩურჩულა ექთანმა ექიმს და ლანგრით ხელში პალატიდან გავიდა.

ექიმი კი სანოლს მიუახლოვდა და სანამ ჩამოჯდებოდა, ფარდები ჩამოაფარა. ასე რომ, ელენი ვერც მას ხედავდა და ვერც პრინცესას. თუმცა მათი ხმები სააბაზანოს კარამდე აღწევდა, საიდანაც გოგონა იჭყიტებოდა.

— აბა, სალაში ელენს, — გაისმა ექიმის ხმა.

— არა, ელენი არ გახლავართ. მე პრინცესა მირორ-ბელი ვარ. ვიმედოვნებ, სათანადოდ ხართ მომზადებული სამეფო ოჯახის წევრების სამკურნალოდ. ეგ თქვენი სტეტოსკოპი ზედმეტად უბრალოდ გამოიყურება. ჩემი სასახლის ექიმს იცით როგორი აქვს? ვერცხლისგან და გველის ტყავისგან დამზადებული.

ექიმ ბიორჩს ჩაეცინა.

— ჩემს პატარა დისშვილსაც უყვარს პრინცესობანას თამაში. კეთილი, თქვენო სამეფო უდიდებულესობა. აბა, ახლა მომიყვიე ყველაფერი, რაც გახსოვს შენი უიღბლო შემთხვევის შესახებ. აი, აქ წერია ველოსიპედიდან ჩამოვარდაო.

— თუ მანდ მასე წერია, ტყუილია! მე ჩემი მფრინავი ცხენიდან ჩამოვვარდი. მინდა იცოდეთ, რომ შესანიშნავი მხედარი ვარ. ასე რომ, ვერაფრით გამიგია, ეს როგორ დამემართა. ერთი ეჭვი მანუხებს: ისევე ჩემი ბოროტი ჯადოქარი ნათლის ოინები ხომ არ არის. შეიძლება უნაგირს რაიმე უჩხირკედელავა, რას გაიგებ.

— მაშ ველოსიპედთან დაკავშირებით არაფერი გახსოვს? გასაკვირი არცაა, შენ ხომ თავი ტროტუარს დაარტყი.

— ასეთი რამ მე არ დამმართნია! — მირორ-ბელი აღმფოთდა, — ჩემს საბრძანებელში ტროტუარებს ვერ ნახავთ! ჩემი მფრინავი ცხენიდან რომ გადმოვვარდი, მე დავეშვი... იქა...რა ჰქვია... ჰო... ყარყატის ბუდეში, სასახლის სახურავზე. კიდევ კარგი, რომ ბუდეში ყარყატის კვერცხები არ იყო, თორემ.....

— აბა, ერთი ნამით მაცალე, — შეანყვეტინა ექიმმა. ხმის ტონი საოცრად შესცვლოდა. აღელვებული და მეტისმეტად სერიოზული ჩანდა.

— აქ წერია, რომ მარჯვენა ხელი მოიტეხე!

— როგორ მინდა, მაგ უაზრო ჩანანერებს თავი დაანებოთ და მათ ნაცვლად მე დამიჯეროთ, — დაინუნუნა პრინცესამ.

— ეს მარტო კი არ წერია, რენტგენიც ამას აჩვენებს! ეს ხომ დღესავით ნათელია! შენ მარჯვენა ხელი მოიტეხე, მაგრამ თაბაშირში მარცხენა ჩაგისვეს!

— საქმე ისე შემოტრიალდა, მგონი, რეგისტრატორის დათხოვნაც მოგიწევთ და თაბაშირის სპეციალისტისაც!

— მარჯვენა ხელი როგორ გაქვს? ისევე გტკივა? — ჰკითხა ექიმმა.

— რაკი ამ ხელითაც დაინტერესდით, გეტყვით, რომ ცოტათი მანუხებს. ეს ალბათ იმიტომ რომ ყარყატებმა ჩამინისკარტეს. მათ ხომ არ იცოდნენ, ვინ ვიყავი. ალბათ გუგული თუ ვეგონე, რომელიც მათ ბუდეში თავისი კვერცხის დადებას აპირებდა.

ცხადი იყო, ექიმ ბიორჩს არც ყარყატები აინტერესებდა და არც გუგულები. ელენმა დაინახა, როგორ გამოვიდა ფარდებიდან და თითქმის სირბილით მივიდა რეგისტრატორის მაგიდამდე. ბავშვისკენ ზურგშექცეული იდგა და ამიტომ ელენს მხოლოდ ფრანგმენტები ესმოდა მისი სატელეფონო საუბრისა. „შეცდომა მოხდა“, „სასწრაფოა“, „განსაკუთრებული შემთხვევა“ და ა.შ. მიხვდა, რომ ექიმი ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში რეკავდა, სადაც თაბაშირში ჩაუსვეს ხელი.





ეს უკვე მეტისმეტად, გაიფიქრა ელენმა. საჭიროა ჩემი ჩარევა, ექიმაც უნდა იცოდეს საქმის ვითარება და ექთნებმაცო. ის-ის იყო გამბედაობა მოიკრიბა და გასასვლელად მოემზადა, რომ ერთი ნაცნობი სახე გამოჩნდა იუპიტერის პალატაში. ეს ის სანიტარი იყო, ვინც წინა დღით ეტლით შეაგორა პალატაში. ახლაც ეტლს მოაგორებდა, ოღონდ ცარიელს.

— ისევ შენ ხარ, ბებრუხანა ქალბატონო? — მიმართა პრინცესას.

ელენმა გაიფიქრა, ასეთი მიმართვა მირორ-ბელს არ მოეწონებოდა და ამ ჩემს კარგ სანიტარს შავ დღეს დააყრი-სო, მაგრამ დახეთ, რა უპასუხა პრინცესამ:

— აჰა, როგორც იქნა. ერთი ადამიანი მაინც მიხვდა, რომ ერთი ჩვეულებრივი პატარა გოგო არ ვარ! პირდაპირ აღფრთოვანებული ვარ! ეს რა დიდებული ტახტრევანი მომართვით! სასახლეშიც კი არ მინახავს ასეთი ბორბლე-ბიანი ეტლი!

— თქვენ მხოლოდ საუკეთესოთა შორის საუკეთესოს იმსახურებთ, ბებრუხანა ქალბატონო! — მიუგო სანიტარ-მა და იუპიტერის პალატიდან გოგონა ეტლით გამოაგორა.

ელენს გული გაუსკდა ამის დანახვაზე. ღმერთო, ეს როგორმე უნდა შევაჩერო! თუ პრინცესას მართლა მოტეხილი ჰქონდა მარცხენა ხელი, მაშინ როგორ შეიძლებოდა მისთვის თაბაშირის მოხსნა?

იქნებ ყველაზე ადვილად ეს ამბავი სანიტარს გაეგო. ელენი სააბაზანოდან გამოვიდა და პალატაში მიმოიხედა. ექიმი ექთანს სარეგისტრაციო მაგიდასთან ესაუბრებოდა და ისე იყვნენ გართულები, რომ არც შეუნიშნავთ, როგორ გასრიალდა ელენი პალატიდან. მაინც ვერ დაენია გოგონა სანიტარს. მხოლოდ იმის დანახვა მოასწრო, როგორ შეაგორა ეტლი ლიფტში. დაუძახა კიდეც, მაგრამ კარი დაიხურა.

იქვე მეორე ლიფტიც იყო. ელენმა სასწრაფოდ გამოიძახა. უჰ, რა ზოზინა აღმოჩნდა ეს ლიფტი! საბედნიეროდ ცარიელი იყო და არავინ შეხედავდა ცნობისმოყვარედ და არც კითხვებით გაუწყობებდა გულს, აქ რას აკეთებ მარტო და ა.შ.

თუ პრინცესა თაბაშირის მოსახსნელად მიჰყავდათ, მაშინ იმავე ოთახში უნდა წაეყვანათ, სადაც ელენს გაუკეთეს. ელენს კი ახსოვდა, რომ ეს პირველ სართულზე იყო. ლიფტიდან რომ გადმოვიდა, ვერც პრინცესას მოჰკრა თვალი, ვერც სანიტარს. ელენი გრძელ კორიდორში აღმოჩნდა, საიდანაც მრავალი კარი მრავალ ოთახში შეგიყვანდათ. ელენი კითხულობდა წარწერებს, მაგრამ ბევრი ვერაფერი გაიგო. ერთს „ენდოკრინოლოგია“ ეწერა, მეორეს „ჰემატოლოგია“, მესამეს „ტოქსიკოლოგია“. გოგონა ტვინს იჭყლეტდა, რომელი „ოლოგია“ შეიძლებოდა თაბაშირის შესახვევი ოთახი ყოფილიყო. სწორედ ამ დროს „ჰემატოლოგის“ კარი გაიღო და მენამული ფერის ქამრიანი ექთანი გამოვიდა.

— ვის ეძებ, გენაცვალე? — ჰკითხა თბილად ელენს.

— თაბაშირის ოთახი რომელია?

— თან რომ არავინ გახლავს? საიდან მოხვედი?

ელენი ყოყმანობდა, რა ვქნა, სიმართლე ვუთხრა თუ არა ექთანსო. ბოლოს ასეც გადაწყვიტა, თუმცა ეჭვობდა, არ დამიჯერებსო.

— იუპიტერის პალატიდან ჩამოვედი, მაგრამ არავინ იცის, აქ რომ ვარ. იცით, რა მოხდა? მე და ჩემი მეგობარი პრინცესა მირორ-ბელი ერთმანეთში შევეშალეთ. საქმე ის არის, რომ პრინცესამ მარცხენა ხელი მოიტეხა, მაგრამ.

— ერთი ნუთით, ერთი ნუთით, — შეანწყვტინა მენამული ქამრიანი. — ალბათ ჯობს იუპიტერის პალატაში დავრეკო და გავიგო რა ხდება.

ექთანმა ელენი კაბინეტში შეიყვანა და პალატის ნომერი აკრიფა.

— იცით, მგონი ჩემთან თქვენი პაციენტი. — მენამული ქამრიანი ელენის მარცხენა ხელზე მოთავსებული სამაჯურიდან მისი სახელი ამოიკითხა, — ელენ პეიჯი. ამბობს, ახლა ტრავმატოლოგიურ ოთახში უნდა ვიყო. ...კარგი თქვენ. უბრალოდ, გადამონმება მინდოდა. ცოტა არ იყოს და დაბნეული ჩანს... პრინცესებსა და მსგავს რამეებზე საუბრობს... აა, გასაგებია, ტვინის შერყევა, აჰა, ამიტომაც... არა, ნუ შენუხდებით, თავად წაიყვან.

მენამული ქამრიანი ყურმილი დადო და ელენს გულიანად გაუღიმა.

— სხვა სანიტარს გამოგიგზავნით, ეტლით მივაბრძა-

ნოთო, მაგრამ აქვია. ასე რომ, უარი ვუთხარი, — თქვა და გოგონა ერთ კართან მიიყვანა.

ელენი მიხვდა, რომ ბოლოს და ბოლოს მიაგნო პრინცესას, რადგან ოთახიდან ნაცნობი ხმა შემოესმა:

— ჩემს ცხენს სახელად პატარა ლორდი ელვა ჰქვია. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ფრთის ტკივილმა შეანუხა. უეჭველად უნდა მივიყვანო და სასახლის ვეტექიმს ვაჩვენო.

მენამული ქამრიანი ელენს გაუღიმა და თვალები ვითომ უნუგეშოდ მალა ალაპყრო.

— შეიძლება, ცოტა ხანს დაცვა მოგინოს. ეტყობა, საკმაოდ მძიმე პაციენტი ჰყავთ სწორედ ახლა.

ელენმა თავი შეიკავა, რომ არ ეთქვა, ეს ხომ პრინცესა მირორ-ბელიაო. მენამული ქამრიანიც მაშინვე იმას გაიფიქრებდა, საწყალს ჯერ ისევ არა აქვს ყველაფერი წესრიგში. ამიტომ უბრალოდ უპასუხა, არა უშავს, დავიცდიო.

— კარგი, მაშინ დაგტოვებ. დროებით. ისე, კიდევ ხომ არ გაიპარები სადმე?

ელენი დაპირდა, რომ არსად წავიდოდა და ერთ-ერთ სკამზე ჩამოჯდა. დაინახა, როგორ მიეფარა თვალს მენამული ქამრიანი. დაფიქრდა და მიხვდა, რომ სულაც არ ეპიტნავებოდა იმ ოთახში შეჭრა და ექთნისათვის ყველაფრის ახსნა.

— რა უცნაურია, — შეანწყვტინეს პრინცესას თავის მგრინავ ცხენზე საუბარი, — ვერაფრით გამირჩევია, რა სახელი განერია სამაჯურზე. თითქოს უკულმა წერია ასოები. ვატყობ, უსათვალოდ ვერას გავხედები. შენ აქ დამელოდე, გვერდით ოთახში მაქვს.

ოთახიდან ექთანი გამოვიდა. ელენმა ვერ იცნო იგი, თუმცა ამასაც ისეთივე ლურჯი ქამარი ეკეთა, როგორც პირველ ექთანს, ვინც ხელი თაბაშირში ჩაუსვა.

ქალი აჩქარებით გაუყვა დერეფანს. ელენმა კი რაკი იგრძნო, პრინცესასთან დალაპარაკების შესაძლებლობა მომეცაო, ოთახში შესრიალდა.

მირორ-ბელი ფანჯარასთან იდგა და მარჯვენა ხელში ვეება მაკრატელი ეჭირა.

— ო, შენ ხარ, ელენ? როგორ ფიქრობ, ეს მაკრატელი სამეფო თაბაშირის გასაჭრელად გამოდგება? დიდად ხარისხიანი არ ჩანს. გადავწყვიტე, ჯერ სხვა რამეებზე ვცდი-მეთქი, სანამ მოსამსახურე დაბრუნდება, — თქვა და მაკრატელი ფარდებს დაუმიზნა.

— შეჩერდი! — იყვირა ელენმა და პრინცესას მაკრატელი გამოსტაცა, — ექთანი ამ ნუთას დაბრუნდება და ჯობია ნახვიდე!

— აბა, აბა, შეეშვი მბრძანებლობას, ელენ, — დატუქსა მირორ-ბელმა მეგობარი. — რაღა შენ და რაღა აქაური მოსამსახურეები, პირდაპირ მათ დაემსგავსე. ისე წავალ და მოვალ, როგორც მინდა!

— კი მაგრამ, ნუთუ გინდა რომ დარჩე და თაბაშირი მოგხსნან? თუ ხელი მართლა მოტეხილი გაქვს, მაშინ თაბაშირში უნდა გქონდეს კიდეც.

— მაგამი მართალი ხარ. ახლა ჭკვიანურად საუბრობ. ალბათ ჯობია დაებრუნდე და ჩემი პატარა ლორდი ელვა მოვინახულო. თანაც, აქაურები საერთოდ არ სცემენ პატივს სამეფო ოჯახს. თუ იმ წესიერ ტახტრევანის გამგორებელს არ ჩავთვლით. რა თავაზიანი ყმანვილია! უნდა ვნახო, იქნებ სასახლეში რაიმე სამუშაო გამოვუნახო!

— მირორ-ბელ, გთხოვ ნადი, ნულარ აყოვნებ! — შეევედრა ელენი.

— ნუ მაჩქარებ, ყველაფერს თავისი დრო აქვს, — უპასუხა პრინცესამ და ახლა კალამი აიღო მაგიდიდან.

— ახლა რაღას აპირებ? — ჰკითხა დაზაფრულმა ელენმა. რა კარგად იქნებოდა ყველაფერი, ლურჯქამრიანის მოსვლამდე მირორ-ბელი რომ წასულიყო.

პასუხად პრინცესამ კალამი გაუწოდა.

— განსაკუთრებულ პატივს გდებ და უფლებას გავძლევ, პირველმა შენ მოაწერო შენი სახელი ჩემს თაბაშირზე.

ელენი მიხვდა, რომ აქედან თავს ვერ დაიძვრენდა. ასე რომ, აიღო კალამი და ძალიან ეცადა, რომ მარცხენა ხელით კარგად მოეწერა სახელი.

— რა არის, ელენ. ეს კიდეც უფრო უარესი ბატიფეხ-



ურია, ვიდრე ოდესმე დაგინერია. თან უკუღმა გინერია, თან რა დაგრეხილი ასობეია!

— უკუღმა არ არის, დაგრეხილად იმიტო გეჩვენება, რომ მარცხენა ხელით დავენერე!

— მე გაჩვენებ, როგორ უნდა გააკეთო, — უთხრა მირორ-ბელმა და კალამი გამოართვა. შემდეგ ელენის თაბაშირზე თავისი სახელი დაწერა. რომელიც აი ასე იკითხებოდა:

ილვა-რორი

— ეს რა არის? და კიდევ შენ მელაპარაკები უკუღმა დაწერილ-დაგრეხილ ასობეზე? — ველარ შეიკავა თავი ელენმა და ჩაიბუტბუტა. ხვდებოდა კი, რომ ახლა კამათის დრო არ იყო. ოთახში მიმოიხედა, სარკეს ეძებდა, მაგრამ ვერ დაინახა.

ზუსტად მაშინ გარედან ნაბიჯების ხმა შემოესმათ. ლურჯქამრიანი ბრუნდებოდა!

— მშვიდობით! — იყვირა სარკის მზეთუნახავმა და კარიდან გასხლტა. ელენმა გაიჭვრიტა და დაინახა, როგორ შესრიალდა დერეფნის მოპირდაპირე მხარის ერთ-ერთ კარში. ესეც რომელიღაც „ლოგის“ ოთახი იყო. კონკრეტულად კი „ოფთალმოლოგის“.

— აბა, აბა, ამდგარხარ კიდევ და გარეთაც გამო-სულხარ. ხომ შემპირდი ფეხს არ მოვიცვლიო, — შემოვიდა ლურჯქამრიანი, — იცი, წუთის წინ უცებ მომეჩვენა, რომ თვალის განყოფილებაში შეხვედი, მაგრამ რა თქმა უნდა სხვა იქნებოდა.

ექთანმა სათვალე მოირგო და ელენის პირადობის სამაჯურს დახედა.

— ძალიან კარგი, ახლა მშვენივრად ვარჩევ. ელენ პეიჯი ბრძანდები, — ბავშვის სახელი და გვარი საბუთებშიც გადაამონმა და აი ამ დროს იყო, რომ სახე მოელუშა, — სახელთან დაკავშირებით არანაირი პრობლემაა, მაგრამ ვერ გამოიგია, ექიმი რას გულისხმობს. აქ დაუნერია — „მოხსენით თაბაშირი მარცხენა ხელიდან და მარჯვენა ჩაუსვით თაბაშირში.“ აი ეს არ მესმის. სწორედ შენი მარჯვენა უკვე თაბაშირში. ალბათ უნდა დაეწერა — „მოხსენით მარჯვენადან და მარცხენა ჩაუსვით თაბაშირში.“

— არა, არა, მასე არ არის! — გული გაუსკდა ელენს, — მარჯვენა მაქვს მოტეხილი. მარცხენას არაფერი სჭირს, — დასტურად მარცხენა ხელი გაიქნ-გამოიქნია.

ლურჯქამრიანმა ჩანაწერებს და რენტგენს გადახედა.

— ეს ყველაფერი მეტად უცნაურია. ნეტა სად დაქრის ექიმი ბირჩის გონება, როცა მუშაობს?

შემდეგ სანიტარს დაურეკა, რომ ელენი ეტლით კვლავ იუპიტერის პალატაში წაეყვანა. და ამ დროს კიდევ ერთხელ მოექუფრა სახე.

— ნამდვილად გადავირევი! შემიძლია მეც დავიფიცო, რომ წელან სანამ სათვალის მოსატანად გავიდოდი, მარცხენა ხელი გქონდა თაბაშირში. ეჰ, მომიწევს თვალის განყოფილებაში შესვლა და მხედველობის შემოწმება.

სწორედ ამ დროს გარედან ყაყანი მოისმა და ვილაცამ კარზე დააკაკუნა.

ლურჯქამრიანმა კარი გააღო და ელენმა ერთდროულად სამი ადამიანის ხმა გაიგონა. ერთი ქალი გამწარებული კითხულობდა: „ის აქ არის?“, მას ბიჭის ხმა მაშინვე პასუხობდა „რამდენჯერ უნდა გითხრა, რაც მოხდა“, ამ ყველაფერს კაცის ხმა აგვირგვინებდა „გაჩუმდი, ტობი.“

— უკაცრავად, მაგრამ ვის ეძებთ? — იკითხა ლურჯქამრიანმა.

— ვისაც ვეძებთ, იმის სახელიც კი არ ვიცი, მაგრამ იქნებ რომელიმე თქვენი პაციენტია, — გაისმა ქალის ხმა. — ვზივარ და პატარა ტობის მხედველობას ვუმოწმებ. ხომ იცით, რა არის ეს ტესტი, ხან დიდ და ხან პატარა ასობებს აჩვენებენ, რომ დავადგინოთ როგორ ხედავს. და სწორედ ამ დროს ეს თაბაშირიანი გოგო შემორბის! რა სისულელე აღარ მოჩმება, ენა არ გაუჩერებია. გინდა თუ არა, ყველა ასო უკუღმა წერიაო. ოთახიდან გასვლა ვთხოვე, არც ეს გამოიგონა. ავდექი და ექიმის მოსაყვანად გავედი, იქნება ის დამეხმაროს-მეთქი. რომ დავბრუნდი, იქ აღარ დამხვდა. გამქრალიყო!

— კი, სარკეში შეძვრა და გაუჩინარდა! — გაისმა ბიჭის ხმა.

— აბა, რა სისულელეს ამბობ, ტობი. ხომ იცი, რომ ეს შეუძლებელია, — ეს კაცი იყო.

— ჩემი თვლით დავინახე!

— გასაგებია, მაგრამ ნუ დაგავინცდებ, რომ ახალი სათვალე გჭირდება!

— ვწუხვარ, რომ ვერ გეხმარებით, მაგრამ აქ ნამდვილად არ არის ის, ვისაც ეძებთ, — მიუგო ლურჯქამრიანმა.

ელენმა რაღაც საბნის მსგავსს მოჰკრა თვალი და ზედ გადაიფარა. ეშინოდა, აქ შემოვლენ, პრინციპა ვეგონები და მთელ მის უსაქციელობას მე დამაბრალებენო! მაგრამ ეტყობა ლურჯქამრიანის ნათქვამმა გარეთ მყოფნი დაამშვიდა და დაარწმუნა და წასვლაც დააპირეს.

— იქნებ ის გოგონა იუპიტერის პალატიდან არის. აბა, ერთი იქაც გადავრეკავ, — გაისმა ქალის ხმა.

ლურჯქამრიანმა კი თავი დანანებით გაიქნია, როცა ისინი გაისტუმრა.

— დღეს ყველანი გადარეულები ჩანან, შენ გარდა, ჩარლი, — მიმართა თავაზიან სანიტარს, რომელმაც ის-ის იყო პალატაში შემოაბიჯა.

— სალამი, ბებრუხანა ქალბატონო! ის მოუსვენარი ექთანის თაბაშირზე სურათებს ხომ არ გახატავდა?

ელენმა ოდნავ ჩაილიმა და ეტლში ჩაჯდა.

— ახლა რა წყნარად ხარ. რა მოგივიდა? აღარ გინდა კიდევ მიაბო შენს მფრინავ ცხენზე?

ელენმა უარის ნიშნად თავი გაიქნია და თვალეები დახუჭა. უცებ საშინელი დაღლილობა იგრძნო.

პალატაში დაბრუნებულს ორი მომღიბარი სახე დახვდა. დედა და ექთანი ჯო.

— ახლა მითხრეს, ელენი ცოტა უცნაურად ლაპარაკობდაო, — დედას ხმაში შემოფოთება დაეტყო.

— არა, კარგად ვარ, დედიკო.

— მე რომ მკითხოთ, ეს კი არა, ექიმი ბირჩი იქცევა უცნაურად, — ხმას დაუნია ექთანმა ჯომ, — ნარმოგიდგენიათ, მარჯვენა და მარცხენა აერია ერთმანეთში! ნამდვილად შეყვარებულია. აი, ახლა წავალ და ექიმ ჰამზას ვთხოვ, რომ როგორც კი ისადილებ, გაგსინჯოს. ალბათ როგორ მოგშივდა, ისიც მითხრეს, საუზმე არ მოეწონაო.

— ელენ, რა ხდება, ვერ გცნობ! — უსაყვედურა დედამ. ელენი ახსნა-განმარტების ხასიათზე არ იყო და ჩუმად შეექცა ნინილის ღვეზელსა და ხილის სალათას. ეტყობოდა, მართლა მოშიებოდა. ამას დედის მოტანილი ყურძენიც მი-აყოლა. სწორედ ამ დროს ექიმი ჰამზაც შემოვიდა. იმანაც მოაყოლინა, როგორ დაეციო და ასიდან ორმოცდაათამდე უკუღმა დათვალეო.

— ძალიან კარგი და ყოჩაღი შვილი გყავთ. უკვე შეგიძლიათ შინ წაიყვანოთ, — უთხრა ექიმმა დედას.

დედას ახალი ტანსაცმელი მოეტანა. ჩაცმაში მიეხმარა. ზედატანს სახელო სწორედ საავადმყოფოს ლამის პერანგივით ჰქონდა ამოჭრილი.

— ხომ არ გინდა წასვლამდე სააბაზანოს სარკეში შეიჭყიტო? ერთი დაინახე, რა კოხტად გამოიყურები.

— არა! — ნამოიძახა ელენმა, — მადლობა, მაგრამ არ მინდა. ახლა შემიძლია უკვე დავბრუნდე სკოლაში და ყველას ვაჩვენო ჩემი თაბაშირი?

— ამას ხვალაც მოასწრებ. დღეს ჯობია მშვიდად იყო და დაისვენო. ახლა მოდი, შენი ყურძენი დაამთავრე. აი, ნახე რა წიგნი გამოგიტანე ბიბლიოთეკიდან.

ამით გაერთე დღეს.

— რა წიგნია, რა ჰქვია? — იკითხა ელენმა.

— „მფრინავი ცხენი“, — უპასუხა დედამ და ვერაფრით მიხვდა, რატომ ხითხითებდა ელენი ლიფტში, დაბლა ჩასვლისას.

ინგლისურიდან თარგმნა
ნინო ქამუკაშვილმა

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)





ნუნუ კამუკაშვილი



კახური სიმღერების დიდოსტატი

თელავის მთავარ ბიბლიოთეკაში მიმდინარე წელს ჩატარდა მთავარი ბიბლიოთეკის და ანსამბლ „პატარა კახის“ ერთობლივი ფოლკლორული საღამო: „ქართული ხალხური სიმღერის მოამაგენი“. საღამო მიეძღვნა ცნობილი ლოტბარის ანდრო სიმაშვილის შესახებ დაწერილი წიგნის „ანდრო სიმაშვილი“ — წარდგინებას. წიგნის ავტორია მარინა კვიციანიძე — გამოიცა ფონდ „ქართული გალობის“ და მისი დამფუძნებლის ვანო ჩხარტიშვილის დაფინანსებით.

თელავის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა მაყვალა ნიკლაურმა საანოტაციო მიმოხილვა წაუშეძღვარა ამ წიგნს.

კახური სიმღერების დიდოსტატს, ფოლკლორის ეროვნული პრემიის პირველ ლაურეატს, ღვანლმოსილ მომღერალს და ლოტბარს ანდრო სიმაშვილს 94 წელი შეუსრულდა, იგი დღესაც ჩვეული ერთგულებით აგრძელებს თავის შემოქმედებით მოღვაწეობას, — ახალგაზრდული ენერჯით და დიდი სიყვარულით ემსახურება ქართული ხალხური სიმღერის შენარჩუნებასა და აღორძინებას.

ფოლკლორის საღამოზე მონაწილეობა მიიღო, თავისი, შესანიშნავი სიმღერებით „პატარა კახმა“. ანსამბლის წევრები, ძირითადად, ანდრო სიმაშვილის გამოზრდილები არიან. დღესაც, მათი კონსულტანტი — ბატონი ანდროა. „პატარა კახი“ წარმატებით გამოვიდა საქართველოს სახელმწიფო ფოლკლორული ცენტრის მიერ მონყობილ 2015-2016 წლის ფესტივალზე.

აქ, ქართული ხალხური სიმღერის სიყვარულით იზრდებიან თაობები. ფონდ „ქართული გალობისა“ და მისი დამფუძნებლის ვანო ჩხარტიშვილის დაფინანსებით ანდრო სიმაშვილს გადაეცა სიგელი — „ქართული ხალხური სიმღერის მოამაგე“ და ფულადი ჯილდო.

ფოლკლორის საღამოზე სიტყვით გამოვიდა მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარე ფარნა რაინა; მან მიულოცა ანდრო სიმაშვილს, — წიგნის გამოცემა და ხაზი გაუსვა ხელოვნების როლს ცხოვრებაში, — მწერლობის, მუსი-

კის, ფოლკლორის...

პოეტმა ნუნუ კამუკაშვილმა წაიკითხა — ხელოვნების ქურუმისადმი მიძღვნილი ლექსი.

ეს წიგნი დიდი შენაძენია, დასძინა მან ეს მთელი ისტორია: ქართული ფოლკლორის, ქართული ხალხური სიმღერების...

წიგნში აღწერილია სოფელ ართანის — ანდრო სიმაშვილის მშობლიური სოფლის, მის წინაპრების შესახებ, — მოგვითხრობს, მის მამა-ბიძაზე, მის მამიდებზე, რომლებიც გამოირჩეოდნენ სიმღერის ტრფიალით.

წიგნში წინა პლანზე წამოწეულია — ბატონი ანდროს ცხოვრება-მოღვაწეობა, გამოჩენილი ადამიანების გამონათქვამები.

მოვიყვან ამონარიდებს წიგნიდან: „ანდრო სიმაშვილი“ (წიგნის ავტორმა ანდროს მონათხრობიც შეიტანა წიგნში — ბატონი ანდროს სურვილისამებრ) „დავიბადე 1923 წლის 6 ოქტომბერს. თავად, როდის დავიწყე სიმღერა, არ მახსოვს. მეუბნებოდნენ, — ჯერ, კიდევ, პატარა იყავი და მძინარე მღეროდით... მშობლებს ოთხი ბიჭი ვყავდით, ოთხივე შეხმატკბილებული ვიყავით; დილით, — ვინც პირველი გაიღვიძებდა, სიმღერასაც ის წამოიწყებდა და გვაღვიძებდა.

50-იანი წლებიდან, მხოლოდ, საოჯახო ანსამბლებში ვმღეროდი და, სადაც მიმუშავებ, ყველგან საკუთარი გუნდები მყავდა: ყველაზე კარგად, მაინც, ჩემს ძმებთან — მიმასთან და ნიკოსთან ვიყავი შემღერებული“.

ბატონი ანდრო ჰყვება, თავის სწავლის, მუშაობის, დაოჯახების შესახებ. — მისი მეუღლე — მარიამ ორთავიძე მუდამ მხარში ედგა. მათ სამი შვილი ეყოლათ — ბიჭები.

„სიმაშვილების საოჯახო ანსამბლის ახალგაზრდულ ფრთაზე დაყრდნობით, მან ერთუზიასტი ახალგაზრდები შემოიკრიბა და ახალი ანსამბლი შექმნა“ ეს იყო ანსამბლი „ართანა“.

„1974 წელს რეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა გადაიღო ფილმი: „შრომა და სიმღერა“, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩვეული



ანდრო სიმაშვილი



შრომის პროცესებს და, მათ თანმდევ სიმღერებს მოუყარა თავი.

„ფილმი ართანის ბალ-ვენახებსა და მინდვრებს შია გადაღებული. ბოლო კადრებში, ხელში მტვენები გვიჭირავს და ვწურავთ, წვენი ჩამოგვდის წვეთ-წვეთად. თუკი რამე სიმღერა ვიცოდით, — იმ ფილმშია ყველაფერი, — ამბობს ანდრო პაპა. ამონარიდი წიგნიდან: „ანდრო სიმამი““.

„სიმამილები წინაპართა სიმღერებს მღეროდნენ. დრო მიდიოდა, იცვლებოდა ეპოქა, სოციალური გარემო, ჩნდებოდა ახალი პრიორიტეტები სიმამილები კი მამა-პაპათა, ანუ ავთენტიკური ფოლკლორისადმი ერთგულებას ინარჩუნებდნენ. ასზე მეტი სიმღერისაგან, რომელთა გახსენება ანდრო პაპას დღესაც, უშეცდომოდ, შეუძლია, ე.წ. „ართანული ვარიანტები“ მაინც, განსაკუთრებით, ძვირფასია ჩვენთვის. ასეთებია: მელოდიით და ტექსტით განსხვავებული „მრავალჭამიერი“, „მუშური“, ანუ „ყანიმკური“, „უკუღმა ჩაკრულო“, „ართანული შაირები“, — ფანდურის თანხლებით, ფშავლებიდან მომდინარე „მუმლი მუხას“, „ორპირული გუთნური“, „ჩონგურო“ ეს შეხვედრები, მხოლოდ, სიმამილების საშემსრულებლო ტრადიციამ შეგვინახა.

ამგვარად, შეიძლება თამამად ითქვას: ართანას დიდი წვლილი მიუძღვის ხალხური სიმღერების შენახვა-გადარჩენის, ქართული მუსიკალური ფოლკლორის განვითარების საქმეში.

ბატონი ანდრო საფრანგეთის დედაქალაქ პარიზშიც მიუწვევიათ — „პარიზში სამი კვირა დავრჩით, — ჰყვება ბატონი ანდრო, — ჩემი მასპინძლები: ქალთა ანსამბლი — „ირინოლა“ (ხელმძღვანელი ფრენკ ქეითი) და მამაკაცთა ანსამბლი — „მარანი“, (ხელმძღვანელი ბერტრან ლამბოლიზი) იყვნენ. თავიდან, ათი კაცი დამხვდა. ბოლოს, 35-ნი იყვნენ: ქართული სიმღერების შესასწავლად საფრანგეთის სხვა ქალაქებიდან და სხვა ქვეყნებიდანაც კი ჩამოდიოდნენ: ინგლისიდან, ჰოლანდიიდან, ნორვეგიიდან. სამი კვირა დავრჩი და სულ, 17 სიმღერა შევასწავლე“.

ბატონი ანდრო იხსენებს, კიდევ ერთ საინტერესო ეპიზოდსაც.

„იმ პერიოდში, პარიზში, „ერისიონი“ იყო ჩამო-

სული და ერთმა ამერიკელმა ყველანი ერთად მიგვიპატიჟა. „ერისიონის“ ბიჭები სულ ჩემთან მოდიოდნენ — „ანდრო პაპა, ახლა, ეს ვიმღეროთ, მერე ის ვიმღეროთ“... მე ვუთხარ, თქვენ, აგერ, ხელმძღვანელი გყავთ, არ ეწყინოს მეთქი — არ ეწყინებაო. მაშინ, კარგი მეთქი და „ზამთარიო“ ვამღერე.“

წიგნის ავტორი აგრძელებს თხრობას: „ფრანგები მოჯადოებულები დარჩნენ ანდრო სიმამილის ცოდნით, პროფესიონალიზმით, ახალგაზრდული შემართებით, მისი პიროვნული თვისებებით. ისინი ანდრო პაპას „სიმღერის მზეს“ ეძახდნენ“.

წიგნს ამშვენებს მისი ყოფილი მოსწავლეებისგან მოწერილი ბარათები, მათი ლამაზი მოგონებები და კეთილი სურვილები. საილუსტრაციოდ მოვიყვან ერთ-ერთ ბარათს. „ახლა, როცა გწერ, მინდა, შენთან ერთად, შენს ლამაზ მთებში ვიყო და, ალილოს ვმღეროდე. ანდრო პაპა, შენ ჩემს ცხოვრებაში, ერთ-ერთი, ყველაზე ლამაზი ადამიანი ხარ. რამდენჯერაც პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს შევხედავ, შენი ბავშვივით გაბრწყინებული თვალები მაგონდება. ჩვენი მეგობრობა და სიმღერები ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი, ყველაზე, ძვირფასი ნაწილია, ძვირფასი განძი და მემკვიდრეობა. აკოცე მაგრად შენს ოჯახს. მარი მადლენი“.

„2002 წელს თელავში სალოტბარო სკოლა გაიხსნა. ხალხური სიმღერის მასწავლებლად ანდრო სიმამილი აირჩიეს. პარიზიდან დაბრუნებულ ანდრო პაპას სასიამოვნო ამბავი ელოდა: ანზორ ერქომაიშვილმა ალავერდის ტაძრის მგალობელთა გუნდისათვის ხალხური სიმღერების შესწავლა დაავალა.

ალავერდის ტაძრის მგალობელთა გუნდი 2001 წელს ალავერდელი მიტროპოლიტის დავითის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა, გუნდის რეგენტი კონსტანტინე პაპალაშვილი გახლდათ.

2003 წელს ალავერდის ტაძრის მგალობელთა გუნდი ფოლკლორული ფესტივალის ლაურეატი გახდა.

2003 წელს ანდრო სიმამილი ღირსების ორდენით დააჯილდოვეს.

2008 წელს ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი-



პოეტი ნუნუ დამუკაშვილი, ანდრო სიმამილი, თელავის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი მაყვალა ნიკლაური და პედაგოგი ნინო ჭიკაძე ანსამბლ „პატარა კახის“ წევრებთან





ანდრო სიმაშვილი და მისი მეუღლე მარიამ ორთავიძე



ისათვის ანდრო სიმაშვილი ფოლკლორის ეროვნული პრემიის პირველი ლაურეატი გახდა, — მას ოქროს მედალი და თანხა 2000 ლარი გადაეცა.

2009 წელს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა ანდრო სიმაშვილს რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში შემოქმედებითი საღამო გაუმართა (ავტორი და წამყვანი ნატალია ზუმბაძე).

2010 წლის 10 ოქტომბერს ტელეკომპანია იმედის ეთერში გავიდა გადაცემა: „იმედის გმირები“ — რომელიც ანდრო სიმაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნა.

2011 წელს საქართველოს ფოლკლორის ცენტრმა გადაიღო მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი: „ანდრო სიმაშვილი“ (სცენარის ავტორი და რეჟისორი მაია ნოზაძე).

2012 წელს ბანკი კონსტანტას და ანსამბლ შავნაბადას ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ჩაინერა დისკი — 30 საუკეთესო სიმღერა. დისკზე ანდრო სიმაშვილისა და ანსამბლ „შემოძახილის“ მიერ შესრულებული სიმღერებიცაა.

დიდი ლოტბარის მოღვაწეობას წიგნში: „ანდრო სიმაშვილი“ მალალ შეფასებას აძლევენ — გამოჩენილი ადამიანები: ანზორ ერქომაიშვილი, გომარ სიხარულიძე, თემურ ქევხიშვილი,

იოსებ ჟორდანიას, გიორგი შენგელაია, მიხეილ ჭიაურელი, დავით ცინცაძე, გივი სიმაშვილი, ლია ჩახუტაშვილი, ნანა ლომიძე, გიორგი დონაძე და სხვები.

ცხადია, ყველაფრის გადმოცემა და მოყოლა, ამ პატარა სტატიის მიზანმიმართულად, — ანდრო სიმაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის, დამსახურების შესახებ. თელავის მთავარ ბიბლიოთეკაში ღონისძიებაზე, რომელიც ამ ლამაზი წიგნის „ანდრო სიმაშვილის“ წარდგენას მიეძღვნა, როგორც აღვნიშნეთ, ბატონმა ანდრომ თავის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ვრცლად და ხალისით ისაუბრა.

დასასრულს, — ქალაქ თელავის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ფიქრია ყუშიტაშვილმა დამსწრე საზოგადოების გულისთქმა გამოხატა, — ისაუბრა ბატონ ანდრო სიმაშვილის ეროვნულ მოღვაწეობაზე, დამსახურებაზე და დიდხანს სიცოცხლე და წარმატებები უსურვა.

ანსამბლმა: „პატარა კახმა“ შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები.



ანსამბლი „პატარა“ — 80-იანი წლების დასაწყისი

კულტურის დამსახურებულ ქურუმს ანდრო სიმაშვილს

ამ სტრიქონებს: ბევრ სიკეთეს და სიხარულს ვანდობ...
ვერას გაკლებს — წელთა რემა,
იდლეგრძელე, ანდრო.

შენ გულიდან მზე ამოგდის,
უერთდება დიდ მზეს,
და... „ჩაკრულო“, - ისევ ძველი
მგზნებარებით გვიმზერს.

შენ ახარებ საქართველოს
გულს უხარებ — ბუხარს...
გულჩათხრობილს ნუ გხედავო, —
სიყვარული, — უხვად.


და ბუღბუღიცი შენთან არის,
იადონიც მოჩანს...
გსურს გადასცი ყველა მსმენელს
სიხარულის ხონჩა.

ხან, „მრავალჟამიერს“ და
ხან, ღიღინებ - „ურმულს“,
თაყვანს გცემთ და გეფერებით
ხელოვნების ქურუმს.

უამრავი თაობანი
გამოზარდე გზნებით,
სულ, — გქონოდეს მწვერვალისკენ,
ზურმუხტ-ლალის გზები.



ილია ჭავჭავაძე – 180



ილიას...

კვლავაც გვიკვალავ, —
მომავლისკენ,
აღფა ნეტარ გზებს,
ისევ ცოცხლობ და...
ყველას,
ყველას
გულებში სახლობ...
ასე მგონია,
იესოსთან, —
ამ პლანეტაზე,
შენა ხარ, —
უფრო,
ემაგ ჯვარცმით,
ყველაზე ახლო...

ჩვენ —
შენი სიბრძნე,
გადარჩენის
სვეტად ვინამეთ
და... რასაც ვამბობ,
არ ვაჭარბებ —
იოტსაც, —
მგონი,
შენა ხარ:
ღმერთის იერ-სახე
დედამიწაზე, —
სულის სინათლით,
სიდიადით,
სვითა და...
გონით...

ფარნა რაინა

